

სანებო პარა

# ეგლენ

კველი ღილაურის გილი 1460 წ.  
(აიახლოებით)


\*\*\*

ეგლენი  
(764 ცენტ)

თბილისი  
2011

აცდაკონტრი და გამომცემელი

**ოურონ ცოდიაშვილი**



შეკვეთი აცდაკონტრი

**კობა ბერიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

**ქათევან გხძელიშვილი**

© „ეთნოკოლიტიკა“

არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის, ოქროს საწმისის გატა-ცების, აიეტის ასულ მედეას როლის თემატიკა ამოუწურავია. თვით გაღმოცემები იძლევა მრავალ ვარიანტს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამ თემატიკას ძველად თუ ახლა მრავალი შესჭიდებია. მსოფლიო სამეცნიერო თუ მხატვრულ შემოქმედებას რომ შევეშვათ, აზრთა სიმრავლე არც ქართველობას აკლია.

წინამდებარე ნაშრომი რიგი თავისებურებებით გამოიჩინა. რით? ეს მკითხველმა უნდა დაინახოს და შეაფასოს. ჩვენ კი იმას დავუმატებთ, რომ „მედეა“ ავტორის ამ თემაზე შექმნილი ნაშრომების „ილი“, „აიეტი“, „ტროა“ შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ყველა ერთად იძლევა იმ ეპოქის წარმოსახვით რეალობას. ამავე დროს იგი ქართველობის უძველეს ისტორიაში ჩახედვის მცდელობაცაა.

\*\*\*

VIII ს. შუა ხანები ქართლის მოძლიერებით ხასიათდება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთი ხელისუფლის გარშემო გაერთიანება მეფე არჩილ II დამსახურებაა. ერთიანობის გარეთ აჩებოდა თბილისის საამირო. ნახევრად დამოუკიდებლობას მდ. კელასურის (კლისურა, კორახი) ჩრდილოეთი აფხაზეთი ინარჩუნებდა. სამხრეთი აფხაზეთი (დასავლეთ საქართველოს ბიზანტიელები აფხაზეთს უწოდებდნენ) აფხაზთა და ქართველთა სამეფოში შედიოდა.

არჩილ მეფესთან შეთანხმებით (როგორც ვასალი) მოქმედებდა ჩრდილოეთ აფხაზეთის მთავარი ლეონ II. ლეონი დედის მხრივ ხაზართა ხაკანს ენათესავებოდა და მათი დახმარებით ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების სრულ დამორჩილებას.

ლეონ II, ქართლის მეორე მეფის (არჩილის ძმა მირის) სიძისა და მემკვიდრის, ლეონ I-ის ძმისწული იყო და ამ გზით მეფის გვირგვინის პრეტენზისტი.

თავის მხრივ არჩილს დარჩა ორი ვაჟი, იოანე და ჯუანშერი. სამწუხაორი, მათ არა თუ სამეფო ვერ შეინარჩუნეს, მეფობის ტიტულიც ვერ დაიმკვიდრეს.

კავკასიის დაუფლებისათვის VIII ს. დიდი ბრძოლები სწარმოებდა

არაბებსა და ხაზარებს შორის. ორივე მომხდური საფუძვლიანად აჩანაგებდა ალბანეთს (დღევანდელი აზერბაიჯანს), სასომხეთსა და საქართველოს (ქართლს).

ისტორიული ცნობის თანახმად 764 წ. ხაზარებმა დიდი ლაშქრობა მოაწყვეს სამხრეთით, დარუბანდის გზით. საბაბად გამოყენებული იყო არჩილის ასულის (იოანესა და კუანშერის დის), სილამაზით ცნობილი შუშანის უარი, ცოლად გაჰყოლოდა ხაზართა ხაკანს, როგორც „ურჯულოს“, ქრისტიანების მტერს.

ამ პერიოდის მოვლენებს ასახავს წინამდებარე ნაშრომი.

## რედაქტორი

# კონფე

კავკა ტელემარკინგის 1460 წ.  
(აიახლოებით)

ალპინოე – ფეატთა მეუზე<sup>2</sup>

„ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს ქვეყნად ვერავინ  
გაუტოლდება,<sup>3</sup>“  
მისი სამეფო, ფართედ გაშლილი, ამ დედამიწის კიდესა  
წვდება,  
სადაც ფაზისი,<sup>4</sup> დაუდგომელი, თოვლიან მთებში  
სათავეს იღებს,  
კლდეა პიტალო, თვალუნ ვდენელი, მხოლოდ მნახველი  
რამეს გაუგებს.  
იქ დარჩა ჯაჭვი პრომეთეოსი, ჰეფესტოს<sup>5</sup> ხელით  
მტკიცედ ნაჭედი,  
დაბმული იყო იმით ტიტანი, იქიდან ჰქონდა გადასახედი,  
დევკალიონის უფროსი ვაჟი, კორინთოს მეფე,  
დიდი დარდანი,  
მამისგან პაპის სამყოფელს ცნობდა და როცა მარცხის  
დაუდგა ხანი,  
კორინთო დათმო, ზღვა გადალახა, თევკრების მეფეს  
უთხრა მოყვრობა,  
მისი ბადიში, ილი უფროსი, ვინც არ იცოდა შვილების  
გრძნობა,  
ილტვოდა უფრო აღმოსავლეთით, სად ჰელიოსის  
ეტლი ამოდის,

1. 1460 ნ. ძველი წელთაღრიცხვის – არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმინდისათვის ღაშქრობის თარიღი დაუდგენელია, მიახლოებითია.

2. ალკინოე – თქმულების თანახმად, კოლხეთიდან გაქცეულ არგონავტებს თან მედეა გაჰყეა. გზაში ისინი ფეატთა მეფის ალკინოეს სტუმრები გახდნენ და მისი მოთხოვნით იაზონმა და მედეამ „იქორწინება“.

3. ბრჭყალებში ჩასმული დებულება აპოლონ როდოსელისგანაა ნასესხები.

4. ფაზისი (ფასისი-ქალღმერთ ფასიანეს მიხედვით, ფასიანე, ზევსის დედის რეა-კიბელას ზედნოდება იყო). ამ შემთხვევაში.– მდინარე რიონი.

5. ჰეფესტო – მჭედლობის ღმერთი, გადმოცემით, მას კ. ლეშნოსზე, მოსხოს მთაზე ედგა სამჭედლო ქურა.

იქ დაასახლა კორინთელები, კოლხთა სახელიც  
                                 იქიდან მოდის,  
 აიეტია დღეს მათი მეფე, სხვაგან ვერ ნახო  
                                 მძლავრი სამეფო,  
 ლონე არ არის წინ გადაუგდე, შუბი აღმართო,  
                                 აგინ-შაჲყეფო.  
 ამიტომ მიჯობს ხერხი ვიხმარო, მძინარე ლომი  
                                 არ გავაბრაზო,  
 მოსულს სამოყვრო გული ვუჩვენო, სამტრო აზრების  
                                 კარი ჩავრაზო.

### **პრეზენტაციული**

პოსეიდონის ჩამომავალი, ნაგსითოოსის, მისი ძის, შვილი  
 ჰელიოსის ძე აიეტის წულს, მოყვარულად  
                                 სვედები ხელებგაშლილი,  
 ეს მეგობრული შენი დახვედრა მტერ-მოყვარისთვის  
                                 გასაგებია,  
 თვით გაარკვიონ და-ძმამ შედეგი, შური  
                                 რომლისგან ანაგებია.  
 არგონავტები როცა მოგვადგნენ, ვინ იყვნენ,  
                                 რატომ, შენ არ იცოდი,  
 მედეამ გთხოვა თავშესაფარი, მისი წუხილით  
                                 მეც კი ვიწვოდი.  
 მას მოჰყება გუნდი ვაჟუაცებისა, ორმოცდა ათი,  
                                 ერთ-ურთზე კარგი,  
 თუ არ შეხვდები სტუმრებს მოყვრულად,  
                                 კეთილ მასპინძლად როგორ ივარგი?

### **პლანერი – უებგვერბის მეცენ**

ეს ასე იყო, მაგრამ როდესაც გავიგე ვინ  
                                 და როგორა ფასობს,  
 რატომ ილტვოდნენ კოლხეთის მხრიდან,  
                                 ვინ ვის ლალატობს და მახვილს ასობს,  
 სომ უნდა მეტქვა მათვის უარი, ვინც ჩემი ნების  
                                 მოიმედეა,

არგონავტები ცივად გამეშვა და დამეტოვა  
მხოლოდ მედეა.  
მე კი რა ვქენი, მისანის რჩევით, იაზონს მისი მოვთხოვე  
ქმრობა  
ასეთი გზებით შემეძლო მხოლოდ, მომესპო მათთან  
კოლხების მტრობა.

## იაზონი

შენ ცუდად დარდობ, ბრძენო მეფეო, შენი მოთხოვნა  
გასაგებია,  
ამ გზით ჩვენ მდევრებს გზას ჩაუკეტავ, სიტყვა ამ აზრზე  
ანაგებია,  
მე არ მწყენია შენი ნათქვამი და არც მეგობრებს  
უთქვამთ უარი,  
ეს ჩემი ფიქრის აღსრულებაა, არა მუქარა ან სატყუარი,  
მეფის ასულის ცოლად მოყვანა, გრძნობების გარდა,  
არი პატივი.

შენ შეასრულე ჩემი სურვილი, შვება მომგვარე,  
არაფერს ვჩივი,  
ერთი ეგაა, თავად მედეა, სულ სხვა პირობის  
იყო მსურველი,  
თუმც მოვენონე, როდი მეტრფოდა და ამის გამო  
შემიწყო ხელი,  
მისი პირობა იყო ასეთი, როცა იოლკოსს გავმეფდებოდი,  
მას კორინთოში გავამეფებდი, ერთგულ გუშაგად  
თან გავყვებოდი  
და ამის შემდეგ გულს გადმიშლიდა, ეგებ თანხმობას  
კიდეც მეტყოდა.  
პირობა მივეც, მიტომ მიშველა, სხვა გადამწყვეტი  
არა მეთქმოდა,  
ახლა დაჩქარდა საკეთებელი, მე თანახმა ვარ  
თუ მომცა ხელი,  
მოვა, აუხსენ, რა რადა ფასობს, არ დავიბნელოთ  
სოფელი ვრცელი,

სხვაფრივ კოლხები არ დაგვინდობენ, სიმართლე  
იმათ მხარეს იქნება,  
იქნებ მშვიდობით დავშორდეთ მდევრებს და  
ავასრულოთ ღმერთების ნება.

## ალპინოე – ფეხითა ჩიზე

მე კარგად ვიცი კაცური წესი, წინაპართაგან არი ნათესი –  
მტერიც რომ იყოს, თუ სტუმარია, უნდა გაუყო  
აბედი-კვესი,  
შენი თანმხლები არგონავტები, როგორც მოყვრები  
ჩემთან სტუმრობენ,  
ჩუმად იარაღს აუღარუნებენ, მახვილს ლესავენ,  
არა ხუმრობენ.  
მდევრებს, ვიცი არ დაწებდებიან, ომში სიკვდილი  
გმირებსა შვენის,  
მაგრამ რის გამო, ეს თუ არ იცი, ხდები ამყოლი  
ავყია ენის  
სტუმრების დაცვა ჩემია ვალი და არც გავხდები  
ბედის საწყალი,  
ერთიან ძალით მდევრებს ვაოტებთ, შურისძიების  
დაგუვსოთ თვალი,  
მაგრამ ხომ უნდა კარგად განვსაზღვრო ვის შევეჭიდო  
ანდა რის გამო,  
კოლხები ჩვენი ახლობლებია, მეგობრობა გვაქვს  
მათთან საამო,  
ჩვენ მათთან გვმართებს მშვიდობით ყოფნა, მშვიდობა  
ბრძენთა მონაგებია,  
თუნდაც ამიტომ მდევრებთან შებმა ჩემ სამეფოსთან  
ნასაგებია.  
მას დავუმატოთ დიდი შედეგი, აიეტი რომ  
შეიტყობს შედეგს,  
შურისძიებით აღიკაზმება, ჩვენ დაგვამარცხებს,  
მოძებნის შემდეგს,  
გავიმეორებ, კოლხეთის მეფეს, ქვეყნად ვერავინ  
გაუტოლდება,

ლომი თუ ალსდგა შემართებული, არავინ იცის  
აქ რა მოხდება.

## პრეზიდენტი – ფინანსთა დეპარტამენტი

მეფეს არ აწყობს ძლიერთან ომი, რასაც მოჰყვება  
ქვეყნის დაქცევა,  
საქმეს არ შველის სტუმრობის წესი და არცა მხიბლავს  
სტუმრების ქცევა.  
შენ თუ მზადა ხარ დაუდგე გვერდით, ტანჯვა იგემო,  
დაიცვა მკერდით,  
ამათაც უნდა გაიგონ შენი, მედეას კრძალვით რატომ  
გუცექერდით,  
ის არა მხოლოდ მეფისწულია, ჯადოქრობაში  
დაუდევს წილი,  
გულთამხილველი და მკურნალია, წამლებითა აქვს  
თახჩა ავსილი.

## 01ზონი

იოლკოსიდან კოლხეთის მხარეს, ზღაპრად ითქმება  
როგორ ვიარეთ,  
პე-ლაზგ გმირების შევკრიბე წყება, ერთურთის  
აზრი გავიზიარეთ,  
განა რა გვსჯიდა, შორი გზა მოვლეთ კერას  
ვიყავით ბედსვიანები,  
საერთო საქმემ გვაერთიანა, რადგან ქვეყანა იყო ნავნები.  
გაგეგონება და გაგახსენებ, საპელაზგოში ბევრი ტომია,  
მათ მრავალ მეფეთ შორის ვერ ნახავ, რომელსაც  
სხვასთან არ უომია,  
ჰოდა, შეთანხმდნენ, მშვიდობის მიზნით, ომფალოს  
ქვასთან, ჰქონდეთ შეხვედრა,  
დელფოს მისანი მოახსენებდა ღმერთების ნებას,  
ვინ, რას ევედრა,

ამ სამისნოსთვის, მორიგეობით, მეფენი საღმრთო  
ვერძს გამოზრდიდნენ  
ოქროს საწმისს კი მას გადასცემდნენ, ვისაც მორიგე  
მეფედ ჩათვლიდნენ,  
და მოხდა ისე, რომ ათამანტმა, ოქრომენს დიდხანს  
ვინაც მეფობდა,  
მორიგე ვერძი ვის ეკუთვნოდა და ოქროს საწმისს  
დროებით ფლობდა  
დაჲკარგა ვერძი, მასთან საწმისი, ლვთიური ნების უტყვი  
ნიშანი  
წასულთა სულებს წაერთვათ გეზი, გმირებს მიეცათ  
ბრძოლის მიზანი.

### ალპინო – ფეაპთა მეფე

ათამანტს დიდი ჰქონია ცოდვა, საერთო საქმეს  
ვერ მოუარა,  
ლმერთების წყრომა დაიმსახურა, მოძმე  
მეფენი დაამწუხარა,  
პელაზგებს შორის ოქროს საწმისი, მე გამიგია,  
დიდადა ფასობს,  
მისი მფლობელი უძლეველია, მიდის, მიიბრძვის  
და მიკისკასობს,  
მე მხოლოდ ერთი ვიცი შემთხვევა, ახლახანს იყო,  
მითხრეს და ვიცი,  
ოქროს საწმისი ძმას გამოსტაცა, მაგრამ ვერ გახდა  
ქვეყნის საფიცი.

### იაზონი

სანამ იოლკოსს მივატოვებდი და კოლხეთის გზას  
დავადგებოდი,  
ამბად გავიგე პელოპსის ვაჟებს, ვისაც ვერც ვცნობდი,  
ვერც შევხდებოდი,  
არაკაცობით მოსვლიათ დავა, ჯიშში ჰქონიათ  
გაუტანლობა,

მამა მოუკლავთ, მერე დის ქმარი, ასე სცოდნიათ  
მოყვრობა-ძმობა.  
როცა დის შვილიც გზას გაუყენეს, ბოროტი ძალა  
მიკენს უჩვენეს,  
ქალაქის მეფედ დაჯდა ათრეი, მძიმე ცოდვებმა  
გინც შეაჩვენეს.  
ძმას და მეწყვილეს ფიესტს შეშურდა, ისიც იბრძოდა,  
მეფობა სურდა,  
სიძეს რომ კლავდა, განა ფიქრობდა, რომ დარჩებოდა  
ნადავლის ხურდა,  
პოდა, იწყინა, აივსო ჯავრით, მამა თუ მოკლა  
დმას დაინდობდა?  
გაუმაძლარი იმისი გული ტოლად და ცალად  
არავის ცნობდა  
და მოიფიქრა: შეუჩნდა ძმის ცოლს, თავი აძლია  
და დააძალა,  
ქალიც ქალია, ჭკუა მოკლეობს და მოკლედ  
მოკლეც გამოეცალა.  
ერთად გათვალეს. მიკენის მეფეს ვერძი ჰყავს  
ოქროს საწმისიანი,  
თუ მოსტაცებენ, ტახტს წაართმევენ,  
გამეფებიან ცოდვილიანი.  
ასეც მოიქცნენ, ვერძი მოსტაცეს, მაგრამ ვერ შეძლეს  
მეფედ დაჯდომა.  
ქურდი, ყაჩალი და მოლალატე მეფედ არა ცნეს,  
არვინ ინდომა,  
ფიესტს მოუხდა სხვაგან გაქცევა, ახლა სად სახლობს  
მე აღარ ვიცი,  
საწმისი ისევ ათრეის დარჩა, ქვეშევრდომებმა  
მას მისცეს ფიცი.

## პლანე – ფეატა მეფე

ოქროს საწმისი პელაზგებს შორის თუ ხელმწიფობის  
არის ნიშანი,

მაშინ ათამანტს ვინდა ამეცებს, საქმე მოსვლია მოხუცს  
უგვანი.

## იაზონი

ოქროს საწმისი უფრო მეტია, ვიდრე ნიშანი  
ძალაუფლების,  
ღმერთების ნების გამჟღავნებაა, აქ დახმარების  
და იქ თან ხლების,  
რაც დაგვეკარგა, ძალა წაგვერთვა, ვერ ვუპატრონეთ  
წასულთა სულებს.  
ზვარაკს არ ჰქონდა ღვთიური მადლი, ვერც იამოსი<sup>1</sup>  
კურნავდა წყლულებს,  
ამიტომ იყო საპელაზგოში მის დაბრუნებას  
ყველა ცდილობდა,  
მაგრამ კოლხეთი საითკენ იყო, არც ვინ იცოდა და ვერც  
ვინ გრძნობდა,  
სანამ ათამანტს არ მიუვიდნენ დანაბარებით ფრიქსეს<sup>2</sup>  
შვილები,  
მამით მეფობის მტკიცედ მსურველნი, თუმცა კოლხეთში  
გამოზრდილები.

## პლანო – ზეაკთა მეცე

ათამანტს ჰყავდა ფრიქსე და ჰელე, პირველ ცოლისგან  
ასე გვაქვს ცნობა,  
რად მოიშორა მეფემ შვილები, რად გაუცივდა  
მამური გრძნობა?

## იაზონი

ეს ამბავია ცუდად სათქმელი,  
ათამანტს ბედმა დარია ხელი,  
ცოლს გაეცალა, სხვა მოიყვანა, კაცი ფიქრობდა  
შვილების მცველი

1. იამოსი – დაჭრილთა, ავადმყოფთა მკურნალი, ღმერთ აპოლონის ვაჟი.

2. ფრიქსე – ათამანტის ვაჟი, რომელმაც ვერძი და საწმისი კოლხეთში აი-ეტს მიართვა.

დედინაცვალმა გერებს უგანა, მათი სიკვდილის იყო  
მსურველი,  
და მიაღწევდა დასახულ მიზანს, გაიხარებდა  
ღალატი ძველი,  
რომ არა ზრუნვა ერთგულებისა, რომელთაც ბალებს  
ასწავლეს გეზი,  
ვერძი საწმისით თან გაატანეს, რაც გახდა ჩვენი  
ბრძოლის მიზეზი

## პრეტე

დედინაცვალის მოღალატობა, ათამანტის  
როგორ გამოეპარა,  
შვილებს უგვანი როგორ არჩია, ავი აყვავა და გაახარა,  
არა ყოფილა მეფობის ღირსი, თუ ქალის ჭკუით  
ქვეყნად იარა,  
შვილები დათმო, საწმისი დათმო, ერს გაუჩინა  
ეჭვის იარა,  
ვთქვათ ერთხელ შეცდა, მაგრამ როდესაც კარზე  
მიადგნენ შვილთა შვილები,  
რატომ მეფობა არ დაულოცა თუ გმირად  
იყვნენ გამოზრდილები?

## იაზონი

მათი შეხვედრის მოწმე არა ვარ, მაგრამ მრავალჯერ  
გამიგონია,  
თვით ათამანტის ვიცი ნათქვამი, რომ დამავიწყდეს  
არა მგონია.  
ასე ამბობდა: ბადიშთა მამამ, ფრიქსე კი იყო  
ჩემი მემკვიდრე,  
მომტაცა ვერძი, მასთან საწმისი, ავასრულებდი ღვთის  
ნებას ვიდრე,  
მე რაღა მექნა, ასე მიამბეს, რაც ჩემ წარგზავნილს  
უთხრა მისანმა,  
უნდა დახოცო ფრიქსე და ჰელე, რომ გაამართლოს  
ქვეყნის მიზანმა.

არა და ყველა დაიღუპებით, ასეთი არის  
ღმერთების ნება,  
ჩვენი სიცოცხლე მათ აბარიათ და არც ვყოფილვარ  
მათთან თავნება.  
და სწორედ მაშინ, როცა შვილები უნდა გამეღო  
ღმერთის ზვარაკად,  
მოხდა ისეთი, რაც ჩვენ მომავალს გაახსენდება  
ზღაპარ-არაკად.  
მიღალატეს და გაქრნენ შვილები, თან გაიყოლეს  
ვერძი-საწმისით,  
წასულთა სულებს დაეხშოთ კვალი, შენი თუ დათმე,  
ივარგებ ვისით?  
გავიდა წლები, ოთხი ვაჟკაცი კარზე მომადგა, მეფის  
ტახტს მთხოვენ,  
არა ფიქრობენ, ცოლთან ახალთან სხვა შვილები მყავს  
და სისხლსა მწოვენ.  
ამიტომ, როცა მთხოვეს მეფობა, სხვა მეფეებთან  
შეთანხმებულად,  
წინაპირობად ვითხოვე განძი დაბრუნებოდა  
ორქომენს სრულად.  
იგივ პირობა მე წამიყენეს, ამიტომ არგოს მოვეთათბირე,  
ის, მისი ძმები მელას, ფრონტისი და კიტისორე ოთხ  
ძმაში მცირე.  
კოლხური წესით გემს ააგებდნენ, რადგან ასეთი ჩვენ არ  
ვიცოდით,  
მხოლოდ კოლხური ან და კრეტული, სხვაფრივ კლდეთ  
შორის ვერ გავიდოდით,  
არგომ დასძლია შეუძლებელი, მიტომ სახელი  
გემსაც ვუწოდეთ,  
შევკრიბეთ გუნდი ვაჟკაცებისა, ბევრი შევიძლეთ  
და ბევრიც ვცოდეთ.

არეტი – ფეაპთა დედოფალი

საპელაზგოდან კოლხეთისაკენ თუ არგოს გემით  
სწრაფად იცურეთ,

ბევრი ხიდათი გზაში შეგემთხვათ და ბევრჯერ  
ოფლი ჩამოიწურეთ,  
თუ აიეტი ღალატით ძლიერ, ოქროს საწმისი  
რაშია თქვენი დამსახურება, რა გაამაყებთ  
წუთისოფელში?

### ალპინოე – ფეატა მეცე

ახლა არაა დრო შეფასების, ახლა მთავარი არის ქმედება,  
ვინც არ დაკარგავს დროს ლაპარაკში, მას წარმატება  
დაებედება,  
კარს მოგვდგომია აიეტის ძე აფსირტი მხნე  
და დაუდგომელი,  
შურისძიებით არის აღვსილი, წინ დაუდგება მითხარ  
რომელი?  
მას მხარს უმაგრებს ხალიბთა მეფე, ჰალიძონებსაც  
ჩვენში იტყვიან,  
უნდა ვიღონოთ რამ საოცარი, რომ სტუმრებისთვის  
არ იყოს გვიან,  
მოვეთათბირე ადათთა მცოდნეს, ათენას ვთხოვე,  
ზვარაკი ვწირე,  
დაგვალიანდი რა შეიძლება და ბოროტება  
ვარჩიე მცირე  
თუ იაზონი ხელს სთხოვს მედეას, ქმრის გვერდში დგომა  
ქალის ვალია,  
აფსირტი ცოლ-ქმარს ვერ დააშორებს, უნდა ჩავხერგოთ  
გზა საგალია,  
ამიტომ ვითხოვ, თუ სურს იაზონს, რომ დავიფარო  
და მივეხმარო ,  
უნდა იჩქაროს, კავშირი შეჰკრას, შურისძიების  
დავწრიტოთ წყარო.

### იაზონი

როგორც მეფეს და როგორც მასპინძელს, პატივს  
მოგაგებ და გეთანხმები,

მომეც უფლება ვნახო მედეა და სამომავლოდ  
 შეგაწყოთ ხმები,  
 თუ დავითანხმე, ჩვენც გადავრჩებით, სამეფოც  
 რბევას გადაურჩება,  
 მაგრამ ჩემს სიტყვას თუ არ აქვს ძალა, თუ გამებუტა  
 და მეურჩება.  
 შენ გადაწყვიტე მედეას ბედი, და-ძმის თანხმობა  
 შენ მოაგვარე,  
 მე კი ვაცნობებ ჩემთან მყოფ გმირებს, რომ მომავალი  
 გვექნება მწარე,  
 რადგან არ დავთმობთ საწმისს უომრად, ხელში  
 ჩავიგდეთ, ახლა დავკარგოთ?  
 დავთმოთ საწმისი ან და სიცოცხლე, რომელი  
 როგორ უნდა განვკარგოთ,  
 მაშინ არა გთხოვ ჩვენს მფარველობას,  
 თუ გმირები ვართ, მკლავი გავსარჯოთ,  
 იმიტომ მოგვცა დედამ სიცოცხლე, სამშობლოსათვის  
 კიდეც დავხარჯოთ.

(იაზონი წესისამებრ ეთხოვება ალკინოესა და არეტეს და  
 მიღის მედეასთან. შემოდის აიეტის ძე აფსირტი ჰალიძონების  
 მეფე ოდიოსთან ერთად)

## აზსირტი

მეფეს ბრძენსა და ჭარმაგს თავს გიკრავ, შენთან  
 დედოფალს პატიგს მივაგებ,  
 თუ მეგობრობის არ მესმის ფასი, მაშინ მეგობრად  
 როგორ ვივარგებ,  
 მაგრამ მიზანი დღეს ჩემი სხვაა, იცით აქეთკენ  
 რატომ ვიცურეთ,  
 მენიჩენებიარ შევასვენე, ოფლის მდინარე ჩამოვიწურეთ.  
 ახლა აქა ვარ, უნდა გადმოგცე კოლხეთის მეფის  
 შემონათვალი:

მშვიდობა იყო მუდამ ჩვენ შორის, არ გამქცევია  
საომრად თვალი ,  
კვლავაც მშვიდობა რომ იყოს ჩვენში და მეგობრობა  
უფრო განმტკიცდეს,  
რაც სიტყვით გვითქვამს, დაგვიფიცია, იგივე საქმით  
უნდა დამტკიცდეს ,  
ბევრს არ მოვითხოვ, შენი არ მინდა, შენ კარგად უწყი,  
რაც იყო ჩემი,  
ჩემი ასული, ჩემი საწმისი, ჩემი კაცობა თვალში საცემი  
დღეს შენს ხელთაა, შენ გადაწყვიტე, თუ უკან მომცემ  
და დამიბრუნებ,  
ჩავთვლი ლალატი არა გდომნია, მცირე შეცდომა  
მოგსვლია უცებ,  
თუ არა, ჩვენში რაც იყო წმინდა, ყველა სიკეთე  
დაკარგულია,  
შედეგიც იცი, არ დაგიფარავ, მარტივად მოხდეს ის რაც  
რთულია.

### პლიტო – ფეატა მეფე

ვიცი რთულია სიმართლით ჭედვა, სიმართლის ხედვა  
არა ნაკლები,  
კოლხი გმირები მოგიყვანია, გინდათ შეიქმნათ  
ქვეყნის ამკლები,  
ოდიოსია შენ გვერდით მდგომი, ჰალიძონების  
მეფე დიადი,  
შენი რომ ვიცი, მისიც ვიცოდე, რაა განზრახვა  
და ხვაშიადი?

### ოდიოსი – ჰალიძონების მეფე

ჩვენ, ხალიბები – ჰალიძონები, უკიდეგანო  
სოფლის მფლობელი,  
ბევრის შემკრები, მეტის მსურველი, ბევრის მნახველი,  
მეტის მშობელი,

წამოსულები ხალიბეიდან, ვანის ზღვის კიდეს  
ხელის მიმწვდენი,  
ნათესაობას კოლხებთან ვთესავთ, სიკეთე არის  
ჩვენში იმდენი,  
კოლხებს ვსტუმრობდი, მეფე აიეტს მამა-შვილობა  
კიდეც ვუთხარი.  
მეფის ასული საცოლედ მსურდა, ნათესაობა  
გვერონოდა მყარი,  
აფსირტის გავხდი ძმად შენაფიცი, მისი აზრები  
გავიზიარე,  
მანაც გამიგო, ჰალისის მხრიდან კოლხეთის მხარეს  
რატომ ვიარე,  
ყველა კეთილად დამთავრდებოდა, ჩვენში ერთობა  
გამყარდებოდა,  
რომ არა ხრიკი პელაზგებისა, არა კაცობა არ მოხდებოდა.

## ალპინო – ფეაპთა მავე

ჰალიძონები მძლავრია ჭომი, ბევრის მფლობელი და  
მეტის მდომი  
ოდიო მეფე გმირებში გმირი, მაგრამ რად უნდა მას  
ჩვენთან ომი?

## აზსირტი

ოდიო ჩემი ძმად ნაფიცია, მეფე, მედეას  
საქმროდ მინდოდა  
რომ არა არგოს მხლებელთ ღალატი, ეს ჩანაფიქრი  
გამოვიდოდა  
შეერთებული ჩვენი ძალები, ნებისმიერ მტერს  
დაამარცხებდა  
დაცული არის ჩვენი სამეფო, სუსტი ძლიერებს ხელს  
ვერ ახლებდა  
კაცის აზრებზე ღმერთს ეცინება, როგორ მოხდება,  
მისია ნება,

ღმერთი იფარავს გულით მორწმუნეს, მისგან ისჯება  
ყველა თავნება.  
ჩვენ ყველა ვიცით, რაც უნინ იყო, კორიბიშებში  
ჩაგვიწერია,  
ვერვინ აიცდენს ღმერთების ნებას, აუსრულდება  
რაც უწერია.

### პლანეტა – ზეაპთა მეცე

როგორც გავიგე ოდიო იყო, მედეას საქმრო,  
ხელის მთხოვნელი,  
ახლა მოსულა კოლხებთან ერთად, რომ აისრულოს  
სურვილი ძნელი?

### ოდიოსი – ჰალიდონების მეცე

მეფე ხარ ღმერთთა ნებით დასმული, მეფის ლირსება  
სიმართლით ჩნდება,  
თუ დღეს ერთს ფიცავ, ხვალე მეორეს, ზეგაც იგივე  
განმეორდება,  
მე თუ ვარ მეფე, მე უნდა დავდო ჩემ ნასროლ სიტყვას  
სიმართლით ფასი,  
მონა არა ვარ თავს მოვატყუო, სხვასთან ვიცრუო  
მრავალათასი.  
კაცის კაცობა ქცევითა ჩნდება, თუ გაამრუდე,  
კაცობა ტყდება,  
შემდეგ რამდენიც გინდა იფიცო, რაც იყო  
ალარ განმეორდება.  
მე აფსირტს ვუთხარ კაცური ძმობა, სიტყვის მონა ვარ  
და მაძევს ქმობა.  
როცა დასჭირდა, როცა შემეძლო, რა კაცობაა თხოვნა  
და ხმობა,  
ვარ მისი შემწე, მან გადაწყიტოს, რა აქვს მამისგან  
დანაბარები ,  
მე მის გვერდით ვარ ჩემი გმირებით, მტერს შევუნგრიოთ  
გულის კარები  
და ამას გარდა მე იაზონმა ქალი მომტაცა,  
დამივსო თვალი,

პირისპირ მინდა მასთან შეხვედრა, არ დამჭირდება  
შორით თვალთვალი.

## ალპინი – ფეატუა მეზე

თქვენი გავიგე, ისაც ვიაზრე, ადრე თუ გვიან  
მომადგებოდით,  
თუ ვარ ორგული, სიტყვის გამტეხი, ბალლები არ ხართ  
და მიხვდებოდით.  
ამიტომ გეტყვით რასაცა ვფიქრობ, ხვალინდელი დღე  
ვით მესახება,  
თუ რომ ვიცრუო ან ვიეშმაკო, მოკვდეს კაცობა,  
გაქრეს სახება,  
როცა მომადგნენ სტუმრად გმირები, პელაზგთა მხარეს  
გამოზრდილები,  
მათში ათენის მეფე თეზევსი, სიტყვით ტკბილები,  
ქცევით ზრდილები  
და მათთან ერთად კოლხი ასული, მასში მედეა უცებ  
ვერც ვცანი,  
მე რა ვიცოდი, სად რა გადახდათ და ვერც გავიგე მათი  
მიზანი,  
სტუმრებს მასპინძლად არ დავხვედროდი, რა იქნებოდა  
ჩემი იერი,  
განა იმიტომ ვმეფობ ფეაკებს, სამეფო ჰყვავის  
სვებედნიერი.  
მოყვრად მოსულებს პატივი არ ვცე, მტრად მოკიდებულს  
დავხვდე მტრულადა,  
სხვა გზა არ მქონდა, მასპინძლის ვალი, მე აგასრულე  
მათთან სრულადა.  
შემდეგ გამიტყდნენ, მითხრეს მედეა იაზონს ეტრის,  
როგორც ქმარს ცოლი,  
მე რაღა მექნა, როგორ დამეწვა შეყვარებული  
ცოლ-ქმრის საწოლი?  
პატივს მივაგებ მეფე აიეტს, მშვიდობა არის ჩვენი  
ნარსული,

როგორ გამეგდო და არ მიმელო კოლხეთის მეფის ტურფა  
ასული? სანამ მედეა სტუმრობს ფეაკებს და ქალკიოპეს გმირი  
შვილები აიეტისგან დალოცვილები, მისივე ზრუნვით  
გამოზრდილები. ვალდებული ვარ მათ პატივი ვცე და დავითარო, შემძლე  
ვარ რისი, მეწყინებოდა ჩემ შვილებისთვის თქვენ არ მიგეგოთ  
რამ საკადრისი, სხვა რამ არ ვიცი, არც ცოდნა მინდა, ჩემი განზრახვა  
ასეა წმინდა, სხვაგვარად რამე თუ მოგეჩვენოთ, სიტყვა ითქვა  
და ჩიტი გაფრინდა.

### პფსირტი

თუ როგორც ამბობ, ისეა ყველა, მე შენი ვიცი და  
შენი მჯერა, მაგრამ სიმართლე სხვაგვარი არი, შენგან ნათქვამში  
სხვა არი უღერა, უკვე გითხარი, საპელაზგოდან ვიდრე დისწულნი  
მოგვადგებოდნენ, მათთან გმირები სხვადასხვა მხარის სიცრუით ჭედვას  
შეეცდებოდნენ, ვიყავით მშვიდად. ოქროს საწმისი არესის ველზე  
მუხას ეკიდა, არავინ იყო მასთან მიმსვლელი, ვერც გაბედავდა,  
რაიმეს ცდიდა, ოდიო იყო ჩვენთან სტუმარი და საქორნილოდ  
ვემზადებოდით, ერთ-ურთის გვქონდა სრული გაგება და არაფერში  
დავზარდებოდით, ერთ დღეს მოგვადგნენ კარს დისწულები, მათთან  
პელაზგი ვაჟვაცთა გუნდი,

მუსთლობით სურდათ მიზნის მიღწევა, მივხვდი, ვიაზრე,  
კი არ მოვდუდი,  
მხოლოდ ეგ იყო, მამამ პირობა იაზონს ისე წამოუყენა  
ვერვინ შეძლებდა მის შესრულებას, შვილი ვარ,  
მაგრამ მეც კი მეძნელა,  
თუ ამ პირობას იოლკოსელი<sup>1</sup> ნირშეუცვლელად  
შეასრულებდა,  
ოქროს საწმისი მიეცემოდა, სხვას აღარაფერს  
დაავალებდა.  
მათ რა შეეძლოთ, მაგრამ მედეა რაღაც ხრიკებით  
გადაიბირეს,  
ქალი მოგვტაცეს, ოქროს საწმისიც, ავი გვაკადრეს,  
დედა გვიტირეს,  
სუთი გემით ვარ დადევნებული და კიდევ სამი ოდიოს  
ახლავს,  
მახვილს მხოლოდ ის გადაურჩება, ვინც დაგვასწრებს  
და თავს დიდ ქვას ახლავს.  
შენთან ჩვენ რა გვაქვს საჩხუბ-სადაო, განზე გადექი,  
მოგვეცი წება,  
მტყუანი-სუსტი ძლიერს რას უზამს, ტყუილად რამეს  
დაიქადნება.

## ალკინო – ფეატთა მეფე

აქ ორი არი საკითხი რთული, რომ დავრჩეთ ორნივ  
წელგამართული,  
უნდა გამოვყოთ ქალი, საწმისი, ჭეშმარიტება  
ავწონოთ სრული,  
ქალი შენია სისხლი და ხორცი, მაგრამ სხვისია,  
ქალი – ქალია,  
გათხოვდება და ქმარს მიუდგება, ქმრის გვერდზე ყოფნა  
მისი ვალია.

1. იოლკოსელი – არგონავტთა წინამძღოლი იაზონი საპელაზგიოს ქალაქ იოლკოსიდან იყო.

თუ კი მედეა იაზონს ეტრფო, თქვეს და მტკიცე აქვთ  
 ცოლ-ქმრის პირობა  
 და როგორ გინდა ქმარს დააშორო, განა ასეთი  
 მოგდგამს გმირობა?  
 რაც შეეხება საწმისს. საწმისი განა ათამანტს  
 არ ეკუთვნოდა?  
 განა დაკარგა, ჩუმად მოპარეს, რა უკან  
 აღარ დაბრუნებოდა?  
 შენ გამარკვიყ და თანახმა ვარ, ორივ საკითხი  
 შენთან განვსაჯო,  
 თუ დამნაშავედ რომელი ვცანი, გავასამართლო,  
 მკაცრად დავსაჯო.

## აუსირტი

შენი პირობა მისაღებია, რაც უკვე გითხარ, გავიმეორებ,  
 სიმართლეს ვიტყვი, რატომ ვიცრუებ, პირს ავიყროლებ,  
 სულს ავიმძორებ,  
 ჭეშმარიტია, მედეა დაა, დის გვერდით დგომა ძმებს  
 კისრად გვანევს,  
 მაგრამ თუ ქალმა რამ ჩაიფიქრა, ასეთ სიმძიმეს ღმერთიც  
 ვერ აწევს.  
 მედეა სხვაა, ქალობის გარდა, მას ჯადოქრობა  
 ენიფებოდა,  
 ყველაფრის ცოდნა ყოველთვის სურდა და კორიბიშებს<sup>1</sup>  
 ენაფებოდა.  
 ყველა ბალახი იცოდა ზუსტად, ყველა წამალი  
 და საწამლავი.  
 ყველა შელოცვა, ყველა დალოცვა, მაცოცხლებელი  
 ანდა მომკლავი.  
 ის რომ იაზონს არ მისდგომოდა, გულს არ ჩაედო  
 მამის ღალატი.  
 არ გაეწირა სოფლის ამაგი, არ დაემსხვრია  
 სალოცი ხატი,

1. კორიბიშები – ტყავზე ნაწერი კოლხური წიგნები.

იაზონი და მისი თანმხლებნი, კოლხეთის მიწას  
მიბარდებოდნენ,  
მისი დის წულნი, ჩემი დის წულნი<sup>1</sup> ვერც ერთი ვეღარ  
გადარჩებოდნენ.  
მოღალატეა ჩვენთან მედეა, მასთან დის წულნი,  
ღალატის თავნი,  
მე გადმომეცი, მამას მივგვარო და ეს იქნება  
მშვიდობის თავნი,  
რაც შეეხება საწმისის ამბავს. თესალიაში  
ყველამ იცოდა,  
ოქროს საწმისი დელფოსი იყო, მას ეკუთვნოდა, ვინც  
იქ ვიღოდა.  
ათამანტს ჰქონდა მხოლოდ დროებით, ვერ მოუარა  
და დაეკარგა,  
დაკარგული კი მან დაიფარა, ვინაც იპოვა, ვინაც ივარგა.  
ხომ იყო ის დრო, როცა კორინთო, როცა დელფოსი  
და სიმონიდე,  
სალოცავები ამ წმინდა მხარის და თავად მიწა  
კიდიდან-კიდე,  
მეცე აიეტს რომ ეკუთვნოდა, მისი იყო და კიდეც იცავდა,  
ვით სხვა მეფენი პელაზგებისა, პელაზგთა მეფეს რით  
არ მიჰვავდა?  
როცა განდევნეს იონელებმა, კოლხეთს მივიდა  
და დაესახლა,  
მაგრამ საწმისი მისიც ხომ იყო, რა განსხვავება  
გამოდის ახლა?  
ლმერთების ნებით, როდესაც ფრიქსემ, ოქროს საწმისი  
მას ჩააბარა,  
ამით ლმერთების გული მოიგო და აიეტიც მით გაახარა,  
ახლა პელაზგებს და იონელებს, ღალატით  
განძი მოუპარიათ,

1. მედეას უფროს და ქალკიობეს ათამანტის ვაჟ ფრიქსესაგან ჰყავდა ოთხი შვილი არგო, მეღასი, ფრონტისი, კიტი სორე.

ლამით ქურდობის გზას დასდგომიან, არაკაცობით  
გაუხარიათ,  
ამიტომ ვითხოვ, ხარ მართლის მთქმელი, სიტყვასთან  
საქმის რომ იყო მქნელი  
შენი თანხმობით მშვიდობიანად, რომ დავასრულოთ  
ეს საქმე ძნელი.

### ალპინის – ფეატთა მეფე

შეგაწყვეტინებ, სიტყვაზე გიჭერ, ჩემსავით შენაც  
მშვიდობა გინდა,  
მაშინ შევთანხმდეთ, ერთურთს შევფიცოთ, ჩვენი<sup>1</sup>  
ნათქვამი რომ იყოს წმინდა,  
ზვარაკი ვწიროთ და დავადგინოთ, ოდიო მეფე  
არ ჩაერიოს,  
ვატყობ ფიცხია შემართებული, თავი მოთოკოს  
და მოერიოს.  
გადასაწყვეტი შენ გადაწყვიტე, მისატევებელს  
შენ მიუტევე,  
შენ ცალკე შეხვდი დას და დისწულებს, დამნაშევენი<sup>2</sup>  
შენ დაატყვევე,  
განზე გავდგები თუ ხარ მართალი, ნათესაური  
თუ იცი ვალი,  
ვინც წინ დაგიდგეს და შეგიშალოს გაუხმეს მკლავი,  
დაევსოს თვალი,  
სასახლის გვერდით ათენას ტაძარს ერთად ვეახლოთ  
და მივცეთ ფიცი,  
ნათქვამს დავიცავ, თქვენც არ გადახვალთ, კაცური  
სიტყვა ასეთი ვიცი.

\*\*\*

/მედეა და იაზონი/

### იაზონი

მეფის ასულო, ჩვენი პირობა, დღემდე არაფრით  
დამირღვევია,

მოცემულ ფიცის ვიყავ ერთგული, ფუჭად ფიცილიც  
არა მჩვევია,  
ღმერთების ნებით იცვლება ყველა, თუ რამ ცუდდება,  
მათ ძალუძთ შველა  
საქმე მოითხოვს გითხრა რაც ხდება, სათქმელი თუმცა  
ძალზე მეძნელა.

## მედება

ჩემს სმენას ჩაწვდა ამბავი მნარე, ყველა განვსაჯე  
და ვაღიარებ,  
ფეხაკთა მეფე და დედოფალი თუ მიხურავენ სტუმრების  
კარებს,  
არ ჩაეთვლებათ ჩვენთან დიდ ცოდვად და ვერც  
საყვედურს მათსას ვიტყოდი,  
რადგან ჩემ ღალატს რა მოჰყვებოდა, პატარა არ ვარ,  
კარგად ვიცოდი.  
განა ვერ ვგრძნობდი ოქროს საწმისი აიეტს როგორ  
ძალას მატებდა,  
რა არი მისთვის დელფოს სამისნო ან სიმონიდეს  
რატომ აქებდა,  
რა ძნელი არი დაპკარგო განძი, მეფობა მასზე  
ბევრად მეტია,  
მეც ამ განცდებით ვიყავ აღზრდილი და გრძნობა გულში  
არ ჩაეტია.  
მუდამ ვფიქრობდი, რა უნდა მოხდეს, რომ ავასრულო  
მამის მიზანი,  
შეეძლოს მშობელს არ შეეხიდოს, ჩვენში ვერ ნახო  
ასე უგვანი.

## იაზონი

შენ გულის გრძნობამ კი არ გაცთუნა, მამის კვალს  
მისდევ, კიდეც ეცდები,  
სიტყვა მოგეცი, უკან არ ვიხევ, ყოველ უამს მენდე,  
შეგეხიდები,

მაგრამ მანამდე შორი გზა არი, არავინ ვიცით  
როგორ ვიაროთ,  
ერთ-ურთს შევფიცეთ და ერთმანეთის ჭირი-ვარამი  
გავიზიაროთ.  
ნუთუ ვერა გრძნობ ამ მიზნის გარდა, რომ ჩემი გრძნობა  
შენთვის ირევა,  
მწარე და ტკბილი ფიქრები მტანჯავს, კაცი განცდებით  
გადაირევა,  
პირობა გვქონდა, შევუღლდებოდით, როცა კორინთოს  
გამეფდებოდი,  
იმავ წუთიდან გზას გავყურებდი და აღსრულებას  
ველოდებოდი.  
მე რა ვიცოდი რა მოგველოდა, ფეავთა მეფეს  
ვესტუმრებოდით,  
უკან მდევარი მოგვადგებოდა, ახალ ხიფათში  
ჩავცვივდებოდით,  
ახლა ასეა, შმაგი აფსირტი, კოლხ მეომრებით სავსე  
გემებით.  
კარს მოგვდგომია, გზა მოუჭრია, დაგვხოცს თუ ნებით  
არ დავნებდებით,  
შენ თავს მოითხოვს, განუზრახია, მამასთან უკან  
რომ დაგაბრუნოს,  
ჰალიძონების მეფეცა ცდილობს ბრძოლის ყიუინა  
არ გაუხუნოს,  
ერთად ცდილობენ ფეავთა მეფე გადაიბირონ, დატოვონ  
განზე,  
გამზადებული მეომრებიც ჰყავთ ჩვენ დასახოცად ყველა  
გემბანზე  
ახლა ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ, შევებრძოლებით  
თუ დავნებდებით  
შევებმებით თუ გავერიდებით, რასაც გადაწყვეტ  
ღმერთების ნებით.

## მედეა

სიბრძნე კაცისა მრავალგვარია, ღმერთების ნებამ  
ისე არია,

ზოგს ერთი მოსწონს და ზოგს მეორე, მიდის, მიიბრძვის,  
მიუხარია, ჩემი მიზანი არი კორინთო, სხვა დანარჩენი მისკენ  
გზა არი,  
სიბრძნე მიზანის აღსრულებაა, სხვა, მოფიქრება  
სხვადასხვა გვარი.  
გზაზე აფსირტიმ თუ კი მიყელა, მისი ხერხები ვიცი  
სულ ყველა,  
დაკრავ და ისე გავაჭრევინებ, ვერავინ შეძლოს  
მდევრების შველა,  
მაგრამ მანმადე უნდა ვიცოდე, ის რას მოითხოვს  
ან მემუქრება,  
ბრძენმა თუ შლეგის იცის ბუნება, მიხვდება, როგორ  
ჩაუცხროს ნება.

## იაზონი

აფსირტის აზრი არი ასეთი, მამის ბრძანებით  
გამონაკვეთი  
შენ დაგაბრუნოს მშობლიურ კერას, არ დაგიტოვოს  
გზის მონაკვეთი,  
კარგად უწყიან, შენ თუ დაბრუნდი, მოგვყები,  
აღარ დავაგვიანებ.  
ვის რას დავაკლებ საკითხავია, ჩემ მომავალს  
კი დავაზიანებ  
აფსირტის აზრი მართებულია, ვისაც ჩემსავით  
ძნელად უვლია,  
ან ზღაპრულია მისი სახელი, ან უსახელოდ დაკარგულია  
შენ თუ დაბრუნდი, ეს იმას ნიშნავს, საწმისი უნდა  
უკან წაილონ,  
თუმც ჩემთან მყოფნი, მისი გულისთვის, ყველა მზადაა  
სისხლი გაიღონ,  
ოქროს საწმისი შენით მოგვეცა, საით წაიღებ, შენია ნება  
ნინ გადაგიდგეს, უარი გითხრას, არავინაა  
ჩვენში თავნება.

## მედება

დიდი დარდანის შთამომავალი, ილი, როდესაც კოლხეთს  
ვიდოდა,  
უშვილო კაცი, მიუსაფარი, რას ეწეოდა, განა იცოდა,  
კოლხეთში მეფეს უთხრა სიძობა, არ დაუწყია  
სიტყვაძვირობა,  
გრძნეული ქალი დაუსვეს ცოლად, ასეთი იყო  
მათი ბირობა.  
და პერიმედემ ქმარს მოუარა, უშვილოს ენდო, არ იუარა,  
უმკურნალა და შვილი აჩუქა, გვერდით დაუდგა  
და მიეხმარა,  
როცა მერმერო, იმათი ვაჟი, ტანს იკაუებდა,  
ფეხზე დგებოდა.  
პაპის სამეფოს ეახლა ილი, თუმც არ იცოდა  
რა მოხდებოდა.  
გრძნეულმა ქალმა იქაც უშველა და დაიბრუნა  
ილიმ კორინთო,  
თუ არ ეცადე, თუ არ იბრძოლე, ბედის სანთელი  
როგორ აინთო?  
კორინთო იყო დარდანის ბუდე, როცა ილტვოდა,  
გახდა ოცნება,  
ილიმ ოცნება საქმედ აქცია, ასეთი იყო ღმერთების წება.  
შემდეგ მერმერო მეფობდა იქვე, კოლხეთი ისეც  
მას ეკუთვნოდა,  
ორი სამეფოს ბატონი იყო და გრძნეულის შვილს  
უნდა სცოდნოდა,  
არ შეიძლება, რომ ერთდროულად ორ  
მდინარეში იჭყუმბალავო,  
თუ იქითაც ხარ და აქეთაც ხარ, თავს ჭირს გაუჩენ,  
ვერ დამალავო.  
თუმც ბრძენი იყო მეფე მერმერო და ასტეროპე  
ცოლადა ჰყავდა.

ვერა ხვდებოდა, ქალს აყოლილი, სამომავლო ხეს  
 უკულმა რგავდა,  
 ჰელიოს ღმერთი მანათობელი, ცის კამარას,  
 რომ ეფარებოდა,  
 ცოლ-ქმარს შორიდან უთვალთვალებდა,  
 ქალს შეუმჩნევლად ეპარებოდა.<sup>1</sup>  
 მისი თანხმობით და მფარველობით მერმერომ ზარდა  
 შვილი მრავალი,  
 აიეტს, უფროსს დარჩა მეფობა, ასეთი იყო გზა გასავალი,  
 პერსი, მისი ძმა ტავრიდის მეფედ დაადგინეს  
 და გზა დაულოცეს,  
 ვინც წინ დაუდგა, მტრობა ინდომა, მიჯრით მისულმა  
 ძმებმა დახოცეს.  
 დებში უფროსი ცირცეა არი, ბრძენი, გრძნეული  
 და ჯადოქარი,  
 ბევრი აღზარდა, ბევრს გზა უჩვენა, ღმერთებმა ბედი  
 მისცეს ამგვარი,  
 და პასიფაე არის უმცროსი, იზარდა, გახდა  
 მინოსის ცოლი,  
 კრეტას დედოფლად არი მამიდა, სხვაგან ვერ ნახო  
 იმისი ტოლი.  
 მერმეროს შემდეგ გამეფდა მამა და ორ სამეფოს  
 დიდხანს უვლიდა,  
 სან ერთგან იყო, სან მეორეგან, იცავდა,  
 გარე შემოუვლიდა,  
 მაგრამ როდესაც იონელებმა უყელეს, სურდათ  
 კორინთოს ფლობა,  
 იძულებულნი ვილტვოდით კოლხეთს, სად დარდანიდებს  
 ჰქონდათ მძახლობა.  
 კორინთო დავთმეთ, ჩვენ კი არ დავთმეთ,  
 ძლიერმა მტრებმა დაგვათმობინეს,

1. ტრადიციით ყველა მეფის, გმირის ღვთიურ მამად რომელიმე ღმერთი  
 ითვლებოდა, დედა შეიძლება ქალღმერთი ყოფილიყო. აიეტის მიწიერი  
 მამა რომ მერმერო იყო, ღვთიურ მამად მზის ღმერთი ჰელიოსი ითვლე-  
 ბოდა.

მამა-პაპათა მშობლიურ მხარეს, არ გაგვაჩერეს  
და გვაბოგინეს,  
იმას ვერ ვიტყვი, შენ არ მომწონხარ, მაგრამ კორინთო  
არი მიზანი,  
შენს ჩამოსვლაში სიტყვა-პასუხში, მისი მიღწევის  
ნიშანი ვცანი.

## იაზონი

მე ვიზრდებოდი კენტავრ ხირონთან,<sup>1</sup> სანამ ვიყავი  
სუსტი, პატარა,  
ხირონის დედა თილირა იყო მხრებზე შესმული  
ვინაც მატარა,  
შემდეგ ხარიკლო, ხირონის ცოლი, არა მტუქსავდა,  
მანებივრებდა,  
თავად კენტავრი არას დასდევდა, დამსჯიდა, ნებას  
არ მიმიშვებდა,  
ასე ვიზარდე, ტკბილი და მწარე, ღმერთების ნებით  
არ დამკლებია,  
ბრძენთა ნათქვამი დავიმახსოვრე: აიკლე ის,  
რაც ასაკლებია.  
როცა ვიზარდე, მისანმა მითხრა, რომ შორეულში,  
კოლხი ასული.  
სილამაზით და ცოდნით ქებული, ჩემ ბედადაა  
ქვეყნად დასმული,  
ზღაპრად ნათქვამი იყო მეგონა, არც მიფიქრია  
რამე მეღონა,  
ბედმა დამცინა თუ მათამამა და მაგრძნობინა  
მისანის წონა.  
ახლა აქა ვარ, კოლხი ასული, ჩემ წინ არის  
და აზრებს მილაგებს,  
მის პასუხს ველი, რას გადამიწყვეტს, უარს მეტყვის  
თუ პატივს მიმაგებს,

1. კენტავრი – ცხენკაცი, საპელაზგოში ცხენის ეტლში შებმა იცოდნენ, მაგრამ ცხენზე ამხედრება არა. ისინი, ვინც ამხედრება ისწავლა ცხენკაცად, ერთ არსებად წარმოედგინათ.

ფეაკთა მეფეც და დედოფალიც შენგან ასევე  
პასუხს ელიან  
თუ შევუღლდებით, დაგვიფარავენ, სხვა მხრივ  
თავდახსნა იქნება გვიან.

## მედეა

ვთქვათ და მოგეცი კიდეც თანხმობა, ეს რისა  
არის გამოსავალი,  
განა ამისთვის გავექეც მამას, არ დავიტოვე  
უკან სავალი?  
მე ბავშვობიდან მქონდა ოცნება, უკან  
კორინთოს დავბრუნებოდი,  
ქმარის შეძენა რა ბედენაა, მასთან  
მამულში გავმეფდებოდი,  
ახლა შენ ამბობ, აფსირტის გამო ძირითად მიზანს  
უნდა ვუყელო.  
მიზანი დავთმო, ყელზე შევიბა შენი ცოლობის  
სუსტი საყელო,  
როგორ ვიანდო, გითხრა თანხმობა, ხვალ გზა არჩიო  
ლალატიანი.  
მე სხვა ჯიშის გარ, კარგად იანდე, არ დარჩე  
მერე ცოდვილიანი.

## იაზონი

სოფელი ძალზე ჭრელი ყოფილა, მართალ-მტყუანი  
ვის გაუყვია,  
ავი იმარჯვებს, კეთილი იბრძვის, გაუგებარი არი ავყია,  
თუმც ვარ ჯეელი, მე ჩემდა წილად, ცხოვრების ბევრი  
სიმწარე ვცადე,  
ღმერთების ნებით რა მომელოდა, თუმცა ვიცოდი,  
არ განვაცხადე.  
მიზანი თითქმის მიღწეულია, თან ვინც ვიახლე,  
ის დაცულია,  
აფსირტი რჩება ბოლო სიმაგრე, მძლავრი, ამაყი,  
თავგასულია,

თუ ახლა შევძელ მისი დალახვა, თუ ახლა ხიფათს  
 თავი ვარიდე,  
 ჩვენი იქნება ხვალ მომავალი, ერთიან ძალით  
 დავლახოთ რიდე,  
 ჩვენ თუ შევულლდით, ცოლ-ქმრობის წესი, კაცთაგან  
 ძველად დადგენილია,  
 კაცი ქალს ელტვის, არა ნაკლებად, ქალი კაცისთვის  
 გაჩენილია.  
 მე გეფიცები, რაც ვთქვი კოლხეთში, შესრულებაზე  
 არ ვიუარო,  
 კიდეც დამჭირდეს, ზღვას უკარებელს, არგოს  
 ხომალდით შემოვუარო,  
 ოლონდ ერთია, დღეს ჩვენი ბედი, შენ ხელთაა  
 და უნდა დაგვფარო,  
 ფეაკთა მეფე არ ვაზარალოთ, იოლკოსისკენ  
 რომ გაგვაპარო,  
 ცეტი არა ვარ, ვერა ვხვდებოდე, რატომ და როდის  
 ვისთან ვდგებოდე,  
 ღმერთებმა მომცენ იმდენი ძალა, შენი მიზნისთვის  
 გამოვდგებოდე.

## გედეა

შენ მაღალ ღმერთებს მიეცი ფიცი, მცირე არა ხარ,  
 რას ნიშნავს იცი,  
 ბალლი არა ვარ ვერ მივხვდე საქნელს, ან დავიჯერო  
 ფუჭად ლაციცი,  
 ამიტომ გეტყვი, თუმცა ვარ ქალი, არ გამექცევა  
 უგვანოდ თვალი,  
 სიმართლეს ისე გავაჭრევინო, მტყუანი დარჩეს  
 ჩვენში საწყალი.  
 ძმა თუ მოსულა, სურს საუბარი, სიცრუით რატომ  
 ვიცვალო მხარი,  
 აფსირტს შევხვდები, რომ გავარკვიო, რა არი ტკბილი,  
 რა არი მწარი,

ძმები რომ მიყვარს, ვართ შეზრდილები, დიდი სოფელის  
მეფის შვილები,  
ჩვენია ვალი, ახალს რომ შევქმნით, არ ამოვთხაროთ  
ნასულთა ძვლები,  
ჩემი და-ძმები ვიზარდეთ ისე, ჩვენი წარსული გავითავისე,  
რასაც ახლა ვფლობ, ხომ არი ჩემი და დაკარგულიც  
ვერ გავასხვისე.  
სამშობლო განა არი ქონება, მოგებ-წაგებით გაგეგონება,  
ფიქრზე მეტია, გრძნობაზე მეტი, სიცოცხლის  
ძალით აგენონება.  
ჩემთვის კორინთო ყველაფერია, მომავლის გზები  
თუ ამერია,  
მიზანი მაინც არი უცვლელი, სიცოცხლით სხვა რამ  
არ მიმღერია,  
მე მამა დავთმე განა იმიტომ, რა რასა სჯობნის  
ამას ვერა ვგრძნობ,  
სამშობლო არის უპირველესი, სამშობლოს დარად  
ვერავისა ვცნობ,  
აფსირტს შევხვდები, ვფიქრობ გამიგებს, საფიცარს  
ვეტყვი, როგორც შემხვდება,  
მეუღლეობის თანხმობას გაძლევ, რასაც ვესწრაფვით,  
ერთად ახდება.

## იაზონი

კაცობას ვფიცავ, ჩემთვის კაცობა, ჩემ სიცოცხლეზე  
უფრო მეტია,  
რისთვის ვიზარდე, რისთვის ვიდიდე, ერთად სათქმელში  
არ ჩაეტია,  
მამა ეზონი, მეფე სვიანი, ქალაქ იოლკოსს  
როცა სტოვებდა,  
განა იცოდა, მისი მემკვიდრე, მის მოსისხლე ძმას  
არ დატოვებდა.  
შარშანწინ იყო, იოლკოსს მიველ ბელის, მამის ძმას  
და მოღალატეს

მოვთხოვე ტახტის უკან მოცემა, მათ კი სურათი  
ეს დამიხატეა:  
ოქროს საწმისი თუ დაბრუნდება, თუ აღსრულდება  
ლმერთების ნება,  
ჩვენთან ჭიდილი არ დაგჭირდება, მტრობა მოყვრობად  
გარდაიქმნება.  
ახლა აქა ვარ, მიზანთან ახლო, მინდიხარ ცოლად,  
რომ ხელი გახლო,  
ერთად გავჭედოთ საკეთებელი, ერთად ვაშენოთ  
ჩვენ სამოსახლო.

## მედება

მამა აიეტს ლმერთი ჰყავს მამა, მამა-შვილობა  
ვინ გააზავა,  
ჟეკატე დედა მყავდა ქალღმერთი, მშობა, გამზარდა,  
კარგად თუ ავად,  
ახლა იფიქრე, ლმერთთა ნაშობი, როგორ ვიქნები  
უგვანის მშობი,  
ღალატის საქმეს მე მირჩევნია გამისკდეს გული,  
მომედოს ობი.  
მე ყველა ვიცი, რაც იყო ადრე, ვგრძნობ რაც მომავალს  
მოეწონება,  
კარს მიეფარე, ძმას რომ შევხვდები, შემდეგს იღონებს  
შენი გონება,  
ახლა დამტოვე, მონას უთხარი, ძმას შემოუძღვეს,  
მაქვს სიტყვა მწარი,  
ლმერთებო, თავად გააჭრევინეთ, ვინ მართალია,  
ვინაა მცდარი.

## იაზონი

გტოვებ და მივალ, მაგრამ იცოდე, ამ ქვეყანაზე თუ  
რამე ვცოდე,  
ჩემი შენდამი სიყვარულია, ახლავ მომკალი ან შემიცოდე,  
სანაცვლოდ, ვფიცავ არ დაგისვენო, სიტყვის სიმტკიცე  
საქმით გიჩვენო,

იოლკოსიდან ჩავალთ კორინთოს, ორივ სამეფო  
გახდეს საჩვენო.  
(იაზონი გადის, ცოტა ხნის შემდეგ შემოდის აფსირტი)

## აფსირტი

მამის ბრძანებას ვინც გადაუვა, იმას ცხოვრება  
მწარედ წაუვა,  
რამდენიც უნდა თესო სიკეთე, ჩადენილ ცოდვას  
ის ვერ აუვა.  
ღმერთების შვილი, მეფის ასული, მშობლის ალერსით  
თავზე გასული,  
ამაგს ივიწყებ, ღალატსა თესავ, საქციელი გაქვს  
წრეგადასული.

## მედეა

ქვეყნად იმდენი არი სულელი, რამდენსაც თავი ბრძენი  
ჰგონია,  
დაუკვირდები, გაგეცინება, შენთან იმათი მონაგონია,  
მეც ჩემი გზა მაქვს და იმას მივდევ, კი არ მივდივარ,  
მივერეკები,  
არა მჭირდება სხვის დარიგება, გვერდით მიმყოლი  
და მარეკები,  
შენ შენი გზა გაქვს და მე მაქვს ჩემი, თუმც ხარ ვაუკაცი  
თვალში საცემი,  
ნუ შეეცდები წინ გადამიდგე, არ დარჩე ბოლოს  
ბედით ნაცემი.

## აფსირტი

თუმცა არა ვარ შენსავით ბრძენი და არც იამოსს  
მივედარები.  
არ მისწავლია ბალახთა ენა, ლოცვა, შელოცვა  
და ამგვარები,  
მაგრამ არ ნიშნავს ის ვერ გავიგო, რაა ღალატი  
და ერთგულება,

ქვეყნის, მშობლების, ძმების ორგული სხვა შენნაირი  
არ მეგულება  
ნება რომ მქონდეს ისე მოვიქცე, როგორცა ვფიქრობ  
და გეკადრება,  
შენ და იაზონს ცოცხლად დაგწვავდით, მაგრამ მეფური  
მაკავებს ნება,  
მამამ მიბრძანა ხელი არ გახლო, სიტყვაც არ გითხრა  
უკადრებელი,  
მიტომ ვინდომე შენთან შეხვედრა, სალაპარაკო  
მექნება ძნელი.  
პირველ ის უნდა შენგან გავიგო, რად ჩაიდინე  
საქმე უგვანო,  
რა ჯადო მოგცხეს თავად ჯადოქარს, რამ გაიძულა  
მამას უგანო?

## მედეა

შენ რას გაიგებ ვის რა ცეცხლი წვავს,  
გულში ვის რა აქვს მყარად ნადები,  
რა იყო უწინ, რა ხდება ახლა, ამის ცოდნას ნუ დაექადები,  
შენი საქმეა ბრძოლის ყიუინით, საჭევრის ქნევით  
ჩაიკლა ჟინი,  
როგორ უყელო, სად ჩაუსაფრდე, ღრმა ფიქრით რატომ  
იჭყლიტო ტვინი,  
მაგრამ ის მაინც თუ გაგიგია, ოცნების კოშკი თუ აგიგია,  
მამამ კორინთო რად მიატოვა, სად მდებარეობს ან  
რა რიგია,  
აია<sup>1</sup> რაა კავკონებისთვის<sup>2</sup> სად ქალაქია  
და სად ღმერთია  
ჰელიოსის ძე აიეტისთვის როგორი ძალით შენაერთია.  
თუ გიფიქრია რა იქნებოდა, მამას  
კორინთო დაბრუნებოდა,  
რამხელა იყო შენი სამკვიდრო და თუ ისევე  
გამთელდებოდა,

1. აია – ქალაქი თესალიაში, ასევე ხალდების ღმერთი და აიეტის ქვეყანა.
2. კავკონები – ტომი უძველესი, მათი ნაწილი სახლობდა ოლიმპოს მთის კალოებზე, ნაწილი ხალდების ქვეყანაში, ნაწილმა კავკასიას მისცა სახელი.

მამა ისედაც ღმერთის ძე არი, ხომ გახდებოდი  
ღმერთთა სადარი,  
შენ ვერ მიხვდები რა ცეცხლი მტანჯავს, ჩემი გონების  
ძაფი სად არი.

### აუსირტი

შენ თუ გგონია გონება გიჭრის, მტანჯავს გონების  
მე ნაკლებობა,  
მაშინ გაიგე ჭეშმარიტება: არა გქონია  
შვილური გრძნობა,  
მამის წინ მხტომი, უსაზღვროს მდომი, ისეა, როგორც  
უკულმა მჯდომი,  
ვის გაუგია, წარმატებული, ქალმა ატეხოს  
კაცებთან ომი?  
შენ თუ კორინთოს ფლობა გინდოდა, მამის აზრებშიც  
ეს შედიოდა,  
რატომ არ ანდე მამას ნაფიქრი, ხომ უკეთესად  
გამოვიდოდა?  
მე სხვანაირად ამ საქმეს ვხედავ, ღალატთან ერთად  
სიცრუეს ბედავ,  
ნალეს სატევარს, მტრისაკენ მიწვდილს, გრდემლზე  
აპრუნებ, უკულმა ჭედავ,  
შენ თუ არ გვენდე, მე როგორ გენდო, მამის აზრებით  
რომ გული გენთო,  
სანთელს თუ მალავ, როგორ გავიგო, სადაა  
მისი ჩამონაღვენთო.

### მედეა

მამის საქმეში მიმიღვის წილი, რად უნდა ამას  
ბევრი ფიცილი,  
იაზონს, გითხრა წლობით ვიცნობდი, ხომ აგიტყდება  
გულით სიცილი,  
არგონავტები, როცა მოგვადგნენ, ვინ და ვინ იყვნენ  
განა ვიცოდი,

მხოლოდ დისწულებს ვიცნობდი მათში და მათი ბედით  
შენაც ინოდი,  
პო და გამოდის, როგორც შევხედე და იაზონმაც  
როგორც შემხედა,  
უსიტყვოდ ითქვა ყველა სათქმელი და ურთიერთი  
დავსახეთ ბედად?  
შენ ამგვარ ზღაპრებს თუ დაუჯერებ, ზღაპრის ნაწილად  
გადაიქცევი,  
ხომ კარგად იცი, ვარ მამის შვილი, მისი ჯიშის ვარ,  
მივგავარ ქცევით,  
როცა მოგვადგნენ კარს დისწულები და სათხოვნელად  
გაშალეს ხელი,  
ვერ მიმხვდარიყავ რა რადა ლირდა, იცი არა ვარ  
ისე სულელი.  
ასე ვიანდე, არგოს თანმხლებნი, თუ ოქროს  
საწმისს დაივადებდნენ,  
ჩემ დახმარებას დააფასებდნენ, მეფობის გვირგვინს  
ჩემთვის ასწევდნენ,  
და ამას გარდა ჩვენი დისწულნი, ხომ იქნებოდნენ  
ჩვენგან დაცულნი,  
ორქომენაში გამეფდებოდნენ, ჩემი შეწევნით  
ზე აწეულნი,  
ამაში რაა მამის ლალატი, არც ქვეყნის ბედი გამინირია,  
რამდენიც უნდა მელაპარაკო, შენი აზრები  
მაინც მწირია.

## აჭსირტი

პატარას დიდი, უძლიერესი, მოქადული კი გმირი ჰემინია,  
პატარა არ ხარ ვერ დაინახო, ამათი ძალა მონაგონია,  
თუ იაზონი მართლა გმირია, მამის სამეფო რად მიატოვა,  
მომხდურს დაუთმო მეფის გვირგვინი, დაემორჩილა  
და ჩაექსოვა.  
კენტავრ ხირონის ვარ გამოწვრთნილი, ამბობდა,  
ზღაპრებს ატრიალებდა,

ზუჩის და მუზარადს აშლარუნებდა, იქადდა,  
თვალებს აბრიალებდა,  
თავის სამეფო ვინაც დაკარგა, ის სხვას პოვნაში  
მიეხმარება?  
კორინთოს მეფეს წინ დაუდგება და უდიერად მიეკარება?  
მე შენი მიკვირს, ბრძენებშიც ბრძენი, ქურდს და უგვანოს  
თავს თუ უყადრებს,  
რატომ არ ფიქრობ, შენც მოგატყუებს და მოგაყენებს  
შენთვის უკადრებს,  
მაგრამ მანამდე სინ უპე<sup>1</sup> შევკარ, იქიდან თევზიც  
ვერ გამიძვრება,  
ვინც მოინდომებს ზღვაში გაპარვას, მისი დღე  
შავით დაიფარება.  
არგოს გემი აქვთ ჩემებს ალყაში და ოდიოსიც  
იმათთან არი,  
რომელი ერთი წინ დაგვიდგება, არ შეეყაროს  
თვალში ნაცარი.

## მედება

ჰალიძონები<sup>2</sup> მოგიყვანია, ოდიოს მეფის მოთავეობით,  
მისი იმედით იაზონს ჰკნინობ, რა შევაფასო,  
როგორ, რაობით.  
დღეს იაზონი ჩემი ქმარია, მის გვერდით დგომა  
ჩემი ვალია,  
რასაც მოვიგებთ, რასაც წავაგებთ, ორივე  
ჩვენი მომავალია.

## პუსირტი

ახლა ამბობდი, რომ იაზონი გულზე სულაც  
არ გეხატებოდა,  
მხოლოდ კორინთო, მხოლოდ დისწულნი გენატრებოდა,  
გედარდებოდა,

1. სინ ლაზურად წყალი ე. ი. წყლის უპე (უბე), გემთა სადგომი.

2. ჰალიძონები – ჰომეროსი ასე უწოდებს ხალიბებს.

ადრე იაზონს არ შესვედრიხარ, მხოლოდ როდესაც  
მოგვადგა თხოვნით,  
ოქროს საწმისის მიღება სურდა, ამაყი იყო ჩვენსკენ  
გზის პოვნით.

შენც მაშინ ნახე, შენც მაშინ გნახა, იყო უმწეო,  
სურვილით გლახა,  
ამიტომ იყო არ დავუჯერე და სიტყვიერად შემომელახა,  
შენ ოდიოსის იყავ საცოლე, როგორც შეშვენის  
ტოლებში სწორებს,  
უცებ კი ყველას ზურგი გვაქციე, მრუდესთან კეთილს  
რა გაასწორებს?  
ახლა შენ გიკვირს, რომ ოდიოსი შურისძიებით  
აღჭურვილია,  
რომ ჩემთან ერთად, ქურდების დასჯა, მისი ნებაა  
და სურვილია,  
მხოლოდ ჩემს გამო ის თავს იკავებს და არც ეცდება  
რამ გაწყენინოს,  
ლაზია, განა პელაზგი არის, მთხლეს ჩამონადენს  
ეძახდეს ლვინოს.

## მედეა

გარკვევით გითხარ, დღეს იაზონი, ჩემია ქმარი,  
ულლის გამწევი,  
არაა თქვენგან შეშინებული, არც მოღალატე და არც  
გამქცევი,  
შენ კარგად იცი, რაკი ვიგუე, ჩემი გრძნობების  
გავუხსენ კარი,  
გავიზიარებ მის ბედისწერას, გინდ იყოს ტკბილი  
და გნებავს მწარი.

## აფსირტი

შენ უკვე შენით გაგიხედნია, რაც მამისაა გადასაწყვეტი,  
მეგონე ბრძენი, ყოფილხარ ცეტი, თავგასულობით  
დაგსხიმია რეტი,  
სადღაც ვფიქრობდი, ქალი ქალია, ძალით ატყვევნეს  
და გაიტაცეს,

არა მხოლოდ ვირს, ვირულ საქმესაც, ჯოხს მოუქნევენ,  
ეტყვიან აცეს,  
შენ თუ იაზონს უთხარ თანხმობა, უკან ბოგირი ჩაგიტეხია  
ნინ მე გიდგევარ შეუვალ ზღუდედ, გამწარებული  
და უტეხია,  
სულაც არ ვნანობ, გზას აცდენილი, შენივე  
ცოდვებს შეეწირები,  
შენ მოგყვებიან ლამის ქურდები, იმათ რომ ჰკითხო  
დიდი გმირები.  
მე მხოლოდ არგო, ფრონტის, მელასი და კიტი სორე<sup>1</sup>  
მეცოდებიან  
დას რაღა ვუთხრა, გადავეყარე, მოვინდომე  
და გამოხდა გვიან?

## მედეა

სულ ადვილია შორიდან მზერა, ოცნების გამო  
არ დაისჯები,  
საფიქრალს საქმედ მაშინ გარდაქმნი, როცა მცდელობით  
დაიხარჯები,  
რაც თავი მახსოვს ვნატრობთ კორინთოს, ნატვრა  
საქმესთან შესადარია?  
ოხვრა მამისა, შენი ქადილი, თუ ნაბიჯს არ დგამ,  
ორივ მცდარია.  
მე თუ გადავდგი ამ მხრივ ნაბიჯი, ნაბიჯ-ნაბიჯი  
სიარულია,  
მე წინ მივიწევ, უკან მეწევი, უკუსვლით წინსვლა  
არასრულია,  
მე რომ წავიდე, შენ რას წააგებ, მაგრამ თუ შევძელ  
მიზნის მიღწევა,  
შენიც იქნება ის გამარჯვება, არ დაგვჭირდება  
მოწევ-მიწევა.  
რადგან კორინთო მამისა იყო, მამის შენა ხარ  
უფალ-მემკვიდრე,

1. ფრიქსესა და აიეტის ქალიშვილ ქალკიოპეს ვაჟები, არგონავტების ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ.

ის რაც შენია, შენი არ არის და არც იქნება  
ყოფილი კოდეტურა, მათი რა არის  
ამას დაურთე დისწულთა ბეჭი, მათი რა არის  
ხვალ მომავალი,  
გაჩერებული მიზანზე ფიქრობს, მიზანს მიაღწევს  
მისკენ მავალი.

### პფსირტი

ძალზე ბევრი გაქვს მონდომებული, ნახე, სიმძიმემ  
არ დაგიტანოს,  
ვის იმედით ხარ აცეტებული, ეცდები საქმეს უკიდეგანოს,  
აქ რომ უყურებ არგოს მგზავრები, შეკრულებია  
ერთიან გუნდად,  
ეს იმიტომ, რომ რაც მოუპარავთ, წილის დადება  
იმაში უნდათ.  
როცა მორჩება განაწილება, ერთ-ურთსაც  
მყისვე დაერევიან,  
წილს მიითვლიან ყოფილ მოყვრისა, რომელსაც  
იქვე მოერევიან,  
მათში ზოგი რომ იონიელობს, ბევრი პელაზგი  
არის ძირობით,  
მტრები შეკრულად, ჩვენსკენ დაძრულან, აიეტმა თქვა  
როგორ პირობით.  
შენ ვის ენდობი, იგი დაგინდობს? საბოლოოდ გთხოვ  
ჭკუაზე მოდი,  
ძმა ვარ და ძმურად ხელს გამოგინვდი, დაგელოდები,  
ადექ, წამოდი,  
თუ დამიჯერებ, შენ გადარჩები, თუ არა ბედი  
შენი კრულია,  
საწმისს მე მაინც არვის გავატან, ჩათვალე,  
თქვენთვის დაკარგულია.

### მედეა

ერთი პირობა ჭკუას გადაველ, ყოფილი ვიწყე  
და დაგიჯერე,

გულწრფელი იყავ, ასე მეგონა, გულში ნადები  
ამოგხდა მერე,  
შენ ჩემი დარდი კი არ გქონია, საწმისი არი შენი მიზანი,  
უსისხლოდ გინდა განძის მიღება, გნახე,  
გისმინე, ამოვიცანი,  
მეც კარგად ვიცი საწმისის ფასი, შენ თუ რაიმე  
გაგეგონება,  
მიგიხვდი ნაფიქრს, თან მეცოდები, ცუდად დაძაბე  
ჩემთან გონება,  
საწმისი მე მაქვს, ჩემთან დარჩება, მან გამიკვლიოს  
გზა გასავალი.  
ჩემ ქმარს, დის წულებს, იმათ მეგობრებს, მოვახდევინო  
სამშობლოს ვალი,  
ახლა კი გირჩევ, ვხედავ მოსულხარ უიარალო,  
რომ უფრო გენდო,  
წასვლამდე კიდევ ერთხელ ასწონო, რას მიაღწიე,  
გულში რა გედო,  
ჩემი გზა უკვე არჩეულია,  
აქამდე ამ გზით სხვას არ უვლია,  
ვინც შეეცდება მის გამრუდებას, მისი დღეებიც  
დალეულია.  
გემშვიდობები, თუმცა ძმა იყავ, შენ შენი  
გქონდა გადასახედი,  
ალბად ვერასდროს ვეღარ შევხვდებით, ღმერთებმა  
მოგვცეს ასეთი ბედი.

## პფსირტი

შერიგებაზე უარი მითხარ, დამემშვიდობე, ნებაა შენი,  
მეც მეხსომები გზას აცდენილი, თუ ვერ გიშველე  
და მოგაგენი,  
შენ თუ გადადგი ასე ნაბიჯი, ჩემი მცდელობა  
სულ სხვა იქნება,  
ცოცხალს თუ ვერა, მკვდარს დაგაბრუნებ, მამისა არი  
ასეთი ნება.  
არგონავტები, ასე ეძახით, ვერც ერთი მახვილს  
ვერ გადურჩება,

ოქროს საწმისიც არესის ველზე, დიდებულ  
მუხას დაეკიდება.  
იქ, სადაც არესს, მუხთალ ომის ღმერთს,  
ერიდას<sup>1</sup> რჩევით ტაძარს ავუგებ,  
მაგრამ შენ ამას ველარ იხილავ, ვერას მოისმენ,  
ვერას გაუგებ,  
ფეხაკთა მეფე პასუხს მოელის, უნდა ვაუწყო რაა შედეგი,  
რომ განზე გადგეს და გზა გვიტიოს, არ გახდეს ომის  
მსხვერპლი შემდეგი.  
ღმერთების ნებას ვინ გადაუვა, ეტყობა  
ასე გადუწყვეტიათ,  
შეთანხმებულან თუ იკამათეს,

არგონავტები გაუწყვეტიათ.

/აფსირტი სტოვებს მედეას და მიდის. ალკინოეს  
სასახლისაკენ მიმავალ გზაზე, ჩასაფრებული იაზონი  
მიპარვით ესხმის თავს და კლავს/

/იოლკოსი. მეფე პელიასის სასახლე/

### მეფე ჰელიასი

მაშ იაზონი დაბრუნებულა. აკასტე შვილო, ხომ  
არ მომესმა?  
ერიდას რჩევა ვერ შევასრულე, სიცოცხლის თასის  
ვერ შევძელ შესმა?  
ნიშნავს რომ ბედი მქონია მწარე? ვევედრე ღმერთებს  
და ვერ ვიხარე?  
ათასჯერ მძიმე ამინევია, მაინც არ მოვტყყდი  
და მოვიხარე,  
ახლა თუ ასე შებრუნდა ბედი, უნდა ვაგინო მე შემოქმედი,  
ან ძველებურად, ეშმაკურად ვთქვა ყვავია მტრედი  
და ბატი – გედი.

### პპპსტე

მსახურმა მონამ შემატყობინა, ქალაქს მოადგა  
ვაჟკაცთა გუნდი,

1 ერიდა – არესის თანმხლები, შუღლის, მტრობის ქალღმერთი.

მათი მოთავე გაიძახოდა, იაზონი ვარ,  
მნახეთ, დავბრუნდი,  
ოქროს საწმისი მომიტანია, რასაც ნატრობდით  
დიდი ხანია,  
გმირებთან ყოფნა არ მინანია, მათთან წვალება ამიტანია.  
გალავნის დაცვამ კარიბჭე გახსნა, ეს იყო  
მათი გარჯილობა-ხსნა,  
არგონავტები შიგ შემოუშვეს, არ სჭირდებოდათ  
მიზეზის ახსნა,  
გემი, რომლითაც აქეთ იცურეს, პოსეიდონის  
ზვარაკად დათქვეს,  
შენთან შესვედრა უნდათ ჯიუტად,  
მაგრამ მიზეზი მისი არ გათქვეს.

## მეზე პელიასი

ცუდად მენიშნა, რაც სმენას ჩასწვდა, ვერ მოვიშორე  
მე იაზონი,  
ეცდება, ყველას წვრილად გაიგებს, რისი არ იყო  
დღემდე გამგონი,  
როგორც ალოას<sup>1</sup> კალოს მფარველი, მსტოვართა  
ენებს დაატრიალებს,  
ჩვენ მტრებს შეკრებავს, წინაპართ ამაგს ფეხევეშ  
გათელავს, გაატილებს.  
ძალას ვიხმარდი, მაგრამ ძალითაც, უფრო ძლიერებს  
როგორა ვძიო,  
თუ რამ მიშველის, ისევ ერიდა, გამოცდილებით  
მკარნახობს კლიო.<sup>2</sup>

## პკპსტე

ათენას, ზევსის მეომარ ასულს თუ ჩვენთვის  
ზურგი შეუქცევია,  
იაზონისთვის გზა გაუხსნია, ჭაბუკი გმირად გადუქცევია,

1. ალოასი (ალოადე) – კალოს მფარველი, მიწის ნაყოფიერების მფარველი ღმერთ დემეტრას ზედწოდება. აქედან – ალოობა.

2. კლიო – ცოდნის ცხრა მუზას შორის, ისტორიის მფარველი.

ნიშნავს ჩვენც უნდა მივიღოთ ტკბილად, ვუთხრათ  
შვილივით დაგიდგეს გვერდით,  
მოხუცი, როგორც მამა მიგიღოს, ხიფათისაგან  
დაგიცვას მკერდით.  
ამასობაში არგონავტები,  
თავ-თავის კერას დაბრუნდებიან,  
მოხდეს მერე რაც მოსახდენია, წინასწარ მაინც  
ვერ მიხვდებიან.

### გეფე პელიასი

ჭკვიანურია, ჩემის ხერხები ვატყობბეჯითად შეგისწავლია,  
პატარა წაკადს დიდ მდინარეში გაუქარწყდება  
თავის ჭავლია,  
მეც შევეცდები როგორც რა იყო, ლამაზ  
ფერებში წარმოვაჩინო,  
ზოგჯერ საღ აზრებს ვნება აკნინებს და უფრო ხშირად  
აკნინებს ღვინო.  
ეს ადრეც ვცადე, გამომივიდა, იაზონი რომ  
პირველად ვნახე,  
ზოგი მაშინ ვთქვი რაც მითხრა ატამ<sup>1</sup>, ზოგი დღეისთვის  
შემოვინახე.  
ოცი წლის იყო მაშინ იაზონ, სასახლეს მოსდგა,  
ტახტი მომთხოვა,  
წესით მამაჩემს ეკუთვნოდაო, თან მოიყოლა  
ბიძების ხროვა,  
მე რაღა მექნა, მჭარბობდნენ ძალით, სიმართლეც იყო  
იმათ მხარეზე,  
სამეფოს როგორ მივატოვებდი, ვერც ავიტანდი  
სადმე მთვარეზე.

1. ატა – სიცრუის ქალღმერთი. მან თვით ზევსიც მოატყუა. განრისხებულმა ღმერთების მეფემ ატას ყურში ჩაავლო და ოლიმპოდან (ღმერთების საბრძანებლიდან) ძირს ისროლა. აქედანაა ქართული მატყუარა – ატა ყურით გადაგდებული.

პო, და დავიწყე, ვთქვი პეროფილემ<sup>1</sup> ერითრეიდან  
შემომითვალა,  
თუ ვინმეს უნდა ძმამ მოისარმა<sup>2</sup>, პელაზგ მეფეებს  
უჩვენოს ძალა,  
მან დაივიწყოს ოქროს საწმისი, კოლხეთში  
არის გატაცებული,  
უკან ვიდრე არ დაგიბრუნდებათ, ყველა იქნებით  
მისგან ვნებული.  
მერე ათამანტს შევუთანახმდი, მასაც ხომ ჰყავდნენ  
ტახტის მოცილე,  
ვუთხარი ერთი აზრით ვიაროთ და გაჭირვების  
გავზდეთ მოწილე,  
მოხუცს არ სურდა ჩემთან თანხმობა, ძმის შვილის  
ღალატს ვერ მპატიობდა,  
ინომ მიშველა, ქმარს ჩააგონა ჩემთვის და მისთვის იმ  
დროს რა სჯობდა.  
ეზონი – ვისაც წავართვი ტახტი, მისი ძმისწული  
კანონიერი,  
მე ნაბუშარი, შეკედლებული, ოხრობით მეფე  
და კადნიერი,  
ათამანტს ტოლად რომ არ ვუღირდი, კარგად ვიცოდი  
და მაინც ვცადე,  
ათასი ხრიკი გამოვიგონე, ჩემ თავთან ომი გადავიხადე,  
ინო ქალია ეშმაკეული, ქმარს დაუყვავა და ჩააგონა,  
ოქროს საწმისზე თუ რამ იცოდა, თუ რამ ენახა  
ან გაეგონა.  
ბოლოს პირობად დავთქვი ასეთი, ოქროს საწმისი  
თუ დაბრუნდება,  
ჩემი და მისი მოცილეების ყველა სურვილი ერთად ახდება.  
ახლა ყველანი კარს მოგვდგომიან, დიდ ჭირში ყოფნა  
ამასა პქვიან,

1. პეროფილე – სიბილა, ცხოვრობდა ერითრეაში, თავს აპოლონის დად მიწევდა.

2. ძმა მოისარი – ღმერთი აპოლონი (პელაზგიური მითოლოგიის წამყვანი ფიგურა).

უნდა ისეთი რამ მოვიგონო, ხვალე არ იყოს  
მცდელობა გვიან.

### პპპსტე

უკან დახევის დრო არ დამდგარა, ახლა რომ დათმო  
და დაიხიო,  
ნიშნავს შვილების ხორცი დაგლიჯო, საკუთარიც ჭრა  
და დაიხიო,  
იაზონი რომ გაიგებს ამბავს, ეჭვი არაა გაიგებს მისხლით,  
ეზონი როგორ მოაკვლევინე, ძალით გაჭყიბე  
შავ ხარის სისხლით.  
ქმარს პოლიფემე ზედ წააკალი და იაზონი  
დატოვე ობლად,  
სხვა რა გვიშველის თუ დაობლებულს არ მოევლინე  
მოყვარულ მშობლად?

### მეცე ჰელიასი

შენ მართალი ხარ, სიტყვა, მიდგომა, მშვიდს გაახელებს,  
ხელს დაამშვიდებს,  
ზოგჯერ პატარას რაც ვერ ატყუებს, ჭეშმარიტებად  
ჩაესმით დიდებს,  
ასე შევთანხმდეთ, შენ, შენი დები, პელოპეია  
და ალკესტიდა,  
იაზონს უყვარს ორივ მათგანი, იმისი დედა  
ორივეს ზრდიდა,  
თან გაიყოლე, სტუმრებს ეახლე, დაუყვავე  
და სიტყვა უთხარი,  
ჩემზე გკითხავენ, ვარ ავად მყოფი, ჩანს რომ დროება  
დამიდგა მწარი.  
წვეთი და წვეთი შენ მოამზადე, ჩვენი მიზნები  
ერთგულად ზარდე,  
მოსულთა ნათქვამს არ გაერიყო, არც შეუერთდე  
და არც დაზავდე,  
მერე მეც მოვალ, ვით დავრდომილი, მიუსაფარი,  
ობლად შთენილი,

არგონავტები ერთ-ურთს წავკიდოთ, იმათ დავაში  
გზა გვქონდეს ხსნილი,  
თუ არ ეცადე, თუ არ ვეცადე, იოლკოსში  
თუ ის გამეფდება,  
არავინ იცის რას ჩაიფიქრებს, ჩემი შვილების  
თავს რა მოხდება.

/სასახლის წინ მოედანზე შეკრებილან მედეა, არგონავტე-  
ბი, იოლკოსის მოქალაქეები/

### პრიმ

ჩვენი მიზანი სულ სხვა რამ იყო, დღეს შენ რატომ გსურს  
ყველა გაგვრიყო,  
რაც სუსტი არის, ძლიერმა რიყო, რაც ძლიერია  
ჩვენა ვთქვათ იყო,  
იყო, ეს სიტყვა სხვას თუ აოკებს,  
დააძაბუნებს, მოუმატებს ხმებს,  
ვერ გადაფარავს საქმის შინაარს, ვერც დაგვაშორებს  
თანაშეზრდილ ძმებს,  
ჩემთვის მთავარი არის კაცობა, არა შეხედვა,  
ისე გაცნობა,  
უნდა შევიძლოთ და განვასხვავოთ არაკაცობა  
— კაცობის ცნობა.

### იაზონი

რაც ფხიზელისთვის არის ნათელი, გადამთვრალისთვის  
ის არის ბნელი,  
ჭეშმარიტება რომ დაადგინო,  
ზოგჯერ დღისითაც გინდა სანთელი,  
ცოლის დის შვილო, შენ მსაყვედურობ,  
თითქოს რაც გვქონდა თავში პირობა,  
ბოლოს შევცვალე, არად ჩავაგდე,  
გამოჩენილი შენგან გმირობა.  
როდი ვუარყოფ, მხარგრძელი გემი,  
შენგან ბეჯითად აგებულია,

ჩვენ არ ვიცოდით, კოლხეთისკენ გზა,  
                               შენგან ნასწავლით გაგებულია,  
მე არც ისა მაქვს დავიწყებული,  
                               ნარსულის ძალით დამიწებული,  
ოქროს საწმისი მამაშენისგან აიეტს ჰქონდა დავადებული,  
ამ მხრივ ძმები ხართ ყველგნით მართალი,  
                               აუგად მხედველს დაევსოს თვალი,  
მაგრამ უჩვენოდ თქვენ რას იზავდით,  
                               ხომ დარჩებოდით მიწყივ საწყალი?  
ახლა ასე ვთქვათ, თუ გქონდა განძი, სხვას დააკელი,  
                               თავად დაკარგე,  
ორქომენელებს შენ რა შემატე, საკუთარ საქმეს  
                               ამით რა არგე?  
აიეტმა თქვა სიტყვა მართალი, საწმისს უჩინეს  
                               ახალი კვალი,  
ეს მამა თქვენის იყო სურვილი, ასე წარმართა  
                               გონების ძალი,  
თუ აიეტი კორინთოს ფლობდა, დელფოს,  
                               ომფალოს მამულში ცნობდა,  
ოქროს საწმისი მისიც ხომ იყო, ამიტომ წესით  
                               საკუთრად გრძნობდა.  
არგო, დღესა ხარ ცოლის დის შვილი,  
                               აიეტისგან კეთილად ზრდილი,  
მინდა კეთილად რომ გაიაზრო, ნათესაობას  
                               არ დაპყვეს ჩრდილი.

### პრგო

შენ საით ფიქრობ, სულ ყველა ვიცი,  
                               არცა მჭირდება სიტყვით ლაციცი,  
ოქროს საწმისი დაბრუნდებოდა, ეს იყო ყველას  
                               საერთო ფიცი,  
საწმისი ახლა უკვე აქ არის. დავაგუგუნოთ  
                               დიდების ზარი,  
მაგრამ საიდან გატაცებული, ვის სამეფოდან,  
                               საქმე ეს არი.

ამიტომ ვითხოვ, სამეფო განძი, დამკარგავს მივცეთ,  
რომ დაივადოს,  
ახალი ვერძი თუ გამოზარდა, საწმისიანი – ეს დაიქადოს,  
როცა ზვარაკად ვერძს შესწირავენ, დაე შენ გერგოს,  
იყოს შედეგი,  
საწმისი ისეც ყველასი არის, ასე მიიღებს მეფე შემდეგი,  
მაგრამ ახლა კი იგი ჩვენია, მამა ჩვენისგან გასხვისებული,  
ათამანტს თუ კი დაუბრუნდება, ჩვენც  
არ დავრჩებით განბილებული.

## იაზონი

სულელი ხარო, ვერავინ გკადრებს,  
მაგრამ არც მე ვარ ისეთი ცეტი,  
ვერ გავიაზრო, როგორი საქმე, ჩვენს შორის არის  
გადასაწყვეტი,  
ვიცი ათამანტს ჰქონდა პირობა,  
თუ კი საწმისი დაბრუნდებოდა,  
მიმტანს, სანაცვლოდ სამეფო ტახტი,  
როგორც მემკვიდრეს რომ დარჩებოდა.  
იგივ პირობა მე წამიყენეს და სახიფათო გზას გამიყენეს,  
მიტომ შევკრიბე გმირების გუნდი,  
მიტომ მივგავდი ტკბილად მოენეს.  
ახლა საწმისი უკვე აქ არის, იოლკოსში ვართ  
და ასე მჯერა,  
თუ აქ დავტოვებთ პირველ ხანობით, ჩანს  
ასეთია ეს ბედისწერა,  
მაშინ მეფობა მე მომეცემა და იოლკოსში თუ გავმეფდები,  
ორქომენაში შემდეგ წავილოთ, ერთიან ძალით  
მეფე გახდები.

## მედება

თქვენ რომ აქ დაობთ ვის რა ერგება, რა მოერგება  
და შეერგება,  
ვისი წყალობით ჩაიგდეთ ხელში, იმასაც ჰყითხოთ  
ცოტა ეგება?

მე კარგად მესმის არგოს ნათქვამი, ორქომენიდან  
  აქვს დასაბამი,  
საწმისის საქმეს, და თუმცა დიდი გავიდა ხანი,  
  მოვიდა ჟამი,  
ყველას თავისი წილი მიეცეს.

არ დავემსგავსოთ აწყვეტილ მხეცებს,  
არც ავტოლიკეს<sup>1</sup>, სადაც გაჩნდება,  
  მოსაპარავად თვალს რომ აცეცებს,  
ჩვენ დავა ისე უნდა წარვმართოთ,  
  მსმენელისათვის იყოს ნათელი,  
არ სჭირდებოდეს მისანის რჩევა  
  და არ ეჭიროს დღისით სანთელი,  
როგორც ეოსი<sup>2</sup> წინ უძლვის ნათელს  
  და არ სჭირდება სხვისი მოხმობა.  
ჩავთვალოთ ასე გვიკამათია, არ დარღვეულა  
  თქვენს შორის ძმობა,  
საწმისი ჩემით დაისაკუთრეთ და ვერც შეძლებდით  
  ძნელ საქმეს უკეთ,  
არ ვყოფილიყავ, რას მიაღწევდით, თუმცა ერთმანეთს  
  გმირობა უქეთ,  
დისწულებს ვეტყვი, ჩემ ქმარსაც ვეტყვი,  
  არგონაგტები მოწმედა მყვანან.  
მეთანხმებოდით, დამეთანხმებით და სხვა მოცილედ  
  არავინ ჩანან,  
მე იმ პირობით ვიყავ თანახმა, კორინთოს  
  როცა დავიბრუნებდი,  
რადგან სამეფო მამისეული ჩემად მიმაჩნდა,  
  სხვას არას ვსდევდი,  
მოგცემდით საწმისს, ჩემი დის ქმარის ფრიქსეს სულიც  
  თუ დაისვენებდა,  
ახლა ვუყურებ, მეფიცებოდით და თურმე ყველა თავის  
  აზრს სდევდა.

- 
1. ავტოლიკე – ძველი დროის ცნობილი ქურდი.
  2. ეოსი – მზის ღმერთი ჰელიოსის და, რომელიც მის მობრძანებას აუწყებს სამყაროს. ქართულად ეოსი აისს ნიშავს.

ჩემი მოთხოვნა არის ასეთი, ფიქრთა მორევში  
გამონაკვეთი,  
საწმისი მუდამ ჩემთან იქნება, არ დააკლდება  
პირობას წვეთი.

## იაზონი

მე თანახმა ვარ, ხარ ჩემი ცოლი, ერთად გვიდგია  
ლამის საწოლი,  
ნიშნავს საწმისი აქვე დარჩება,  
ძნელად სათქმელი ხდება იოლი.

## არგო

თუ ასე არის, მაშინ გამოდის, ძმებს იოლკოსში  
არ გვედგომება,  
ნავალთ ორქომენს, მცირე იმედით, ეგებ  
მოვგვაროთ ათამანტს შვება,  
ეგებ მოხუცმა კიდეც იკმაროს,  
პირობის ასე დაგვირგვინება,  
არავინ იცის წინ რა მოგველის, როგორი არის  
ღმერთების ნება,  
მხოლოდ ერთია, ჩემ მომდევნო ძმას,<sup>1</sup> საწმისის  
მძევლად აქვე დავტოვებ,  
რაც გულში მქონდა გადანახული, მას დავუბარებ  
და ჩავაქსოვებ ,  
ძმავ კიტი სორე, გულს ჩაიჭედე, კოლხურად გეტყვი,  
ძმავ სორე კიტი.  
უნდა შეიძლო, ყველას გაუძლო, კირკიტ კავლებშიც  
გახდე კირკიტი,  
ჩვენ თუ შევძელით მიზნის მიღწევა, აქაც შეიტყობ  
ადრე თუ გვიან,  
თუ ვერ შევძელით, ანდერძად გქონდეს,  
არ დავიწყებას ერთობა ჰქვია,  
დეიდას ვეტყვი, შენით ვამაყობ,  
დეიდას დედის სუნი ჰქონია,

1, არგოს მომდევნო ძმა იყო კიტისორე, შემდეგ მელასი და ფრონტისი.

შენ სიბრძნეს ვანდობ ძმასა და საწმისს,  
რომ გვილალატო არა მგონია,  
ოლიმპოს მსხდომებს<sup>1</sup> – შევთხოვდი შველას,  
მფარველ-ბატონებს ყველა მხარესი,  
ეროსის<sup>2</sup> ისარს თუ აგვარიდებთ, მშველელად  
მიწყივ გვყავდეს არესი,<sup>3</sup>  
ჩვენ სამნი წავალთ, ეგებ შევიძლოთ  
და ავასრულოთ დანაპირები,  
კაცი ბრძოლისთვის დაბადებულა, სანამ ძალა მაქვს,  
მეც არ დავშვრები.

## თეზეი – ათენის მეფე

არგო, შეჩერდი, მეც მათქმევინე, ჩვენ რა,  
არა ვართ საქმის მოწილე?  
რატომ არავინ არ გვეკითხება, ვართ  
თუ არა ვართ თქვენი მოცილე,  
იაზონს ვეტყვი, ათენის მეფე, ვინც ჩავიდინე  
ბევრჯერ გმირობა,<sup>4</sup>  
გზაშიც, კოლხეთშიც ბევრჯერ განახეთ შესაძლებლობა  
და გარჯილობა.  
ნუთუარა გართიმისი ღირსი, მედა ყველანი არგონავტები,<sup>5</sup>

1. ოლიმპოს მსხდომები – მითოლოგიის თანახმად, პელაზგიური (შემდეგ ძველბერძნული) ღმერთების საბრძანებელი მთა.

2. ეროსი – სიყვარულის ღმერთი. ისარს ესროდა და ვისაც მოარტყამდა ის სიყვარულით აღიერებოდა.  
3. არესი – დაუნდობელი ომის ღმერთი, რომლის სადიდებელი ტაძარი კოლხებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან კოლხეთში გადაიტანეს.  
4. თეზეის ჰელაზ-გიურ – ძველბერძნული გადმოცემა მრავალ გმირობას მიაწერს, მათ შორის სინიდის, კერკიონი, პეროფეტა, სკირონის, პროკრუსტეს (ნამდვილი სახელი დამასტი) ცნობილი ყაჩალების მკვლელობას. მასვე მიეწერება კრეტის ცნობილი მეფის მინოსისა და მისი მეუღლე პასიფაეს შვილის მინოტავრის მოკვლა არიადნეს დახმარებით. არიადნა თეზეიმ გაიტაცა და მძინარე კუნძულზე მიატოვა (ღმერთის კარნაზით).

5. არგონავტებს შორის იყვნენ ორფეი (სიმღერის და კითარაზე დაკვრის ოსტატი, პოლიდევკი, კასტორი (სპარტის მეფის შვილები), მათი ბიძაშილები ლინკე და იდასი, საწყის ეტაპზე ჰერაკლე და სხვა. სულ 50.

რჩევა გვკითხოთ და გაიზიაროთ  
 ჩვენი ოცნების ჩანახატები,  
 არვინ იფიქროს, ამდენი ტანჯვა მხოლოდ  
 იმისთვის გადავიტანეთ,  
 ბევრი ღალატის გავხდით მოწმენი, ბევრი ვითმინეთ  
 და ავიტანეთ,  
 რომ იოლკოსში დაედო კერა, იმას,  
 რაც ყველამ ერთად ვიშოვეთ,  
 საერთო უნდა დარჩეს საერთო, რადგან სიამე  
 ერთობით ვპოვეთ,  
 საწმისი ეგებ დელფოს სამისნოს მივუძლვნათ  
 როგორც ძვირფასი ძლვენი,  
 ომფალოს ქვაზე გადავაფინოთ, ყველასთვის  
 გახდეს თვალში საჩენი,  
 თუ არა, მაშინ ჩავთვლით იაზონს, ჩვენთვისაც  
 ისე უღალატია,  
 როგორაც აფსირტს მიპარვით უყო,  
 როგორც მისგანვე დანახატია.  
 მაშინ აქ აღარ დაგვედგომება, თვითეულს გვიხმობს  
 ჩვენი მშობელი,  
 ჩვენი სამეფო, ჩვენი მამული და არც გავხდები  
 მათი მგმობელი,  
 მეფის ასულო, ქალო გრძნეულო, მოძმეთა შორის  
 მაინც ეულო,  
 შენი მიზანი ჩვენზე შორს არის, თუ არ ჩაუთქვი  
 რამ უჩვეულო.

(არგო თავის ძმებით, თეზეი დანარჩენი არგონავტებით  
 სტოვებენ იოლკოსს. რჩებიან იაზონი, მედეა და კიტისორე  
 მოქალაქეებთან ერთად, შემოდიან აკასტე, პელოპეა და ალ-  
 კესიტიდა, მეფე პელიასის შვილები)

## პაპასტე

თუ არ მატყუებს მზერა და სმენა, თუ ატას ძალით  
 არ ბრუნავს ენა,

იაზონს ვხედავ, უძვირფასეს ძმას, მართალი უთქვამთ,  
არ მომეჩვენა,  
ჩვენ სიხარულს ხომ არა აქვს ზღვარი, ამიტომ მიჩანს,  
როგორც ზღაპარი,  
პრომეთეს<sup>1</sup> კვალზე მაგალი ვნახე, რა უნდა მოხდეს  
უფრო მაგარი.

იაზონ ძმაო, შენ სანახავად, ჩემი ორი და მომიყვანია,  
შენი ბედ-იღბლით დამწუხრებულნი, გზას  
გაჰყურებდნენ დიდი ხანია.  
ახლა ჩვენთან ხარ, ჩვენ გულს ახარებ, ვიცი,  
შენც ამავ გრძნობას აჭარებ,  
სად და რა ნახე, გაგვიზიარებ, ერთობას ჩრდილს კი  
არ მიაკარებ.

## 02ზონი

თქვენი დანახვის ვარ მოხარული, თბილმა სიტყვებმა  
გამითბეს გული.  
ბიძის შვილები ძმად მიმიჩნევენ, მიძღვნეს ალერსი  
და სიყვარული,  
იოლკოსში ვარ, ჩემ ტომელებთან ჭირგამოვლილი,  
ბევრის მნახველი,  
მოგნატრებიათ ჩემი დანახვა, არ დაგვიწყნიათ  
ჩემი სახელი.  
ერთობას რა სჯობს, თვალს ცრემლი მადგას,  
გული სიამით ავსებულია,  
დაგსხდებით, გეტყვით თავს რა გადამხდა,  
ნანახი როგორ გაგებულია,  
მაგრამ მანამდე უნდა ვიკითხო,  
თქვენში ვერ ვხედავ ბიძას და მეფეს,

1. პრომეთე – პელაზგიურ-ძველბერძნული მითოლოგიის მეორე თაობის ღმერთების წარმომადგენელი, ტიტანი, რომელმაც ზევსზე განაწყენებულ-მა, კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის წვერზე მდგარი ჰეფესტოს სამჭედ-ლოდან ცეცხლი მოიტაცა და ადამიანებს მისი მოხმარება ასწავლა. სისხლის სამართლის ასეთი დანაშაულისათვის იგი კავკასიის მთებს მიაჯაჭვეს, ისევე, როგორც ამირანი.

გმირთა სულებმა ხომ არ მიიხმეს,  
ავმა სულებმა ხომ არა ჰყეფეს,  
მე მასთან მქონდა მტკიცე პირობა და დათქმულს  
თუკი შევასრულებდი,  
ნიშნავდა ვიყავ მეფობის ლირსი, ღმერთთა წყალობით  
კიდეც შევძლებდი.

### პელონება

შენ რომ გადარდებს ჩვენი ამბავი, ჩვენ იქით  
შენი გვაინტერესებს,  
ვხედავ გვერდით გყავს უცხო ასული, თვალებით გვჭამს  
და ელვას აკვესებს,  
ეგება გვითხრა ვისია შვილი, ასე ლამაზი,  
ვარდივით შლილი,  
აქეთ საიდან მოგიყვანია, პელაზგი არ ჩანს,  
უცხოა ხილი.

### იაზონი

მეფე ვიკითხე, პასუხი არ ჩანს, ასე ვიცადო  
კიდევ რამდენ ხანს,  
არვინ იფიქროს, რომ ჩემი სახით გადაეკიდა უვიცსა  
და ხამს,  
ვერც მამას ვხედავ შეკრებილებში, მოხუცს ვერ ვხედავ  
და მედარდება,  
გული საგულეს როგორ ჩავტიო, ვიკადრო ის რაც  
არ მეკადრება,  
მე ვინ ამიხსნას ყველა მიზეზი, ვინ გამიფანტოს  
შავი ეჭვები,  
ვინ დამაოკოს თუ ავიჭრები და სატევარით  
კარს მივეჭრები.

### პპპსტი

ჩვენ რომ დავშორდით სხვა წელი იყო,  
მერე რამდენი იმოგზაურე,  
სად რა გადაგხდა ჯერაც არ ვიცით, რა გააკეთე,  
რა იხმაურე,

შენც შეიცვალე, სხვა გაქვს იერი, ხარ მედიდური  
და ბედნიერი,  
აქაც ბევრი რამ სხვაგვარად არის, შენ რომ დატოვე  
სხვა გახდა ერი.  
შენი ძვირფასი მამა ეზონი და პოლიფემე მშობელი დედა.  
თუმცა ცოცხლობდნენ, დარდით არ იყვნენ  
და შენზე ფიქრსაც გადაჰყვნენ ზედა,  
ბიძას კითხულობ, მეფე პელიას, ჩავარდნილია,  
თუმცა ცოცხალი,  
ვისაც შეშურდეს იმისი ყოფნა, მოუკვდეს გული,  
დაევსოს თვალი,  
სამეფოს მაინც ეიმედება, რადგან ღმერთების ნებით  
არ კვდება.  
სანამდე სუნთქავს, უნდა ვაცალოთ,  
მკვდარი ცოცხლდება, ასედაც ხდება,  
შენი ჩამოსვლა როცა გაიგო, გაიხარა და ჯანზე მოვიდა,  
ვიდრე აქეთკენ წამოვიდოდი,  
მოხუცი მამა ადგომას ცდიდა.  
თუ ვერ შეიძლო მონებს უპრძანებს  
და ტახტრევანით გამოიყვანენ,  
ცოტა ვაცალოთ, მეფე მეფეა, ხელ-ბირს დაბანენ,  
კიდეც მორთავენ,  
ვხედავ, ნათქვამის დასამტკიცებლად,  
სასახლის კარი უკვე იღება,  
მეფე გამოჰყავთ, რომ ძვირფას ძმის შვილს  
აქ გაგიმართოს თბილი მიღება.

(ტახტრევანით გამოჰყავთ ნახევრად მისვენებული მოხუ-  
ცი. დამხვედრები ქედმოდრეკით ხვდებიან).

## მეური პილიასი

თუმცა სიბერემ დამრია ხელი,  
მოვჭამე გრძელი წუთისოფელი,  
მოხარული ვარ, რომ მოვესწარი  
და მემატება თვალში ნათელი,

ოქროს საწმისი დაბრუნებულა, წასულთა სულებს  
ექნებათ შვება,  
აიდი<sup>1</sup> გახსნის სამოთხის კარებს,  
და დასრულდება ტანჯვა-ვაება.  
რამდენი წელი ველოდით ამ დღეს, გზას ვერ ვაძლევდით  
გმირების სულებს,  
არ გვასვენებდნენ მწარე სიზმრები,  
ვერ ვეყრებოდით წლობით წასულებს,  
ახლა ცხოვრება სხვა აზრს შეიძენს,  
მეფეს მეფობა გაუმყარდება,  
მისი სიკეთე და სიძლიერე, მსახურს  
და მონას გაუხარდება.  
იაზონ შესძელ შეუძლებელი, ჩემი ხარ და მე მეამაყები,  
გმირი ხარ, გმართებს გმირული ქცევა,  
მსახურთა ჭორებს ხომ არ აჰყვები,  
მინდა გვიამბო თავს რა გადაგხდა და ჩვენიც იქით  
წვრილად იცოდე,  
გულს გამიხარებს შენი სიკეთე, შენც გულს მიგიკლავს  
თუ რამე ვცოდე.

## 01ზონი

კოლხეთისაკენ გზა არის გრძელი, კუნძულები  
და ქვეყნები ვრცელი,  
არგონავტებმა ბევრი ვიწვალეთ,  
სანამ მოვიგდეთ ხელთ საწადელი.  
კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის ირგვლივ არის  
სამეფო ამორძალების,  
ქალებმა სტუმრად დაგვტოვეს ერთ ხანს,  
ვიყავით მსხვერპლი მათთა წვალების,  
აღარ გვიშვებდნენ, მაგრამ ჰერაკლემ გვიხსნა  
და იქით გზა გავაგრძელეთ,  
დოლიონების სამეფოს მოგზვდით, ვინც წინ დაგვიხვდა,  
ვცემეთ და ვთელეთ.

1. აიდი – ზევსის და პოსეიდონის ძმა, მიწისქვეშეთის ღმერთი – მფლობელი.

ბოლოს დავზავდით, მშვიდობის ნიშნად,  
დავთქვით სიკეთე და მეგობრობა,  
იქიდან მოვხვდით მიზიელებთან,  
ვისიც არ გვქონდა მანამდე ცნობა,  
ღმერთთა ბრძანებით იქ ჩამოგვშორდნენ  
დიდი ჰერაკლე და პოლიფემი,  
თუმცა ვეწვალეთ, მცურავ კლდეთ შორის  
მშვიდობიანად ვაცურეთ გემი.  
დიდი სავალი ერთად დავლახეთ,  
საოცრებანი მრავალი ვნახეთ.  
ვისაც ჩვენების სურდა ზიანი, დავიჭირეთ  
და იქით გავლახეთ.  
კოლხეთს მივედით, არსად არსებობს უფრო მძლავრი  
და ვრცელი სამეფო,  
რამდენი უნდა გყავდეს მებრძოლი, რამე შებედო,  
აგინ-შაჰეფეფო,  
აიეტია იმათი მეფე, სხვაგან ვერ ნახო უფრო მრისხანე,  
დაიფურცლება უმალ სიცოცხლე თუ ვერ ივარგე  
და დაახანე,  
ჩვენ მისგან გვიხსნა მისმა ასულმა, მან გვიპატრონა  
და დაგვიფარა.

ოქროს საწმისიც მან მოიტაცა  
და ათას ხიფათს გამოგვატარა.  
ვით ჩემი ტოლი და ჩემი ცოლი, ჩემ გვერდითა დგას  
და მხარს მიმშვენებს,  
მკურნალია და მომავლის მაცნე, თუ რამ დამენგრა,  
ის ამიშენებს.

## მეცე პელიასი

კოლხები განა უცხო ერია, კორინთოს მხარის ნაშიერები,  
აქედან იქით წასულებია, გაუწვდენიათ შორეთს ხელები,  
აიეტი კი, იმათი მეფე, კორინთოს ფლობდა  
კოლხეთთან ერთად,  
ამაყი იყო, მიუკარები, თავი მიაჩნდა ოლიმპოს ღმერთად.

და ასე დიდხანს გააგრძელებდა,  
                        მაგრამ დელიას<sup>1</sup> დღესასწაულზე,  
ვერცხლის მოისარს<sup>2</sup> ჯიბრი დაუწყო, ნაწყენმა ღმერთმა  
                        ჯავრიან გულზე,  
სასჯელად მტრები შემოუსია,  
                        დამარცხებულმა დათმო კორინთო.  
კოლხეთს ილტვოდა პელიოსის ძე, ტახტი დაიდგა,  
                        ცეცხლი აინთო,  
ოქროს საწმისიც მოიგდო ხელში, რჩეული მეფის  
                        ბედის ნიშანი,  
ის, რაც აქ დათმო, იქ აისრულა, ალბათ,  
                        ასეთი ჰქონდა მიზანი,  
შენ როგორ შესძელ იმისი ძლევა,  
                        ამაყს არ ჰქონდა დათმობის ჩვევა,  
არცა მგონია გახარებოდა, მონდომებოდა კერას მიწვევა.

## 01ზონი

მართალი ბრძანე, ჩვენი სტუმრობა კოლხეთში  
                        არვის გახარებია,  
რაც მოვიპოვეთ ბევრ ცოდვად ღირდა,  
                        ბევრის ოცნებად ნატარებია,  
ოქროს საწმისის აქ დაბრუნება  
                        მეფის ასულის არის წყალობა,  
ღმერთების ნების ალსრულება  
                        და ალმისრულებელთა ბედის ცვალობა,  
ამიტომ დავთქვით, ვინც მოიპოვა,  
                        იმას ეკუთვნის მოპოვებული,  
მცველიც ის იყოს და დამფარავიც,  
                        ვინც არის მისი ასე ერთგული.

## მეფე პელიასი

როგორ, საწმისი იოლკოსშია,  
                        მაგრამ ჩემთვის არ ჩამოიტანე?

1. დელია – აბოლონის პატივსაცემად გამართული დღესასწაული. იმართებოდა კუნძულ დელოსზე,<sup>4</sup> ნ. ერთხელ.  
2. ვერცხლის მოისარი – აპოლონის ზედწოდება.

სარჯი გავიღე, გემი აგიგე და ჩემი ნება ქარს გაატანე?  
საწმისი თუ კი მე არ მეკუთვნის, მაშინ მქონია  
მხოლოდ წაგება,  
დამიწყვეტია გონების ძაფი, არა მქონია მოყვრის გაგება.

## იაზონი

ოქროს საწმისი საერთო იყო და მომავალშიც  
ასე დარჩება,  
წელს იოლკოსში, შემდეგ კი ვნახოთ,  
რომელი მეფის განძი გახდება,  
ორქომენაშიც ელიან საწმისს, ათამანტი ხომ ბიძაა შენი,  
ყველას უფროსი, პატივსაცემი,  
სხვა მეფეებში გამოსაჩენი,  
ათენის მეფეც, გმირი თეზეი,  
დროებით ფლობას ეპირებოდა,  
დანარჩენებიც, ვინც ჩვენთან იყო  
და გზაში ძმობას მეფიცებოდა,  
ამიტომ დავთქვით, მორიგეობით საწმისი  
ყველას კარს დაამშვენებს.  
ამით ერთობაც გაგვიმტკიცდება,  
ალარ დავარქმევთ სხვისას და ჩვენებს,  
ამავ დროს განძსაც უნდა მომვლელი,  
რომ იფარავდეს ერთგულის ხელი,  
მედეა ვცანით ერთხმად ასეთად, მან მოიპოვა,  
ისაა მცველი.

## მეური პელიასი

ათამანტს ამბობ, ბიძაა ჩემი, როგორი ბიძა,  
ეს კარგად იცი,  
მე ხომ გერი ვარ იმისი ძმისა,  
რატომ დავიწყო ლიქნა-ლაციცი,  
როცა კრეთევსმა, ათამანტის ძმამ, ტირო,  
ძმისშვილი შეირთო ცოლად,  
მე და ნელევსი გერებადა გვცნო  
და არც მივაჩნდით შვილების ტოლად.

კრეთევსს ტიროსგან ეყოლა ეზონ, შემდეგ ფერეტა  
 და ამფაონი,  
 გერებს შვილებთან რომ გაგვარჩევდა, ამას მტკიცება  
 არ უნდა მგონი.  
 ამიტომ იყო, კრეთევსის შემდეგ ეზონს, არა მე,  
 ერგო მეფობა,  
 ასაკით უფროსს უმცროსად მთვლიდა,  
 ასეთი გვექონდა ურთიერთობა.  
 მე არ ვუარყოფ მეფობა ეზონს ძალით წავგლიჯე  
 და მოტყუებით  
 და ამის შემდეგ დაწყნარდა გული,  
 ამოვისუნთქე ჩაგრულმა შვებით,  
 ამიტომ მოხდა, როცა მომადექ  
 და მეფის ტახტი უკან მომთხოვე,  
 ამფაონი და ფერეტა გედგნენ გვერდით,  
 იმედად მათ ჩაექსოვე,  
 მაშინ გითხარი, მეფობას დავთმობ, კიდეც გეკუთვნის  
 და გამეფდები.  
 როცა საწმისი იქნება ჩემი, როცა ტანატის<sup>1</sup>  
 მსხვერპლი გავხდები,  
 ახლა რას ვხედავ, აიდი მიხმობს, მოგიტანია  
 ოქროს საწმისი,  
 ჩავალ ქვესკნელში, სულებს რა ვუთხრა, რაც ჩემი არის,  
 ისაა სხვისი?  
 ძმის სულს რა ვუთხრა, ძმაო ეზონი,  
 რძლის სულს რა ვუთხრა, დავ პოლიფემე,  
 გზა ვერ ვუჩვენე თქვენ ტანჯულ სულებს,  
 საწმისის ფლობა ვერ დავიჩემე,  
 არა და გითხრეს, შენი მშობლები, წასული იყავ,  
 შენ ჯავრს გადაყვნენ,  
 ზეციურ კიბეს ზევით ვერ აპყვნენ,  
 მიუსაფარნი ქვესკნელს ჩავარდნენ.

1. ტანატა – სიკვდილის ღმერთი.

## იაზონი

ის, რაც ღმერთებმა მოგვცეს სიკეთე,  
                        საერთო საქმე გამოვაკეთეთ,  
ათასი ტანჯვა გადავიტანეთ, მიჯირით მივედით,  
                        ბოლომდე ვავეთეთ,  
არის მედეას დამსახურება, არ მოუხდება შურით ყურება,  
ფიცსაც ვერ შეცვლის მოკატუნება,  
                        არც მიზეზების გახმაურება,  
მე კარგად ვატყობ, როგორ რა არის,  
                        ვინ სიტყვას შეცვლის, ეცვლება მხარი,  
სხვისგან სხვაობით ვრჩები ერთგული,  
                        როგორც ბრინჯაო სიტყვა მაქვს მყარი.

## გეფე ჰელიასი

სულ არ მეგონა, ჩემი ძმისწული,  
                        ჩემთან პირობას გადახვიდოდი,  
საწმისს არ მითმობ, მაგის გარეშე, არ მჭირდებოდი,  
                        რას მოდიოდი,  
შემეძლო კიდეც ძალით წალება, მაგრამ ღმერთების  
                        არ ვიცი ნება,  
ამიტომ მიჯობს მქონდეს თანხმობა, ასე ივარგებს,  
                        არ მეჩვენება.

დაე საწმისი მის მცველთან დარჩეს,  
                        იოლკოსში ხომ ექნება კერა.  
შენც აქ იქნები, ვიქნებით ერთად, ჩვენი თანხმობის  
                        მე ისევ მჯერა,  
მაგრამ რადგანაც საწმისს არ მაძლევ,  
                        არც მე მეთმობა მაშინ მეფობა,  
ტახტთან იქნები და არ იმეფებ, არც მე მექნება  
                        საწმისის ფლობა.

## იაზონი

შენა ხარ მეფე, ბევრის მნახველი  
                        და უფრო მეტის მოსურნე სოფლად,

მიტომ ვერ ხედავ სხვის გარჯილობას, არც დაიღვრები  
სისხლად და ოფლად,  
ჩვენი ცდების გზა სხვადასხვაგვარი, არც შედეგებით  
არის ერთგვარი,  
შენ როგორც მეფე შენსას მოითხოვ,  
მაგრამ მტკიცება არა გაქვს მყარი,  
მიზეზი ნახე, მეფობას არ თმობ,  
სხვების მონაგარს იწუნებ და გმობ.  
სიტყვასა ტეხავ, აზრებსა გრეხავ,  
სხვის გმირობაზე არაფერს ამბობ,  
ვხედავ კარგი დრო შეგირჩევია, სიცრუით ჭედვა  
კიდეც გჩვევია,  
მოხუცებული და ავადმყოფი, საღთან იოლი გასარჩევია,  
რომ არ გამეშვა არგონავტები,  
ვნახავდი მიზეზს რას მოიდებდი,  
ჩემი ბრალია, ძმები გავუშვი, თორემ ნახავდი  
რას მოიგებდი,  
დე ასე იყოს, დაველოდები, ტანატა  
როდის გაგიღებს კარებს,  
შემდეგ მეფობა ჩემი იქნება, საწმისიც იქვე გაიელვარებს.

/ორქომენი. მეფე ათამანტის სასახლე, თათბირობენ ათა-  
მანტი, მისი მეულლე ინო, შვილები ლეარქე და მელიკერტე/  
ათამანტი

თუ მართალია, ოქროს საწმისი,  
ორქომენიდან გატაცებული,  
უკან დაბრუნდა, ნიშნავს ღმერთებსაც მოუბრუნდებათ  
მოწყალედ გული,  
რისხვა დამთავრდა, არგონავტების დამხმარე იყვნენ  
ჰერა, ათენა,  
ორმა ქალლმერთმა, გმირებთან ერთად,  
რამდენი ღამე თეთრად ათენა,  
ხარისხვალება ჰერა გვწყალობდა,  
მისი ბრძანებით ჰაერით ვსუნთქავთ,

ამიტომ არის მის სადიდებლად ზვარაკს რომ ვწირავთ,  
სურვილს ჩავუთქვავთ.

## 060

პერა პელაზგთა სათაყვანები,  
რად დამიფარავს კადმოსის ასულს,  
ფინიკიური ვისაც გვაქვს ძირი, ის და ათენა  
გვახსენებს წარსულს,  
მათ მომივლინეს სადარდებელი,  
შენგან გაქცეულ შვილების სახით,  
ჩემ შვილებს მათგან ხიფათი ელის  
და შესძახებენ რისხვით და ზახით.  
დაზღვეული ხომ აღარც შენა ხარ, მოვლენ,  
სამეფო ტახტს მოითხოვენ,  
გაქცეულ მამის მტრობას და ღალატს,  
საკუთარ ღალატს შიგ ჩააქსოვენ,  
ჩემი ლეარქე, ჩვენი უფროსი და მელიკერტე  
უმცროსი ჩვენი,  
შენი ერთგულნი, შენგან ნაწრთობნი,  
მოყვარულები გამოსაჩენი,  
არგოსგან ხიფათს გადეყრებიან,  
ნესით მეფობა არგოსი არი,  
განა ამისთვის ვზარდე შვილები,  
დღე დასდგომოდათ ასე საზარი?

## ათამანტი

რაც ქვეყნად ხდება, ღმერთების ნებით,  
ზეცაში არის გადაწყვეტილი,  
კაცი ვერ შეცვლის ოლიმპზე ნაფიქრს,  
სიზიფიც<sup>1</sup> იყო თავაწყვეტილი,

1. სიზიფი – ათამანტის, კრეთეცსის, სამონეცსის ძმა, ერთი პერიოდი კორინთის მართავდა. ღმერთების მოტყუებისათვის მიესაჯა დიდი ქვის ლოდი გორაზე უნდა აეგორებინა, რომელიც მუდმივად ქვევით უგორდებოდა ე.ი. ფუჭად შრომობდა, აქედან სიზიფის შრომა-ფუჭად შრომას ნიშნავს.

გინდა ტანტალი<sup>1</sup> მიონიელი, ერთიც, მეორეც  
 ღმერთებს ეჯიბრნენ,  
 როცა შედეგად შეხვდათ ვაება, საკუთარ ცოდვებს  
 მაშინდა მიხვდნენ,  
 შენ ხომ არ გინდა მეც ასე ვიყო, ღმერთებს ვეურჩო,  
 ვუთხრა ვინ ხარო,  
 ეს იმას ნიშნავს დავცე სამეფო და ერის ცოდვით  
 ვერ გავიხარო,  
 ღმერთების სურვილს ვემორჩილები,  
 მოხდეს რაც ჩემთვის მოსახლენია,  
 არაქნეს<sup>2</sup> ხვედრს არ გავიზიარებ,  
 მსგავსი ცოდვა არ ჩამიდენია.

## ლეპტენი

ცოდვა არც შვილებს ჩაგვიდენია,  
 ცოდვის შვილობა ცოდვაა განა?  
 მიტომ არ გვინდა მეტოქეთ ხილვა, ვის სურ  
 გაგვიყონ ჩვენი ქვეყანა,  
 დედა ბრძენია, სიმართლეს ამბობს,  
 თუ კარს მოგვადგნენ არგონავტები,  
 ტასტს მოითხოვენ, შენ რას გიზავენ,  
 გულზე არც ერთი არ ვეხატებით.  
 რისთვის გვაკეთე, რისთვის დაგვზარდე,  
 რომ უცხოს დარჩეს ჩვენი ქონება?  
 კაცს განძი ჰქონდეს, სხვას აძალებდეს,  
 მსგავსი ბრძენი არ გამეგონება.

## მელიპონტე

მეფობა მაინც მე არ მეკუთვნის, რა ბედენაა  
 ვის კარს ვიქნები,

- 
- ტანტალი – მინიის მეფე, მდიდარი, მოუსვენარი, მისი ვაჟი იყო პელოპი, პელოპონესის მისი სახელი ეწოდა. მამა – ტმოლოსი, დედა – ომფალე.
  - არაქნე – მინიელი ფეიქარი ქალიშვილი. ქსოვის ხელოვებაში ქალმერთ ათენას გაეჯიბრა და ღმერთების სასიყვარულო სცენები დახატა. ღმერთების გაკილვისათვის ათენამ ის ობობად აქცია, ეკიდე კუთხეში და ქსოვეო.

მაგრამ შენ უნდა კარგად განსაზღვრო,  
მიუსაფარნი არ დაცრჩეთ ძმები,  
ფრიქსეს შვილები, ძმის შვილებია, მამით ერთი გვაქვს  
სისხლი და ძირი,  
არც ახლოს ვიცნობ, პირზე ვაკოცო და არც მეთქმება  
უცნობზე ძვირი.

შეუჩეველ ლხინს, სევდა სჯობს ძველი,  
გაცნობილი ვარ, ვიცი სახელი,  
ლეარქეს მიტომ გვერდს ვეყოლები,  
გულს გადვიყაროთ სადარდებელი.

## ათამანტი

კაცის სიხარბეს არა აქვს ზღვარი,  
ლანდივით დასდევს ეჭვი საზარი,  
დაუნდობლობა, გაუტანლობა,  
მოსკდება როგორც წვიმისას ღვარი,  
რამდენი უნდა გქონდეთ ქონება, რომ არ ალესოთ  
შურით გონება,  
სხვათ სიყვარული არის სიკეთე,  
მანათობელი და მოგონება.  
ფრიქსე და ჰელე, თქვენზე უფროსნი,  
ნეფელე<sup>1</sup>—საგან მყავდა შვილები,  
განა რა სცოდეს უმანკოებმა,  
კეთილად იყვნენ გამოზრდილები,  
ეს მე შევცოდე, ცოლს ვუღალატე  
და დედათქვენი შევირთე ცოლად,  
კადმოსის<sup>2</sup> ასულს მე არ ვუყვარდი და არც ქალლმერთი  
მიაჩნდა ტოლად.  
მე ჩემი ცოდვა ჩრდილივით მახლავს, შვებას არ მაძლევს,  
ჭიასავით მხრავს.

- 
1. ნეფელე – ათამანტის პირველი ღვთიური ცოლი, ღრუბელთა ქალლმერთი.
  2. კადმოსი – ფინიკიელთა მეფე აგენორის ვაჟი, გადმოცემით პელაზგებში ფინიკიური დამწერლობის გამავრცელებელი.

გინდათ ამ ცოდვას ცოდვა დავურთო,  
 გადავეკიდო ბოროტსა და ავს,  
 სანამ გეტყოდეთ, რა მაქვს პასუხი,  
     ჰეროფილე მყავს კარს მოწვეული.  
 უნდა შევკადრო და რჩევა ვკითხო,  
     გადავუშალო გულს ჩახვეული,  
 თქვენ დამელოდეთ, ყველას გავარკვევ  
     და მერე ერთად დავთქვათ პირობა.  
 გამოვიჩინოთ გულის სიკეთე, ჩავკლათ შური  
     და პირაშლილობა  
 სიბილა<sup>1</sup> ბრძენი გზას მიმანიშნებს, მეცოდინება,  
     მე რა ვიღონო  
 თუცნობილია ღმერთების ნება, ახალი რაზე გამოვიგონო.

(ათამანტი გადის)

## 063

თუ ჰეროფილე ათამანტს სტუმრობს, ყველა რაც იყო,  
     გამომულავნდება,  
 სულ წვრილად მახსოვს რაც ჩავიდინე, ისიც მის გამო  
     აქ რა მოხდება.  
 მიმიძღვის ცოდვა უმანკოების, ეს მე გავწირე  
     ჩემი გერები,  
 მაგრამ რა მექნა, გზა რით გამეხსნა,  
     ჩემები მყავდით მოსაფერები,  
 ახლაც ასეა. ერთ მხარეს თქვენ ხართ,  
     ძუძუ ნაწოვი ჩემგან შვილები.  
 მეორე მხარეს თქვენი ძმის ნულნი, უცხოდ,  
     უცხოთგან გამოზრდილები.  
 თუ არას ვიზამთ, ბოლოს მეფობა მათი იქნება, ასეა წესი,  
 რაც თქვენთვის მინდა, მათი გახდება მთელი ქონება,  
     სახნავ-სათესი

1. სიბილა – კორინთოს პირველი მეფის დარდანისა და წესოს ასული, პირველი წინასწარმეტყველი. მისი სახელის მიხედვით წინასწარმეტყველებს სიბილა-ს უწოდებდნენ.

და თქვენც ხომ იტყვით, სხვისი შემყურე,  
რად დაგვაჩინა ქვეყნად დედამა,  
სიკეთემ რატომ გვაქცია ზურგი  
და ბედისწერის მოქმედებამა,  
ძმობა კარგია, მაგრამ ამ ძმობას უნდა მოჰქონდეს  
ძმების სიკეთე,  
თუ ბუხარს ზიხარ და ნაცარს ქექავ,  
ნიშნავს მახათი ყვერში იკეთე,  
განა ამიტომ გავწირე თავი,  
განა, ამისთვის გზარდეთ შვილები,  
უცხოს წაეღო თქვენი სამეფო,  
დარჩენილიყავთ კარაშლილები.  
ახლაა ჟამი მოქმედებისა, გზა თუ ჩახერგეს,  
უნდა გაწმინდო,  
ხელის შემშლელი ვინაც შეგხვდება, ჩაპელა, ჩაპელო  
და არ დაინდო,  
მოხუცი მამა სანამ თათბირობს, სანამ მიხვდება რა  
როგორ არის,  
ფრიქსეს შვილები, მეტოქეები,  
ვისაც მოექცა აქეთკენ მხარი,  
სამეფო გზიდან ჩამოიცილეთ,  
იმათ ცხედრებზე კიდეც იცინეთ,  
ჯერ გზა გაწმინდეთ, ტახტი მოიგდეთ  
და შემდეგ ტახტზე თავად იძინეთ.  
უნდა იჩქაროთ, ვინძლო ქალაქში  
არ შემოუშვათ მეტოქეები,  
თქვენ წინ იარეთ, არც მე დავრჩები,  
რაც შემეძლება უკან მოგყვებით.

/ინო, ლეარქე და მელიკერტე გადიან. შემოდიან ათამანტი  
და ჰეროფილე ერითრეიდან/

## ათამანტი

მოხარული ვარ შენი სტუმრობის,  
ვერცხლის მოისარს პატივს მივაგებ,

და შეაწუხა, გამომიგზავნა,  
 ალსანიშნავად ნიშსაც ავაგებ,  
 ზვარაკს შევნირავ და შენი პირით დელფოს  
 სამისნოს შევევედრები,  
 ღმერთთა წყალობა ნუ მომაკლდება,  
 არა მაქვს ცოდვა დასაყვედრები.  
 თუ ჩემმა ფრიქსემ, გზაარეულმა,  
 ოქროს საწმისი გამომაცალა,  
 დელფოს, ღმერთების ნაკარნახევი, ვერ შევასრულე,  
 არ დამაცალა,  
 განა მე ვცოდე? მე ხომ მზად ვიყავ,  
 იმათი ნების ალსრულებასა,  
 თუ მამა სცოდავს, შვილს არა სჯიან, შვილისა  
 რატომ ვკითხოთ მამასა?  
 შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა ხომ თავისი აქვს  
 და თავადა საჯოს,  
 და-ძმა არის თუ მამა-შვილია, მაინც სხვა არი,  
 რად დაისაჯოს?

### ჰეროზილე

შენს გამო ღმერთებს ჰქონდათ მსჯელობა,  
 რა გქონდა კარგი და გარჯილობა,  
 რაში შესცოდე ან შეგაცდინეს,  
 რაში როგორი გქონდა მცდელობა,  
 ძმამ მომივლინა ნათლად ხილვები,  
 მიბრძანა შენთან მოვსულიყავი,  
 ბრძისთვის თვალები რომ ამეხილა  
 და ამეცდინა საქვეყნო ავი.

### ათამანტი

მოხუცი კი ვარ, არ დამკლებია ღმერთის წყალობით  
 სმენა და მზერა,  
 მესმის რას ამბობს ჩურჩულით ენა, ვხედავ მწერს  
 ყვავილს თუ მიეფერა,

ამ მხრივ არა მაქვს ნაკლი და ხინჯი,  
მომადლებული უხვად მაქვს ნიჭი,  
არც მუხლს ვემდური, არც მკლავის ძალას,  
თუმც შენცა ხედავ არა ვარ ბიჭი.

### პერიფერიული

გულით ისმენს და გონებითა მზერს,  
ბრძენი ამითი გამოირჩევა,  
თვალით დანახვა, ყურით მოსმენა,  
მოკვდავისაა უკვდავი ჩვევა,  
თუმცა მეფე ხარ, მაინც მოკვდავი, ქვეყნად ბრმა  
და ყრუ დაიარები,  
ვერ დაგინახავს ეოსის სხივი და ვერ გიგრძვნია  
გულს იარები.  
როცა წეფელეს, ღრუბელთა ქალლმერთს ულალატე  
და შეირთე ინო,  
უცხო ტომელი, უცხო თესლისა,  
სიმართლეს გეტყვი თუნდ გაწყენინო,  
შვილებს, ახლობლებს მტერი უჩინე,  
ამით სიბრმავე გამოაჩინე,  
მზერა დაიხშე, სმენაც დაიხშე,  
სიკვდილს ვერავინ გადაარჩინე.

### ათაგანტი

ქალლმერთი, ვინაც ღრუბლებს წარმოშობს,  
წვიმას მოგვივლენს, ნიქსის<sup>1</sup> ნაყოფს შობს.  
ფრიქსეს და ჰელეს ღვთიური დედა,  
არ აკარებდა სინესტეს და ობს,  
მაგრამ როდესაც მიწიერ დედამ ობლად  
დატოვა ნორჩი შვილები,  
ღვთიურმა დედამ ზურგი აქცია,  
დარჩნენ ობლები გზააშლილები,

1. ნიქსი – პელაზგიურ-ძველბერძნული მითოლოგიის ნისლის მომყვანი ღმერთი.

მე რაღა მექნა, შენ ხარ სიბილა,  
 რაც იყო შენში ყველა ნათლდება  
 შენ შემახსენე, დედინაცვალი მოჰყავთ ყოველთვის,  
 ასე არ ხდება?  
 პო და რა მექნა, მეც მოვიყვანე, სიკეთით სავსე,  
 სათნო არსება,  
 ობლებს მიშედა და უპატრონა,  
 ყველა გაიგო რა და რას ება  
 და ალბად ასე გაგრძელდებოდა,  
 რომ არა გვალვა, ნეფელას შური,  
 არ მოგვცა წვიმა, გაახმო მიწა,  
 მონა-მსახურმა ვერ ჭამა პური.  
 დამშეულები იხოცებოდნენ,  
 ვერ მოვიგონე მე სხვა საშველი,  
 დელფოს გავგზავნე ინოს მსახური,  
 კაცი ჭკვიანი, შემძლე და ქველი,  
 მიზეზი რისხვის ჰკითხა პითიას<sup>1</sup>,  
 შემდეგ პასუხი ეს მომიტანა,  
 თუ გსურს დააცხრო ღმერთების წყრომა,  
 დაღუპვისაგან იხსნა ქვეყანა,  
 ყელები უნდა დასჭრა შენ შვილებს,  
 ოლიმპოს მკვიდრებს მსხვერპლად შესწირო.  
 ან არა იჯდე ხელ დაკრეფილი,  
 ქვეშევრდომების ცოდვას უცქირო,  
 მითხარ რა მექნა, ერი კვდებოდა,  
 ცალ მხარეს იდგნენ ჩემი შვილები,  
 ზვინად ეყარნენ დახოცილები,  
 შველას შემთხოვდნენ დავრდომილები.  
 ქვეყნის სატანჯველს ვერ გავუძელი, როგორც ვიფიქრე,  
 ისე შევძელი  
 შვილები მსხვერპლად ძნელად დავსახე  
 და სასიკვდილოდ აღვმართე ხელი  
 და საოცრება, აი, აქ მოხდა, დღესაც არ ვიცი,  
 როგორ გამოხდა,

1. პითია – დელფოში, აპოლონის ტაძრის მკითხავ-მსახური.

შვილები გაქრნენ, ვერძით, საწმისით  
და შვების ოხვრა ტანჯულს ამომხდა.

### პეროვილე

გითხარი ბრმა ხარ, გონების მზერით,  
ღრმა სიბნელეში დაიარები,  
ვერ გაგიგია სულის ყივილი, არ მოგრჩენია გულს იარები,  
შე დალოცვილო, თუ გიფიქრია,  
როგორ გაგექცნენ განწირულები,  
ვერძი საწმისით ვინ გაატანა,  
ვინ დაიფარა ცოდვილთ სულები?  
თუ გიფიქრია შვილების ბედი, სამეფოს ბედი,  
მსახურს მიანდე  
გიერთგულებდა ინოს მსახური, თუ შეგაცდენდა,  
ეს თუ იანდე?

### ათამანტი

ინო ყოველთვის მყავდა ერთგული, ქალი გულჩვილი  
და მოყვარული,  
ფრიქსეს და ჰელეს ის იფარავდა,  
იმათი ცოდვით გაუჩნდა წყლული,  
და მხოლოდ შემდეგ, როცა ლეარქე  
და მელიკერტე ბოლოს გვეყოლა,  
სულის სიმშევიდე ელირსა ინოს,  
ჯავრი პატარებს გადააყოლა.

### პეროვილე

მე აქ მოვედი, რომ შევასრულო,  
გადამოგცე მისი დანაბარები,  
თვალით რომ ხედავ და ყურით ისმენ,  
დახურული გაქვს გულის კარები,  
ხომ უყურებდი, რად ვერ ხედავდი,  
ხორბალს სათესლეს მუდმივ ხარშავდნენ,  
ინოს ბრძანებით, ინოს მსახურნი მიწყივ შრომობდნენ,  
ცოდვით გაშავდნენ.

როცა ეს თესლი მიწას მიანდეს, რა მოხდებოდა,  
იქვე იანდეს,  
ხენაშისჯობია პატიოსნება, მკაში შედეგიარ დაზიანდეს,  
მოხარშულ მარცვალს აღმოცენება არ უწერია,  
აი, შედეგი,  
პითიას ვკითხოთ გვალვის მიზეზი,  
ინოს ნაბიჯი იყო შემდეგი,  
როცა დელფოში ინოს მსახური, მისი მზითევი,  
მისი ერთგული,  
გაუშვი ძლვენით სიმართლისათვის,  
რად დაიყენე უკუნი სრული?  
შენ რა არ გყავდა სხვა უფრო სანდო,  
ვის ჩაბარე სამეფოს ბედი,  
ქმარის სიბრიყვე და მიმდობლობა,  
ცოლისთვის გახდა კვესი-აბედი,  
პითიამ მხოლოდ ის უთხრა მსახურს,  
შიმშილის მიზეზს სხვაგან ნუ ეძებ,  
დაუკვირდები გარშემო მყოფებს,  
გვალვის გამომწვევს მიხვდები უცებ.  
ინომ რა გითხრა მსახურის პირით,  
როგორ ასტეხა ფუჭი ხმაური,  
ფრიქსეს და ჰელეს დასჭერ ყელები,  
ლმერთებს არ უნდათ სხვა საზღაური.  
ერთგულ მსახურებს და ნათესავებს რა უნდა ექნათ,  
ბრმა დადიოდი,  
ინოს ნაფიქრი გულს აგებეჭდა,  
სიმართლეც მხოლოდ მისი იცოდი,  
ჰოდა, გადაწყდა, ცოდვა გაშორეს,  
კოლხეთს გახიზნეს შენი შვილები,  
დედინაცვალის შერისხულები,  
მამისგან მნარედ განწირულები,  
თან გაატანეს სამეფო ვერძი,  
ოქროს საწმისი ზურგს რომ ეფარა,  
რომ ვერძი კრავად არ დაკლულიყო,  
საწმისიც მსახურს არ მოეპარა,

ეს იყო ფასი შენი ღალატის,  
ქალლმერთ ნეფელას ეს იყო შური,  
შენ კი მისდევდი ღალატიან გზას,  
შვილთა სიკვდილი გქონდა საშური.

## ათავანტი

შენ გინდა ის თქვა, დედინაცვალი ჩემ ობოლ შვილებს  
ფრიქსეს და პელეს –  
მტრად მოეკიდა და ოცნებობდა, როგორ დავჭრიდი  
ორივეს ყელებს?  
გაფიქრებაც კი მთრგუნავს და მზარავს,  
როგორ ბრიყვულად ვუმზერდი ამას,  
ერთგულად ვთვლიდი, ვინაც ცდილობდა  
ჩემი შვილების დაკვლას და ჭამას.  
მაშ ბრმაც ვყოფილვარ, ყრუცა და მუნჯიც ჩემი ობლების  
ვერ შევძელ დაცვა,  
მას მივეფერე და დავუჯერე, ვინც მოინდომა  
ჩემი გაძარცვა,  
ჩემი სიბრმავით დავკარგე პელე, ვინც სულს მერჩია,  
ვინაც მიყვარდა,  
შეშინებული ილტვოდა თურმე, ფრენა ვერ შეძლო,  
ზღვაში ჩავარდა.  
და ჩემი ფრიქსე, ტახტის მემკვიდრე, ჩემგან ნაწრთობი,  
ჩემგან ნაზარდი,  
კოლხებთან ჩემგან იმალებოდა,  
და არც ელირსა აქეთ ნავარდი,  
ლირსად მომსვლია, რაც მომივიდა,  
ღმერთების წყრომა დამატყდა ციდან,  
გველი ვიგუე, უბეს ჩავისვი, უბით ნაზარდნი  
მოვწყვიტე გზიდან,  
სიკეთე მოვსპე, ბოროტი ვთესე, მასთან ვამრავლე  
სხვა ბოროტება,  
თუ მცდარ გზას მისდევ, ყოველ ნაბიჯზე ცოდვას  
ცოდვები მიემატება,

კარს რომ მომადგნენ ფრიქსეს შვილები,  
აიეტისგან გამოზრდილები,  
სად წინაპართა საძვალებია, სურდათ ჰქონოდათ  
ის ადგილები.  
მაშინაც ინომ პელისთან ერთად ოქროს საწმისი  
ნახა მიზეზი  
ამით ბადიშნი ჩამომაშორა და სასიკვდილო  
უჩვენა გეზი,  
ახლა რაღა ვქნა? მსახურმა მითხრა,  
მობრუნებულან უკან გმირები,  
ოქროს საწმისი მოუტანიათ, აღსრულებულა დანაპირები,  
ახალ მიზეზად რას იტყვის ინო. ინოს ვერ ვხედავ,  
ველარც მის შვილებს,  
მემალებიან თუ თათბირობენ და სიბოროტის  
წონიან წილებს?  
სიბილა შენ ხარ, შენი ვალია, მასწავლო გზა  
და მომცე იმედი,  
მე მშვიდ სიბერეს ვერ მოვესწარი,  
როგორი დამრჩა გადასახედი?

### ჰეროუილე

საწყალო კაცო, გზა არეულო, მეფე კი გქვია,  
ხარ მათხოვარი,  
თუ არ იჩქარე, გზა ეკლიანი და მომავალი გიჩანს საზარი,  
შვილების ცოდვა არ მოგასვენებს,  
ბადიშთა ცოდვა უფრო მეტია,  
ნათლადა ვხედავ შენი ცოდვები,  
ერთ კაცის ბედში არ ჩაეტია.  
შენ დაგიკარგავს ვერძი საწმისით,  
ლმერთებს დააკელ შესაწირავი,  
რაც ადრე იყო, ისაა ცოდვა,  
რასაც ჩაიდენ, ისაა ავი.  
გასწიე სწრაფად, ეგებ იხილო, როგორ კვდებიან არგო,  
მელასი,

მათთან ფრონტისი, ფრიქსეს შვილები,  
ხდებიან მსხვერპლნი სატეველასი.

(ათამანტი დარბაზიდან გარბის)

ღმერთების ნებას ვინც ეურჩება,  
შურისძიებას ვერ გადურჩება,  
შენმა ცოდვებმა იბარტყ-იმრავლა, დღეს რას მოიმკი,  
ხვალ რა დაგრჩება,  
ნათლადა ვხედავ ინოს კარნახით,  
ცოდვილიანმა მისმა შვილებმა  
მიპარვით მოკლეს ფრიქსეს ვაჟები,  
ვერ გაუბედეს პირისპირ შებმა.  
მამის და პაპის ცოდვამ უწიათ,  
ვერ მოიპოვეს ზეცის წყალობა,  
ვერ მოიტანეს ოქროს საწმისი,  
ვერ გაუწიეს ერთურთს ცალობა.  
ათამანტს ვხედავ მშვილდისრით ხელში,  
გაოგნებული შეპყურებს შვილებს,  
ძმის შვილთა ხოცვით თვალანთებულებს  
და სიბოროტით გალალებულებს.  
ინოს, რომელმაც გერის ნაშიერთ გზა მოუჭრა  
და დაუვსო თვალი,  
სიბოროტისთვის დაბადებული,  
მსხვერპლის შეხედვით იქნება მთვრალი,  
მაგრამ ეს რაა, ძმაო, რას ვხედავ,  
ათამანტს ჭკუა დაუკარგია,  
ლხენაში როგორ ივარგოს იმან,  
ვისაც ბრძოლაში არ უგარგია.  
მშვილდისრით მისდევს ცოლსა და შვილებს,  
ირმებიაო თან ასე ყვირის,  
ესმის ნადირთა მდევრების ყეფა,  
ყურში ჩაესმის ხმები საყვირის,  
მოჭიმა ლარი და ისრის წვერმა ლეარქე  
დასცა მუხლმოკვეთილი.

ღმერთთა ნებართვით მკვლელის მკვლელობა  
ოდითგან იყო საქმე კეთილი,  
ლეარქე მოკვდა, მოკლულის ბედიაიდისაა განსახილველი,  
მამისგან მოკვდა მიუსაფარი,  
გინც ძმისწულებზე აღმართა ხელი.  
ინო შეშლილი და მელიკერტე ზღვაში ცვივიან,  
შველას ეძებენ,  
რაც სიბოროტით მიწაზე დარჩათ,  
იმას ზღვის ფსკერზე ვით მიაგნებენ?  
ასე აღსრულდა დანაბარები, სიკეთემ გასჭრა, შური იძია,  
დიდება შენდა ღმერთო მაღალო,  
ვინაც სიმართლე გამოიძია.

/7 წლის შემდეგ. იოლკოსი. ბჭობაა. არიან იაზონი, აკასტე,  
ფერეტი, ამითაონი დამსწრენი/

## ფირეატი

მეფე აღარ გყავთ, მოხუცი მოკლეს,  
ჩვენი ვალია მკვლელების დასჯა,  
ამას მოვრჩებით, შემდეგ დავიწყოთ  
ახალ მეფეზე ფიქრი და განსჯა,  
მე გეტყვით იმას, რაც ყველამ იცის,  
აქ დასამალი არაფერია,  
დავიწყებ, შემდეგ სხვამ დაამატოს თუ შემეშალა  
ან ამერია.  
მეფე შვილებმა მოკლეს და დაჭრეს, შემდეგ მოხარშეს,  
კრავი ეგონათ,  
სხვა უარესი რა უნდა ექნათ, სხვა საზარელი  
რა მოეგონათ.  
პელოპეა და ალკესტიდაა ამის ჩამდენი, დამნაშავენი,  
ამითაონი და მე ვართ ძმები, სისხლის აღება ვალია ჩვენი,  
მაგრამ აკასტე ხომ მემკვიდრეა, შურისძიება მისი ვალია,  
მოპკითხოს მკვლელებს, ის აღასრულოს, რაც წესია  
და სამართალია.

## ბპპსტე

თუმცა ბიძა ხარ, მაინც ხარ უცხო, შენ  
და შენი ძმა ამითაონი,  
დედით სხვები ხართ, სხვას ემხრობოდით,  
ასეთად დარჩით ორივე მგონი,<sup>1</sup>  
მიტომ თქვენ რჩევას გულთან ვერ ვიღებ,  
დებს ვერ გავნირავ თქვენი რჩევითა,  
მათ სისხლში ხელებს მე ვერ აურევ,  
ვერ გაგახარებთ ასეთ ძლვენითა.  
ჩემ დებზე მეტად დამნაშავეა მედეა, ვინაც ეს შთააგონა  
უჭკუო ქალებს რა უნდა ექნათ, ის შეასრულეს,  
რაც გაეგონათ.

## პითაონი

მედეას ამბავს ჩვენ ცალკე განვსჯით, დამნაშავეა?  
სასტიკად დავსჯით,  
ტყუილად ცდილობ შენ დების დაცვას,  
ვერ დაგვარწმუნებ სიტყვიერ გარჯით,  
თვითონ ამბობენ, აღიარებენ,  
როგორ ადულეს დიდ ქვაბში წყალი,  
მამა აკუნეს და შიგ ჩაყარეს,  
როგორც პერანგი გამონაცვალი,  
მედეა იმ დროს იქ არ ყოფილა, ასე ამბობენ ეგ შენი დები  
თუ იქ არ იყო, როგორ მოჰკლავდა, თუ გაიაზრებ,  
კიდეც მიხვდები.

## იაზონი

დებს თუ დაიცავს, თავს გადაირჩენს,  
ასეთი არის მაგის მიზანი  
მანაც იცოდა, რას აპირებდნენ, თუმცა გვიმალავს,  
ამოვიცანი

1. ეზონი, ფერეტი და ამითაონი პელიასის ნახევარძმები იყვნენ. შვიდი წლით ადრე, როდესაც ოცი წლის იაზონი იოლკოსში მივიდა და შეუე პელი-ასს ტახტის დათმობა მოსთხოვა მამის (ეზონის) ღვიძლი ძმები ფერეტი და ამითაონი მას მიემხრნენ.

მხოლოდ ეგ არის, შარს გაერიდა,  
რადგანაც იყო ცოდვილიანი,  
როცა დაბრუნდა, მამა იკითხა,  
მაგრამ მოკითხვა იყო გვიანი.

## ფირეტი

შენ მართალს ამბობ, ჩვენც ასე გვითხრეს,  
ვინაც იქ იყო მონა-მსახური,  
მათ ამოიღეს ქვაბიდან გვამი, ძვალ-ხორც დაშლილი,  
რამ უსახური.

## პაპასტი

მონამ რა იცის, რას გძნობდა გული,  
როგორი განცდით იყო დაგული,  
მამა გვიყვარდა, ვეფერებოდით,  
ჩვენი მცდელობით იყო დაცული,  
სხვაფრივ ხიფათს ვერ გადურჩებოდა,  
დიდხანს ცოცხალი ვერ დარჩებოდა,  
იაზონს სურდა მისი სიკვდილი  
და სასურველ დროს ელოდებოდა.  
ოქროს საწმისი როგორც დაბრუნდა,

მედეა გახდა იმისი მცველი,  
ქმარს მეფედ თვლიდა და იაზონმაც ბევრჯერ წაიღო  
კვერთხისკენ ხელი.

რომ არა ჩვენი დიდი მცდელობა,  
მიზანსაც მალე აისრულებდნენ,  
მეფის ასაკს და ნათესაობას ცოლი თუ ქმარი  
არაფრად სდევდნენ.

წლობით გაგრძელდა მათი ლოდინი,  
წლობით არ გვქონდა ჩვენ ტკბილი ძილი,  
და-ქმანი ვგრძნობდით უტყუარ ხიფათს,  
სიკვდილის სუფრა იყო გაშლილი,  
ბევრჯერ გაცუდდა მათი მცდელობა,  
ბოლოს ცოლ-ქმარმა ეს მოიგონეს,

ჩემ დებს შეუჩნდნენ, ჭკუა წაულეს,  
რაც ამათ სურდათ, იმათ იღონეს,  
ამიტომ ვამბობ მეფის სიკვდილში მედეა არის  
ცოდვის ჩამდენი,  
არავინ იცის ჯადოქარის სულს ცოდვა ამძიმებს  
კიდევ რამდენი.

## იაზონი

უცნაურია შენი მსჯელობა, არეული გაქვს გზა  
და მცდელობა,  
არ გშვენის თავის მოკატუნება, ფუჭი ფუსფუსი  
და გარჯილობა,  
აპა იფიქრე, მამა მოხუცი, მუდმივ მკვნესარი  
და დავრდომილი,  
ალარ იცოდა ჯანსალი ძილი, მის გამო წუხდა მონა  
და შვილი.  
რომ მომენდომა მისი სიკვდილი  
ანდა მედეას ჰქონოდა წვლილი,  
შვიდი წელია რად მოვითმენდით,  
რატომ გავჭიმეთ მისი მანძილი?  
უმჯობესია ჭკვას ჩაულრმადე, თუ არ გსურს გარეთ  
სულელი ჩანდე,  
რა გქონდა გულში ჩაფიქრებული  
და ალსრულება დებს რატომ ანდე.

## პპპსტე

დებს კი არ ვიცავ, სიმართლეს ვიცავ და რასაც ვამბობ,  
არის სიმართლე,  
თუ მოვიტყუო, აქვე დამსაჯეთ,  
გამომეცალოს თვალში სინათლე,  
ეს ასე იყო, დებმა მედეას შესჩივლეს,  
წუხდნენ მოხუცის გამო,  
თუ შეიძლება კაცი დაბერდეს  
და დაიბრუნოს წლები საამო?

მედეამ უთხრა, წლების სირბილში  
                  არ იკარგება ახალგაზრდობა,  
მთავარი არის იცოდე რა ქნა და არა სცადო  
                  ვითომ დანდობა,  
ხომ დაარიგა, გზები ასწავლა,  
                  შემდეგ უჩვენა მაგალითები,  
ცხვარი ბებერი, მღულარეს ჩასვა, არ დასწვომია, ისე,  
                  თითები,  
ცხვარი იხარშა და იმის ნაცვლად ქვაბში აღმოჩნდა  
                  თეთრი ბატყანი,  
მედეამ ფრთხილად ამოიყვანა,  
                  გაოცებული დავრჩით და-ძმანი.  
მერე აგვიხსნა, თუ მართლა გინდათ  
                  მოხუცი მამა გაახალგზრდაოთ,  
თქვენში უცოდველს მიანდეთ დანა, არც დაინანოთ  
                  და არც იდაოთ.  
როგორც მე ცხვარი ვაქციე ბატყანად,  
                  თქვენც შეგიძლიათ მოექცეთ მამას,  
მხოლოდ უცოდველს ეს შეუძლია,  
                  ცოდვილიანი ვერ შეძლებს ამას,  
ცოდვის მეტი რა ჩამიდენია, მიტომ ვერ შევძელ  
                  და გავერიდე,  
დანა ლესილი დებს დავულოცე, ასეთი ცოდვა  
                  ჩემ თავს ვერ ვიდე.  
წავედი ვითომ სანადიროდა,  
                  ფუჭად მხარჯველი უღონო დროთა,  
აქეთ და იქით ვეხეტებოდი არა სალხენად და საგმიროთა,  
როცა დაგბრუნდი, შედეგი ვნახე, დარღი მომედო  
                  და გავილახე,  
ფუჭი ფიქრების გზები დავლახე,  
                  მიგხვდი, მედეამ დაგვიგო მახე,  
კარგად განსაზღვრა, არა ცდებოდა, იცოდა ჩვენში  
                  რაც მოხდებოდა,  
როდის ყოფილა კაცი კვდებოდა  
                  და მერე ახლად იბადებოდა.

## ბაზობი

თუ ისე იყო, როგორც შენ ყვები,  
დამნაშავენი ყოფილან დები,  
ცოდვილს-უცოდველს როგორ გაარჩევ, თუ არა სცადე,  
როგორ მიხვდები,  
მედეამ რაც ქნა, რაც შენც იხილე,  
ცხვარი ბატკანად გადააქცია,  
მამაშენს ახლოს არ გაეკარა, არც წააქცია, არც გააქცია,  
რატომ ჩავთვალოთ ის დამნაშავედ,  
რაც არ უქნია იმ საქმის გამო,  
მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გინდა შენი ნათქვამი  
უნდა ვინამო?

## იაზონი

აქ დასამალი არაფერია, აკასტე ცრუობს, არ აერია,  
მან კარგად იცის ქალი თხოვდება, ვისაც მიჰყვება,  
იმის ფერია,  
მედეა მე მყავს, ნიშნავს რომ მე მგავს, როგორიცაა,  
მეც ისეთი ვარ,  
ის თუ მკვლელია, მეც ხომ მკვლელი ვარ,  
მის თვალში ეს ვარ, ასეთსა ვგავარ.  
ეს თუ ასეა, მაშინ როგორც მკვლელს სამეფო ტახტი  
ფეხქვეშ მეცლება,  
მაშინ აკასტე უნდა გამეფდეს, სიცრუის აზრი აქ იმალება,  
ამიტომ ვითხოვ სიცრუის მთქმელი, იმავ სიმართლით,  
როგორაც მკვლელი,  
დასჯილი იქნეს და განდევნილი,  
დევნილი იყოს სიცოცხლე მთელი,  
მაშინ მამის სისხლს აღარ მოვითხოვ  
და არც დედისას შევედავები,  
თუმც კარგად ვიცი, ბრალი მიუძღვის,  
მან ასვა სისხლი განაზავები<sup>1</sup>.

1. გადმოცემის თანახმად იაზონის მამას ძალით ასვეს ხარის სისხლი და ასე მოკლეს. დედა მეუღლის სიკვდილს გადაჰყვა.

## ზერეტი

ჩვენ ცალკე განვსჯით, რასაც დავადგენთ,  
გარშემო ყველას შევატყობინებთ,  
თქვენში მართალი გახდება მეფე, იმედნამხდარსაც  
არ ვაწყენინებთ,  
რადგან გახდება მომდევნო მეფე თუ პირველს  
რამე დაემართება.  
მაინც ძმები ხართ ბიძაშვილები, ერთ-მეორეს  
რას ემართლება,  
განა არ იყო ეზონი მეფე, დედით ძმამ  
როცა ტახტი წაჰტი წაჰტი წაჰტი  
და მაინც ძმებად დარჩენენ ბოლომდე,  
ჩვენში არავის უთქვამს სხვაგვარად.  
ასე მოქცევა კარგია წესი, წინაპართაგან არის ნათესი,  
თქვენც ასე უნდა გაიმეოროთ, ის თუ აბედობს,  
ესაა კვესი.<sup>1</sup>

/ბეოტია. ორქომენი. ღრმად მოხუცი ათამანტი მზეს  
ეფიცხება/

## პოაზანტი

ვინაც ამქეყყნად ბევრი ინდომა,  
დაიმსახურა ღმერთების წყრომა,  
ვინაც შეიძლო დაეცვა ზომა, მას დაუფასდა გარჯა  
და შრომა,  
ყველაზე მეტი შემხვდა სასჯელი,  
რადგან დღისითაც გარს მერტყა ბნელი,  
ვის ვუღალატე, ვის ვუერთგულე,  
ვის არ მივეცი საშველად ხელი.  
როცა ქალღმერთი შემრთეს ნეფელა,  
ასე მეგონა წვალება ყველა,

1. აბედი და კვესი – ცეცხლის ანთების ძველი ტრადიციული საშუალება.

ეოლას<sup>1</sup> ქროლას თან გავატანე, დავძლიე  
რაც კი ადრე მეძნელა,  
ჩემია ბრალი, დამევსო თვალი, ქალღმერთს ვარჩიე,  
მოკვდავი ქალი.  
მასთან გავწირე ჩემი შვილები, დავრჩი ეული  
და შესაბრალი,  
ინომ წამილო მახვილ-გონება, დავკარგე განსჯა  
და მოგონება.  
ქალის ხმას ავყევ, მას ჩავაბარე შვილები, ერი,  
მთელი ქონება,  
ინომ დაღუპა ფრიქსე და ჰელე,  
წმინდანებს ხვევდა ჭუჭყიან ხელებს,  
მეც ბრმად მივდევდი და არ ვფიქრობდი,  
ამყოლი სიმწრით რომ დაახველებს,  
შვილებთან ერთად ოქროს საწმისი, სხვა მეფეთაგან  
მე რომ მებარა,  
ინოს მზაკვრობას გადავაყოლე,  
თითქოს მსგავსები ირგვლივ ეყარა.  
მაშინაც, როცა ფრიქსეს წულები, დაკაცებულნი,  
აღკაზმულები,  
სამეფოს მოსდგნენ, სურდათ გაცნობა,  
გადამიშალეს ალალ-გულები.  
კვლავ ინოს რჩევით გავუშვი უკან,  
შეუძლებელის შეძლება ვთხოვე,  
ვიცოდი კოლხეთს ვერ მიაღწევდნენ,  
მაგრამ გულცივად გამოვეთხოვე  
ჩანს იყვნენ მართლაც ბევრის შემძლენი,  
რაც მე მინდოდა და ვერა ვქენი,  
მათ შეასრულეს, სხვას ვის უნახავს  
მსგავსი გმირობის ასე ჩამდენი.

1. ეოლა – ქარების ღმერთი (პერაზგიური მითოლოგია). ათაბანტი მის შვილად ითვლებოდა. მეფეს, გმირს, გამორჩეულ პიროვნებას მიწიერი მშობლების გარდა ღვთიური მშობლებიც „სჭირდებოდა“.

და როცა უკან დაბრუნდნენ ლხენით, ინოს კარნახით,  
ავბედით ენით,  
გაავებული მათი ბიძები, თავზე დაესხნენ  
სატევრის ქნევით,  
ფრიქსეს წულები,  
ბიძებისაგან მუხანათურად განწირულები,  
ქალაქის კართან დაეცნენ მიჯვრით,  
მოუშუშები დარჩათ წყლულები.  
და მხოლოდ შემდეგ თვალთ ამეხილა,  
ლმერთების ნებით დამიდგა დილა,  
ყველაფრისათვის ვიძიე შური,  
გზა გამკვალავი მყავდა სიბილა,  
სიმართლის ზომა გავიგე გვიან,  
ასეთ მიხვედრას სიბრიყვე ჰქვიან,  
ჩემებრ ქალების ამყოლთა ნლები  
უშინაარსოდ მიიმსხვრევიან,  
სამართლიანად მარქვეს სულელი,  
მე ჩემს მომავალს დავრიე ხელი,  
უმემკვიდრეოდ გადავეგები,  
სანამ მომწვდება სიკვდილის ცელი.

/შემოდის ათამანტის მსახური. შემოპყავს კიტისორე,  
მედეა შვილებით მერმერო და ფერეტა/

## მსახური

აქეთ მობრძანდით, ბატონს მოვძებნი  
და თქვენს ჩამოსვლას შევატყობინებ,  
სათუთი არის მოხუცის გული, არ ავალელვებ  
ისედაც ბევრი ტანჯვა გადახდა, სულით დაეცა  
და ხორცით გახდა,  
როცა სიმართლე ბოლოს გაიგო,  
როცა ლმერთების სურვილი ახდა.

## პიტისორი

ის, რაც აქ მოხდა ორქომენაში, ჩვენ იოლკოსში  
გვიან გავიგეთ,  
ძმები მომიკლეს, პაპა გაგიუდა, ტყუილ-მართალის  
ყორე ავიგეთ,  
შურისძიების მკლავდა წყურვილი,  
ბიძებმა დაკლეს ძმა და ძმის შვილი,  
ქალის მზაკვრობას გადაჰყვა ყველა,  
ქალისა იყო მთავარი წვლილი.

## მსახური

ჩემო ბატონო, ის, რაც აქ მოხდა,  
ცუდ სიზმარივით მოგვაგონდება,  
წლები რომ წავლენ და თაობები,  
მსგავსი ამბავი აღარ მოხდება.

## მედეა

კაცთა სურვილი არის უსაზღვრო,  
მისწრაფებების არე ულრანი,  
რამდენიც უნდა მოიგდონ ხელში, ვერ დადგებიან,  
უნდებათ სხვანი ,  
ერთი მხრივ კარგი არის ეს სწრაფვა,  
ადგილზე მდგარი უკვეა მკვდარი,  
მეორე მხრივ კი ბოროტებაა,  
თუ ვერ მიხვდება ზღვარი სად არის,  
მე კარგად ვიცი ყველა, რაც მოხდა, რითი დაიწყო  
და რა გამოხდა,  
ვის რა უნდოდა და რა მიიღო,  
პატივის ნაცვლად კვნესა აღმოხდა.  
ახლა მთავარი არის სხვა რამე,  
უნდა დასრულდეს გონების ლამე,  
ათამანტის იმის წამალს მივართმევ, რაც მოვიპოვე  
და შევახამე,  
აგერ თავადაც, აქვე ყოფილა, მეფევ მოხუცო,  
კაცო სვიანო,

მინდა ბალახთა ძალა შეგძინო,  
სიცოცხლის სიმი აგიხმიანო.  
შენ ისეც ბევრი გადაიტანე, გეყო,  
რაც ცოდვა შვილების ზიდე,  
მომიყვანია ბოლო ბადიში,  
გზა გაგინათოს კიდიდან-კიდე.

### ათავართი

შენ მე ვერა გცნობ, მაგრამ რადგანაც  
ჩემთან შეხვედრა მოგდომებია,  
წინასწარ გეტყვი, ის, რაც შენ გინდა,  
შენი აზრების თანამხლებია,  
მე ვის ვჭირდები, წავიდა ის დრო, როცა ვიყავ  
და როცა ვმეფობდი,  
ჯანი მომდევდა, ჭკუა მიჭრიდა,  
გარშემო ტოლად ვერავის ვგრძნობდი.  
გავიდა ხანი, დღეს ჩემი ჯანი,  
სიცოცხლის დენით გალახულია,  
რაც თავს გადამხდა, ბედის დაცინვა არც მოსმენილი,  
არ ნახულია,  
თითქოს მეცე ვარ, მაგრამ ვერ ვმეფობ,  
წინ სავალი გზა თავად მოვჭერი,  
ალარ მყავს წული და იმის წული,  
დარჩენილი ვარ ვიღაც ოხერი,  
მე რომ მოვკვდები, ორქომენაში დასადგურდება  
ზიზლი და შიში.  
აქ არ იქნება ათამანტის ძე, დასამარდება  
ძირძველი ჯიში,  
შენ მე რა უნდა მითხრა ახალი, ძალა შემმატო,  
მომცე იმედი,  
ლალატი იყოჩემიცხოვრება, უაზრო დამრჩა გადასახედი.

### გელეა

ეს მართალია, ბევრი გადაგხდა, ტანჯვა-ვაება გადაიტანე,  
საკვირველია, რა ცოდვა ზიდე, რას გაუძელი და აიტანე.

თუ რამე გქონდა ცხოვრების ვალი, გაიღე,  
დარჩი გულით საწყალი,  
მაგრამ ადრეა ხელის ჩაქნევა, ჩეროში ჯდომა,  
შორით თვალთვალი.

### ათამანტი

რისი გულისთვის დავრჩე ცოცხალი,  
ან ვისი კიდევ მქონდეს იმედი,  
ვაჟები არ მყავს, მათი წულები, ოქროს საწმისის  
არ ვიცი ბედი,  
წლების წინ იყო, რომ მომახარეს,  
დაბრუნებულან შენი გმირები,  
კოლხიდის მხარე დაულახიათ,  
მოაქვთ საწმისი შესანირები.  
წლები გავიდა შედეგი არ ჩანს,  
გერ მოვიშორე ცოდვა ულევი,  
არ დამიფასდა ნამსახურევი, არ დამიამდა  
გულს ნაწყლულევი.

### გედება

აქ უკვე ცდები, აბა, დაფიქრდი სამეფოს ბედი  
ხომ გაბარია,  
უნდა დალაგდეს, უნდა დაწყნარდეს,  
ინოს მზაკვრობამ რაიც არია.  
და ამას გარდა დაგრჩა ბადიში, ჭკვას მოეგები,  
ის გიპატრონებს,  
ხელმძღვანელობა უნდა სამეფოს, შინა  
და გარეთ, გლეხებს თუ მონებს.

### ათამანტი

მე ასე ვიცი, ფრიქსეს ვაჟები, ყველა ჩემ ვაჟებს დაუხოცია,  
თუკი გადარჩა ერთი მათგანიც,  
მისთვის მეფობა დამილოცია.

### კიტისორი

ვისმენ საუბარს, ფიქრით სხვაგან ვარ, სულით შეძრული  
გულშილა ვტირი,

არგო, ფრონტისი, მათთან მელასი,  
 ერთად დავკარგე სამივე გმირი,  
 ნუთუ იმისთვის ილტვოდა მამა,  
     მიტომ გვაწოვა ძუძუ დედამა,  
 არ მოუტანოს მშობელს სიამე,  
     ქვეყნად პატარას დაბადებამა.  
 მამა აღარ მყავს, დედა სად არის,  
     მშობელმა ერთიც ვერ დაიტირა,  
 სად დაიბადნენ, საით ვიდოდნენ, რას ნატრულობდნენ,  
     ვინ შეინირა,  
 რა მუხთალია წუთისოფელი, ახალი ტანჯვა,  
     გახდება ძველი,  
 ძველს ახალი ცვლის, მხოლოდ ცვლილება ქვეყნად  
     დარჩება მარად უცვლელი.

## პთაგანტი

შენ ამბობ ჩემზე, ღმერთებისაგან, ყველა ცოდვისთვის  
     მე ვარ დასჯილი,  
 ჰერა, ათენა შემომწყრომიან, რაც მოხდა  
     მათგან მაქვს მე მისჯილი,  
 გრძელი გზა განვლე, თუმც ითქმის მოკლედ,  
     თანამომეებს ვეხმარებოდი,  
 მეფე აიეტ ჩვენ ვაიძულეთ სიმონიდე  
     და ომფალოს ლოდი,<sup>1</sup>  
 სხვისთვის დაეთმო, კოლხიდისაკენ  
     მოდგმასთან ერთად გზა გაეკვალა.  
 უმაღლურობა გამოვიჩინე, მონანიება თავს მაწევს ვალიდ,  
 ჩანს სამართალი არ დაკარგულა,  
     რადგან ღმერთებმა ასე განსაჯეს,  
 ოქროს საწმისი აიეტს დარჩა, ის გაამართლეს  
     და მე დამსაჯეს

---

1. ომფალოს ქვა (ლოდი) – დელფოს სამისნოში იყო ეს ლოდი. იგი ითვლებოდა მსოფლიოს ცენტრად, რადგან ზევსის ბრძანებით, ქვეყნიერების კიდისაკენ გაფრენილი არწივები აქ შეხვდენენ. დელფოს სამისნო კორინთოს სამეფოში იყო.

და ამას გარდა ჩემი მემკვიდრე,  
ფრიქსე მის კარზე გამოიზარდა,  
მტერის ასული შეირთო ცოლად, მას მიეკედლა,  
ვინც არ მიყვარდა,  
ფრიქსეს ვაჟები, ჩემთვის ბადიშნი,  
აიეტისთვის არის იგივე.  
მან გამოზარდა, დაავაჟეცა,  
მე კი ნაყოფიც ვერ მოვიწიე,  
თუ დარჩა მათგან თუნდაც ერთ-ერთი,  
მისთვის მეფობა დამილოცია,  
მის წილად იყოს ყველა სიკეთე, რაც მინატრია  
და მილოცია,  
მაგრამ პირობას ხომ ვერ გადავალ, ზვარაკი ვწირე,  
ღმერთებს შევჭიცე,  
ვინც ოქროს საწმისს მე დამიბრუნებს,  
მისი მეფობა იქნება მტკიცე.

## მედეა

ჩვენ ყველამ ვიცით შენ გადევს ცოდვა, საუნჯე ვიცით,  
რომ შენ დაკარგე,  
ინოს ხრიკებმა სამეფო დასცა,  
მამა-მფარველად ველარ ივარგე,  
დღემდე ტრიალებს ღმერთების რისხვა,  
გზას ვერ იგნებენ მკვდართა სულები,  
მამა-პაპანი გსაყვედურობენ, თანატომელნი იქ წასულები,  
შენი ვალია განძი იპოვო, შესანირავ ვერძს გადააფინო,  
ზვარაკი სწირო, გული მოულბო,  
ოლიმპოს მკვიდრებს არ აწყენინო,  
ის, რაც გებარა, ის, რაც დაკარგე,  
ფრიქსემ შეიძლო გადაარჩინა,  
ვერძი შესწირა, ოქროს საწმისი არესის ველზე გამოაჩინა,  
კოლხეთის მეფე აიეტს უძღვნა,  
აიეტი ხომ ერთ დროს მას ფლობდა,

როცა კორინთო  
მას ეკუთვნოდა,  
დელფოს სამისნოს მამულად ცნობდა.  
მას ისეთივე ჰქონდა უფლება საწმისის ფლობის,  
როგორიც სხვასა,  
პოდა, კოლხეთში განძი დიადი,  
აიეტის მტრებს სცემდა რისხვასა,  
მაგრამ როდესაც ფრიქსეს წულები,  
მამაჩრიმისგან გამოზრდილები,  
უკან მობრუნდნენ, საწმისი სთხოვეს,  
არგონავტები მათთან ფრთხილები,  
განწირულები იყვნენ მამისგან,  
მე რომ ღალატი არ ჩამედინა,  
ოქროს საწმისი არ მომეტაცა, თავი მის მცველად  
არ დამედგინა,  
ახლა საწმისი აქ არის ჩვენთან,  
ასე ალსრულდა შენი პირობა,  
კიტისორეა დღეს მისი მცველი  
და დაბრუნება მისი გმირობა,  
თუ არ გადახვალ შენს მეფურ სიტყვას,  
დისწულს დაუთმობ ქვეყნად მეფობას,  
საწმისს ვუტოვებ, მცველად ვაყენებ  
და ვაიძულებ დროებით ფლობას.

## პთამანტი

ოქროს საწმისი ჩემ ბადიშს რჩება,  
ლმერთების ნება ამაში ჩნდება,  
რაც იყო ჩვენში გაუტანლობა, შური  
და მტრობა ამით მთავრდება,  
მე მოხუცი ვარ და დავრდომილი,  
სხვა მე არა მყავს მემკვიდრე, წული,  
თუ კიტისორე აქ გამეფდება,  
მეც ხომ ვიქნები მისგან დაცული.  
ქალო, გრძნეულო და ჯადოქარო,  
არ მიკითხია შენ ვინა ხარო,

ვგრძნობ აიეტის ასულსა ვხედავ,  
მტრობის დაძლევით მინდა ვიხარო,  
შენ მომირჩინე ტანჯული სული,  
თუ ჯადოქრობით ტანს მიმიხედავ,  
მტრობას მოყვრობით შევცვლი უმაღვე,  
რასაც შევიძლებ, რასაც შევბედავ.

### პიტისორი

ტკბილო დეიდა, პატარებს, მახსოვს,  
გვინევდი დედის მაგივრობასა,  
რომ არა შენი სიბრძნე და გარჯა,  
ვეღირსებოდი მე მეფობასა?  
ყველა ხიფათი შენ ამარიდე,  
ჩემი დარჩენა არგოს მოსთხოვე,  
სიკვდილს მარიდე, გზა გამიხსენი იოლკოს  
როცა შენთან დამტოვე,  
დღესაც, რაც მოხდა, რაც მე ვისმინე,  
გადმოსულია ჩემზე წყალობა,  
ქალღმერთის ნიჭი მოგმადლა დედამ<sup>1</sup>,  
უნდა ვილოცო შენი ქალობა.  
ორქომენაში თუ მე ვიმეფებ,  
ხომ ალსრულდება მამის ანდერძი,  
ფუჭად მამაჩემს არ უწვალია,  
არ შეუწირავს სამეფო ვერძი,  
ოქროს საწმისი შენა გაქვს ახლა  
და თუ მე გავხდი მისი მფლობელი,  
უნდა ვილოცო დეიდას მადლი,  
ტკბილად ვუხსენო ორივ მშობელი.  
მე ჯერ ხანობით რა შემიძლია, გთხოვ  
ჩემთან დარჩე შენი შვილებით,  
დეიდაშვილებს რომ ძმად დავუდგე,  
დავიცვა თავგზა აბნეულები,  
მე კი ვიმეფებ, მაგრამ უფრორე,  
შენი იქნება ქვეყნად მეფობა,

1. მედეას დედად მითოლოგია ქალღმერთ ჰეკატეს მიიჩნევს.

ცოდნით და აზრით ვინც არის მეტი,  
მას დამშვენდება ხელმძღვანელობა.

## ათამანტი

მეც კიტისორეს აზრს ვუერთდები, ჩვენთან დარჩი  
და გადაგვარჩინე,  
რაც ზღაპარივით ვიცოდი შენზე, გვიმკურნალე  
და გამოაჩინე,  
თორემ ამბობენ მედეას ცოდნა,  
მედეას ხერხი მკვდარსაც აცოცხლებს,  
მკვდრებს აღარ ვჩივი, აქ გვაქვს საწმისი,  
გაჭირვებულებს მოგვხედე ცოცხლებს.

## მედეა

დისწულო, მოდი წინ წავინიოთ  
და საქმე ასე დავაგვირგვინოთ,  
წყლისგან წაღებულს ნუ ვემსგავსებით  
და წყალგარეულს ნუ ვიტყვით ღვინოდ.  
შენ კარგად მიცნობ, არა მჩვევია ფუჭი მოთქმა  
და უკან დახევა,  
სუსტს ნუ შეებმი, იქით დაუთმე,  
ვაჟკაცობაა ძლიერის ძლევა,  
შენ ძლიერს სძლიერის სელით, არა ჩივილით,  
მოჩლიქურ ენით,  
დღეს ოქრომენში გვირგვინს დაიდგავ,  
მომავალს უნდა უყურო ლხენით.  
ჩემი საქმე კი სხვა რამ გვარია, მან დააწყნაროს,  
ვინაც არია,  
მე ვარ დამწყები, ჩემი ვალია, დავაგვირგვინო,  
რაც მთავარია,  
ჩემთვის მთავარი არის კორინთო, გზაზე დამდგარმა  
რატომ ჩავყვინთო,  
უნდა მოვნახო მისკენ სავალი,  
მიზნის მიღწევის ცეცხლი ავინთო.

**შენ ყველა იცი, დღეს იაზონი**

ოოლკოსელთა მეფედ ითვლება,  
მაგრამ ვერ მეფობს, რადგან საქმეში,

ნაფოტებივით წვრილად ითლება.

სამეფოს უნდა მამა-პატრონი, არა მოლხინე და მონადირე,  
სხვის თვალში ვარდნილ წამნამს ხედავდე

და საკუთარში ვერ ნახო დირე?

ახლა კორინთოს არის წასული,

მეფე კრეონტის არის სტუმარი,

დროსტარებისთვის დაბადებული, არის მოლხინე  
და მოხუმარი.

თან მეფიცება იყავ იოლკოსს, ხარ ჩემი ცოლი  
და დედოფალი,

მოფიცარ კაცის არ დაიჯერო,

ამ დროს სხვისაკენ უჭირავს თვალი,

ცუდი ამბავი რამ მოხვდა სმენას,

თუმცა არ ავდევ ავყია ენას,

კრეონტის ასულ კრეუსას ჰყვარობს

და ჩემ საწოლში ცდილობს ჩაწვენას.

მე ბევრი რამე გადავიტანე, ბევრი ვითმინე და ავიტანე,  
მიზნის გულისთვის არვინ დავინდე,

მამის ღალატიც არ დავახანე,

თვითონ იაზონს ტახტს ვინ უთმობდა,

მეფობის ღირსად ბევრი არ სცნობდა,

როგორ ჩავუგდე ხელში მეფობა, ხომ ჭკვიანია,

ნებიერანი არ მგონებია.

თვითონ იაზონს ტახტს ვინ უთმობდა,

მეფობის ღირსად ბევრი არ სცნობდა,

როგორ ჩავუგდე ხელში მეფობა, ხომ ჭკვიანია,

მაინც ვერ გრძნობდა,

ჩვენი პირობა იყო ასეთი: როცა იოლკოსს გამეფდებოდა,

ფესვს გაიდგამდა, ხელებს გაშლიდა,

მყარად ფეხებზე რომ დადგებოდა,

შემოიკრებდა ვაჟკაცთა წყებას,

როგორც შეკრიბა არგონავტები,

კორინთოს კრეონტს მივუხტებოდით,  
გინაც არა მცნობს და ვეხატები.  
ამან კი რა ქნა, კრეონტს ესტუმრა, დაუახლოვდა,  
მისი ასული უნდა შეირთოს, ამბავი მომდის  
და ასე მჯერა,  
უნდა გავიგო დანამდვილებით,  
მიტომ მოვდივარ ჩემი შვილებით,  
როცა გავარკვევ და გადავნეტავ,  
ამოვისუნთქებ ეული შვებით.  
თქვენთან დავრჩები ცოტა რამ ხანი,  
გამოვუსწორო ათამანტს ჭანი,  
შემდეგ მოვძებნო კორინთოს გზები,  
შევძლო აღმასვლა და მიმოტანი,  
თქვენთან დავტოვებ უმცროსს ფერეტას,  
თქვენგან იქნება აქ დაფარული,  
მერმერო მიმყავს, ჩემთვის თუ არა,  
მისთვის აღსრულდეს აზრი ფარული.

/კორინთო. მეფე კრეონტის სასახლეში საქორწილო  
ზეიმია/

## პრეონტი

მიბრძანებია, სრულად აღსრულდეს,  
რაც საქორწინო გვქონდა პირობა,  
ისე, მომავალს არ დაეზაროს, დამახსოვრება  
და სხვისთვის თხრობა,  
ხუთი დღე არის უკვე ვნადიმობთ  
და დიონისეს ვეთაყვანებით,  
ქალი თუ კაცი, მოხუცი,  
ბალლი მას ემონება საკუთარ ნებით.  
კიდევ ამდენ ხანს იყოს ზეიმი, ასე მინდა და მიბრძანებია,  
ისე დიადი, სხვას არ ენახოს  
და მხოლოდ ზღაპრად ნახსენებია,

ჩემი ასული, კოცნით ნაზარდი,  
ვისიც არ ვიცი მსგავსი და ტოლი,  
ქორწილს გადიხდის უმაგალითოს  
და იაზონის გახდება ცოლი.  
მე სხვა მემკვიდრე არ მაპადია, ჩემი სიბერის არის იმედი,  
ქმარიც იპოვა გამორჩეული, ჩანს რომ საერთო პქონიათ ბედი,  
აქ, დარბაზშია ყველა არხონტი,<sup>1</sup>  
ვის სიტყვას ქვეყნად დაეჯერება,  
ვის ეწიფება სიბრძნით მსჯელობა,  
სიცრუეს არვინ მიეფერება.  
მე მათ მივმართავ, პირუთვნელ პასუხს  
მოუთმენელად დაველოდები,  
კენჭები ჰყარონ, ჰო-ა თუ არა, როგორც წესია,  
დავთვალოთ ხმები,  
გადასაწყვეტი ერთი მაქვს საქმე  
და გადადება აღარ იქნება,  
განსაჯეთ, თანაც დაიმახსოვრეთ,  
დღეს ასეთია მეფური წება.

## პრეუსა – პრეონტის ასული

ძვირფასო მამა, შენი მეფობით,  
კორინთო არის გაბრწყინებული,  
ბედნიერია ვინაც შეგყურებს,  
მადლიერებით უთბებათ გული,  
ჩემთვის ყოველთვის იყო საამო  
დიდებულ მეფის ქალიშვილობა,  
არა მჩვევია პირში ლაქუცი, ზურგის შექცევა  
და გულგრილობა.

1. არხონტების – უხუცესთა და ბრძნენთა საბჭოს ინსტიტუტი ფართედ იყო გამოყენებული ყველა სახელმწიფოში. კენჭისყრა ჭურჭელში თეთრი ან შავი კენჭების ჩაყრით მიმდინარეობდა და რომელი ფერისაც დააჭარბებდა, გადაწყვეტილებაც შესაბამისი იყო. საქართველოში არხონტის სახელწოდებაც ამ ტერმინთან უნდა იყოს დაკავშირებული. ისევე, როგორც ათენასთან ათენა-გენობა (ათენგენობა).

ჩაგეჭრები და ამიტომ ვიტყვი,  
თუმც აჩქარება სულ არ გჩვევია,  
დღეს ხარ შეცვლილი, სხვაგვარად მსჯელობ,  
მართლა სიბერე ხომ არ გწვევია?  
სხვა დროისათვის გადადე საქმე,  
ვიცი რაც გინდა რომ არ გადადო,  
არ მინდა ჩემი სიყვარულისთვის,  
მომავლის ბედი სასწორზე დადო.

### პრემნეტი

ჩემო ძვირფასო, მე მიფრთხილდები, მესმის, მიყვარხარ,  
ვარ მადლობელი,  
წინა კაცია უკანას ხიდი და შვილისათვის არის მშობელი,  
მე გამივლია ცხოვრების კვალი,  
წინ არაფერზე დამრჩება თვალი,  
მინდა ჩემ ტახტზე გნახო დამჯდარი,  
შორიდან ვიწყო შენი თვალთვალი.  
მეფობის ტვირთი თუ მოვიშორე,  
შმაგი მორევი გავხდები მდორე,  
ვიტყვი მშობელთან თუ დავაკელი,  
შვილთან შეცდომა გამოვასწორე.

### არხონეტი

აქა ვართ ყველა, ვისაც ეკუთვნის  
მეფეს სამეფო რამ მისცეს რჩევა.  
შენ გვითხარ რაზე უნდა ვიმსჯელოთ,  
არ გადავაგდოთ ძირძველი ჩვევა,  
დღეს შვილს ათხოვებ და ქორწილს იხდი,  
საზეიმოა განწყობილება,  
განა, რა საქმე არის ისეთი,  
ქეითის მოშლად რომ ელირება?

### პრემნეტი

თქვენში ზოგია ჩემზე უხნესი  
და რაც მომხდარა, ემახსოვრება,

ჩვენ ერთი აზრით ვართ შეცრულები  
და ერთად გავლეთ მთელი ცხოვრება,  
ერთად ვიბრძოლეთ და აიეტი  
ერთიან ძალით აქედან ვდევნეთ.  
გავიდა ხანი, დაბერდა ჯანი, დაგვამახსოვრდა სად  
და ვის ვევნეთ?  
ვფიქრობ, არ იყოს რაღაც ნიშანი, რაც არ ვიცი  
და ამოვიცანი,  
გამიკვირდება, ფიქრი წამიღებს, რასაც ველოდი,  
ამაში ვცანი.

## პრემიუმი

თუმცა ხარ მეფე, მეფე ხნიერი, ქვეყნად მყოფელი,  
სვებედნიერი,  
კმაყოფილი გაქვს ქვეყნად იერი, დრო მოგაკითხავს,  
რჩები მშიერი,  
შენისთანები უნახავს აწყმოს, ბევრიც იკვლიოს,  
ვერვინ დააწყოს,  
რამდენიც უნდა ეცადო ქვეყნით,  
გაახსენდები უკულმა აწყმოს.  
მე ამას ვამბობ არა იმიტომ,  
რომ შევადაროთ აწყმოს წარსული,  
ჩვენ ყველამ ვუწყით სად სიკეთეა,  
სად გვპატრონობდა ქვეყნად ავსული,  
დღეს შენ ხარ მეფე, შენით იწყება, შენით მთავრდება,  
ჩვენში სიკეთე,  
შესძელი ისე, ჭირ-ვარამს სძლიე  
და სიღუბჭირე გამოაკეთე,  
დღეს სულ სხვა დღეა, ჩვენში ვინც მხნეა,  
შენგან მოითხოვს კაცურ-კაცობას.  
ჩვენ არ გვჭირდება შიგნით ღალატი,  
არც სხვის ღალატის ვაპირებთ ცნობას,  
შენ მეფე ჩვენი, სიკეთის მჩენი,  
ჩვენგან მოითხოვ აზრის თანხმობას,

თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს,  
მდიდარი ღარიბს რად უწყებს ძმობას?  
არ ხარ უჭკუო, არც ჩვენ გვაკლია ქვეყნად ცოდნა  
და გამოცდილება,  
შენ რომ შენს ითვლი, ჩვენიც იკითხე,  
შენ რამდენ ნაბიჯს ახლდა მხილება,  
და ამის შემდეგ, ეძებდე შედეგს,  
ვინ არის აზრის მეფე თუ მონა,  
ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ვინ რამე იცის,  
ან მოიგონა.  
შენა ხარ მეფე დიდების მშხეფე,  
მაგრამ მაინც ხარ ქვეყნის სტუმარი,  
შენ შენი იცი, ჩვენც ვიცით შენი  
და შეგვიძლია ჩამოვკრათ ზარი,  
ამიტომ ვიდრე კენჭებს ჩავყრიდეთ,  
რომ სიმართლის გზას არ გადავიდეთ,  
გვითხარ რა არის აქ კენჭსაყრელი, არხონტა რიდე,  
ჩვენ რატომ ვზიდეთ.

## პრემნეტი

ჩემი საფიქრი, ჭმუნვა და დარდი,  
არ არის ყმაწვილ კაცის ნავარდი,  
დავბერებულვარ და აღარ მინდა სად ეკალია,  
მეგონოს ვარდი.  
აქ ყველამ იცის, რომ იაზონი,  
რომლის არ იცის სოფელმა წონი,  
არის ნაბრძოლი ისეთ მხარეში,  
რომ გეგონებათ გამონაგონი,  
პრომეთეს კვალი თუ სადმე არის,  
თუ გზა იქითკენ გაკვალულია,  
დევკალიონმა რაც დაგვიბარა  
და ის რაც დღემდე დამალულია.  
იაზონისგან არის ნანახი, იაზონია მათი მხილველი

ოქროს საწმისიც მან დააბრუნა, მოავლო მზერა,  
შეახო ხელი,  
ასეთი გმირის ჩემთან სტუმრობა, ამბის მოყოლა,  
სიმართლის თხრობა,  
კორინთელების მოძმეთა ხმობა, ღმერთთა ფიცილი,  
მათი მოხმობა,  
არის რაღაცა არგაგონილი,  
დიდ საქმეებშიც დიდად ჩენილი,  
ვინც ეს არ იცის და არ აფასებს ჩვენ შორის  
არის ჩამორჩენილი.  
გმირი, რომელმაც ეს აასრულა,  
ოქროს საწმისი ჩვენ დაგვიბრუნა,  
სანაქებოა, მე მეფედ მიღირს  
და არც მინახავს ვინც დაინუნა,  
დღეს, როცა იგი სიძეა ჩემი, გმირი, გმირებში გამოსაჩენი  
მინდა, რომ მეფედ მიიღოს ყველამ,  
ყველამ მიაგოს მეფური ძლვენი.  
მე გადავდექი, დღეიდან იქით, მას ეთქმის სიტყვა,  
ყოფა შვენოდეს,  
მინდა, რაც მსურდა კრეუსასათვის,  
კრეუსას ხაზით მას ახდენოდეს.

### პრემიუმი

ჩვენ, არხონტებმა ადრეც ვიცოდით, ადრეც ვიმსჯელეთ  
და აზრი ვცვალეთ,  
კარგს კარგი ვარქვით, ავი დავზრახეთ,  
მართალი ტყუილს არ ვანაცვალეთ,  
ჩვენი აზრია, მგონი არ ვცდებით, რაც შენ გვითხარი,  
ჩვენ მას მზად ვხვდებით,  
არა გვჭირდება კენჭების ჩაყრა, რასაც შენ ამბობ,  
იმ აზრზე ვდგებით.  
იაზონსა ვცნობთ კორინთოს მეფედ,  
ნინ მიგვიძლოდეს დღეიდან იქით,  
კორინთელებმა მხრები გავწიოთ მოყვარეობით,  
მუშტით და ჯიქით,

მაგრამ ერთია, თუ კი დღეიდან მისია დელფო  
და სიმონიდე,  
მანაც აგვისნას, რატომ გვეძმობა ან მისი ძმობა  
თავს რატომ იდე,  
ქალს თუ ათხოვებ, იაზონს მიჰყავს,  
იოლკოსშია მისი მამული,  
ჩვენ რას მოვიგებთ ცოლი ქმრისაა,  
ასეა წესი ოდითგან თქმული.

## 01ზონი

თუ ვინმე ფიქრობს, მინდა მეფობა,  
კრეუსას მიტომ ვთხოვე ცოლობა,  
ცდება, რადგანაც არა მჩვევია,  
ტყუილ-მართალის მონაცვლეობა,  
ჯერ კიდევ როდის, არგონავტებით,  
ვიდრე კოლხიდის გზას გავკვალავდი,  
კრეუსა იყო ჩემი რჩეული,  
მასზე ოცნებით დავდნი, გავთავდი.  
და როგორც იქნა, მეფე კრეონტმა, თანხმობა მითხრა,  
შედგა პირობა,  
ქალი რომ მომცა, განძს არ შემპირდა,  
გამოიჩინა სიტყვაძვირობა.  
პირველად ვისმენ, ტახტს სიძეს უთმობს,  
ესეც არაა გასაკვირველი,  
მისი მემკვიდრე ქალიშვილია,  
მეფობის ღირსიც არის პირველი,  
მე როგორც ქმარი და როგორც სიძე,  
ტახტის მემკვიდრედ ასე ვუნდივარ,  
ასეთ პირობით ვარ მეც თანახმა,  
არხონტთა თვალშიც თუ ასე ვღირვარ.

## პრეზესა

ეს სამსჯავროა, არ მინდა ვიყო ამ განსჯის წევრი  
და მონაწილე,

მიტომ დაგტოვებთ, რაც არ მინდოდა,  
მისი განხილვა ვერ ავიცილე,  
უმჯობესია ვნახავ საჩუქრებს,  
სასიამოვნო მექნება გრძნობა,  
მინდა უჩემოდ რომ გადაწყვიტოთ,  
ქმრის უფლებების ვის არ სურს ცნობა.

/კრეუსა დარბაზიდან გადის/

### პრემიუმი

მეფის ასული, დედოფლად მჯდომი, მოყვარული  
და სიკეთის მდომი,  
რატომ დავტოვოთ სურვილს უკლავი,  
სხვა კორინთელებს ვინ გვყავს სანდომი,  
ამიტომ ვიტყვი, ჩემი აზრია,  
მაგრამ ყველასთან შეთანხმებული,  
ღმერთების ნებამ თუ გვიკარნახა,  
ასეთი გრძნობით აენთო გული.  
ვუთხრათ თანხმობა, კრეუსას ქმარი, მეფედ გვილირს  
და დაგვილოცია,  
სამაგალითოდ ჩავიდეთ დელფოსს, სად საწირავი  
და სალოცია,  
კრეონტს მივმართავ არხონტთა აზრით,  
რაც ჩვენთვის დღემდე წლობით იყავი.  
დღეს დაულოცე ადგილი სიძეს,  
სამეფო დათმე, არ გაუყავი,  
ამიერიდან იაზონია კორინთოს მეფე, მისი ბატონი,  
კრეონტისაგან არის ნათქვამი, არა ატასაგან გამონაგონი,  
ჩვენც ფიცს ვიძლევით, იაზონსა ვცნობთ,  
მეფედ ვლებულობთ, სიამაყეს ვგრძნობთ,  
რაც ადრე იყო სასიქადულო იმით ვლალდებით,  
უარყოფითს ვგმობთ,  
არხონტთა ფიცი ისეა მტკიცე, როგორც გვესიძე  
და დაიფიცე

ჩვენც ისევე ვართ შენი ერთგული, როგორც შეგვპირდი  
და თავს დაიცე.

### პრემნები

ახლა დამტკიცდა, რაც გულით მსურდა, რაც მეგადამხდა,  
ახლა დაბრუნდა,  
ღმერთებს შევწირავ მადლიერებით,  
ბოლო სათქმელი დავურთო უნდა,  
გულში ტრიალებს ყველა რაც იყო,  
ჩემი ცხოვრება რისით გაიყო,  
ეჭვები მღრღნიდა მთელი ცხოვრება  
და ამის გამო არ გავირიყო.  
ჩემზე უფროსებს ხანით და ჯანით,  
ახსოვთ აიეტს როგორ ვუყელე,  
შევკრიბე ყველა მისი მეტოქე,  
კარზე მივუხტი და გავახელე,  
ის მე განვდევნე და ვაძძულე,  
რაც მისი იყო ჩემთვის მოეცა,  
რასაც თქვენ ხედავთ, რაც სამეფოა, ზღვა, მთა და ველი,  
ცისფერი ზეცა,  
ასე მეგონა, ღმერთების ნებით,  
ის სამუდამოდ ჩემი ხდებოდა,  
არა ვფიქრობდი დრონი მეფობენ  
და ხანი როცა გამოხდებოდა,  
მეც მომიწევდა ნებით დათმობა,  
რაც სხვას სხვის ძალით დავათმობინე.  
უკვდავი არ ვარ, ჯანი დაბერდა,  
სურვილი მაინც ვერ ავიხდინე,  
ახლა დაგტოვებთ, ვნახავ კრეუსას,  
მისი სიტურფით მინდა ვიხარო,  
სანამ მაქვს სული, მისთვის ვიცოცხლო, არ დავძაბუნდე  
და მოვიხარო,  
შვილო იაზონ, შენ დაგჭირდება,  
შემოიკრიბო ბრძენთა კრებული,

მამულს მიხედო, ყველას მიუზღა,  
არავინ დარჩეს მიტოვებული.

/კრეონტი გადის/

## 01ზონი

ყველა აქაა ვისაც კრეონტის აქვს შიში, რიდი,  
პატივისცემა,  
ის, რაც თაობებს მოაქვთ ჩვენამდე,  
ჩვენგან მომავალს გადაეცემა,  
თქვენ ალიარეთ ჩემი უფლება,  
რასაც განსაზღვრავს კრეონტის წება,  
მე თქვენ უფლებებს ვცნობ და დავიცავ,  
ვერ გადასძალავს ბოლმა და ვნება.  
თუ შევთანხმდებით და დავითიცებთ,  
დელფის შევწიროთ შესანირავი,  
ლმერთებს შევთხოვოთ მოგცეს მშვიდობა,  
მშვიდობიან ერს აშოროს ავი,  
არხონტთა თავი, ბრძენებშიც ბრძენი,  
სამეფო საბჭოს წინ მიუძლოდეს,  
იშრომოს ქვეყნის სადარაჯოზე,  
საკუთარ კარზე რაც უნდა მოხდეს.  
აქ მომავალმა მეფობა დავთმე, აკასტე დავსვი  
და დავავალე,  
ის, რაც მამების იყო სიავე, არ გაიხსენონ შვილებმა ხვალე,  
აქაც იგივეს გავიმეორებ, აიეტის და კრეონტის ომი,  
იყო წარსული და დავივიწყოთ,  
ნულარ ვიქწებით სიავის მდომი,  
საერთო ძალით ვმართოთ კორინთო,  
საერთო წებით დავხნათ და ვთესოთ,  
თქვენი ტკივილი ტკივილად მაჩნდეს,  
ჩემი წუხილი გულზე დაგესოთ.

/შემოდის ჰეროფილე/

## პეროვილი

უბედურებო, კორინთელებო, ახლა დრო დადგა,  
მომკათ ნათესი,  
ლმერთებმა დათქვეს: კბილი კბილის წილ,  
თვალი თვალის წილ, ასეა წესი,  
გინდათ შეცვალოთ ლვთით დადგენილი,  
თვითეულს მასში მიგიძლვით წვლილი.  
თუ ანგარიშობთ რა რასა ნიშნავს, რაა აშლილი  
და რა წაშლილი,  
დელფოში ვიყავ, ძმას ვეც თაყვანი,  
ვინც დაგირწიათ გრძნობის აკვანი,  
აპოლონ ვერცხლის ისრის მსროლელი,  
რომელს ლმერთებშიც არა ჰყავს მგვანი,  
ის ძმაა ჩემი, მისანთა ლმერთი, ის მე მკარნახობს,  
რასაც მე ვყვები.  
უკვდავთა ორთქლმა თავბრუ დამხვია  
და საოცარი ჩამესმა ხმები,  
კორინთოშია დაბუდებული, რამაც იქნება,  
მოგიკლათ გული  
მოსული არის უცხო-ნაცნობი,  
სულ სხვა გრძნობა აქვს დაგუბებული,  
ძმამ დამავალა, აქეთ ვიდოდე,  
ყველა აგიხსნათ, რაიც ვიცოდე  
ახლა ვუყურებ დრონს გადავყევი, სადაც ვიყენე,  
იქავე ვცოდე-  
სანამ გეტყოდეთ ძმამ რა მიბრძანა, მე რა ვიღონე,  
თან ხანდახანა,  
უნდა ვიცოდე, რაც არის ჩემში, მართლა იყო  
თუ რამ დამეზმანა,  
ძმამ აპოლონმა, ვერცხლის მოისრემ,  
რომლის არ იცით ამქვეყნად მსგავსი,  
მე დამავალა კორინთოს მხარეს,  
რომ არ დაედოს ჭვარტლი და ხავსი,  
ჩამოვიდე და ვუთხრა სიმართლე,  
თქვენ არხონტებო თვალთ აგიხილოთ,

როგორ მოიქცეთ, სად რა იღონოთ,  
რომ მომავალი ქვეყნად იხილოთ,  
უბედურებო, უსმენთ იაზონს,  
რომელს მრავალი ჰკიდია ცოდვა,  
რომლის ნაფიცი არის ლალატი,  
რომლის სიმართლე მტყუანის ბოდვა.  
ის აქ ქადაგებს, სად რას განაგებს, ვის მოპოვებულს  
და ვის ანაგებს,  
ის სამართალი ვისა სჭირდება,  
სად დამნაშავე პასუხს არ აგებს.

## იაზონი

გაგაწყვეტინებ და ჩაგერევი,  
თუ ხარ სიბილა სიმართლის მთქმელი,  
მაშინ უარი არ გამოგიგა, ჩემი მოწმეა მთელი სოფელი,<sup>1</sup>  
საპელაზგიოს ყველა სამეფო ოქროს საწმისის  
დაკარგვას წუხდა,  
მიტომ შევკრიბე ყველა ვაჟკაცი,  
რომლის სახელიც ქვეყნადა ქუხდა.  
მათი შეწევნით და თანადგომით, ჭკუის სიმარდით  
და არა ომით,  
კოლხეთს ჩავედი, აიეტს შევხვდი, შემხვდა გულცივად  
და არა ნდომით,  
ოქროს საწმისი ბოლოს მოვტაცე,  
საპელაზგოში ჩამოვიტანე,  
შენ რა მასწავლო, თავად არ იცი, თავს რა გადამხდა  
და ავიტანე.  
ახლა მოსულხარ სამეფო კარზე და გსურს,  
ერთობა ჩვენი წაშალო,  
რად დაგიჯეროთ, მართალი რწმენა,  
შენს ნათქვამ სიტყვას რად ვანაცვალოთ.

1. სოფელი – ქვეყნიერება, ქვეყანა, მოსახლეობა ძველი გაგებით იდენტური შინაარსის ცნებებია.

შენ მთვლი ქადაგად, სიცრუის მთქმელად,  
 ორგულობის და ლალატის მქნელად,  
 მე ქალთან ომი არა მჩვევია, თავს შევიკავებ,  
 თუმცალა ძნელად,  
 მიჯობს მივხედო სამეფო საქმეს,  
 დღესვე გავჭედო ხვალეს იმედი,  
 რამდენიც უნდა ვიბრძოლოთ ერთად,  
 ყველას თავისი დაჟყვება ბედი.

### პეროვილე

ცოდვილის ცოდვებს არა აქვს ზღვარი,  
 მიტომ ბობოქრობს როგორც ავდარი,  
 მის გამო ცოდვა ტრიალებს თქვენში, მოისმენთ, ნახავთ,  
 დაგესხმით ზარი,  
 უბედურებო, გადით და ნახეთ, თქვენი მეფე  
 და მისი ასული,  
 უსიცოცხლონი იატაკს ყრიან,  
 დაეპატრონა მათ სულს ავსული.  
 კრეუსა მოკლა ცოდვილის ცოდვამ,  
 მეფე ასულთან განშორებამა,  
 მიგანიშნებდით, ვერა ხვდებოდით,  
 თქვენ დაგატყვევათ ტკბილმა ენამა.  
 (იაზონი, არხონტი გადიან)  
 ახლა მისმინეთ, ის, რაც ძმამ მითხრა,  
 თქვენთვის მომავლის საწუხარია,  
 მომავალ ტანჯვას სჭედავს ყოველი,  
 სხვის ბოროტება ვის უხარია,  
 თეზეიმ იცით, ათენის მეფემ, მინოსი<sup>1</sup> უყელა და არიადნა,  
 რომლის სიტურფით ვარდიც ხარობდა,  
 მრავალი გმირი ლოდინით დადნა.

1. მინოსი – კრეტას ლეგენდარული მეფე. მისი მეუღლე იყო კოლხეთის მეფის აიეტის და პასიფაე. ათენის მეფე თეზეიმ ჯერ მინოსის უფროსი ასული არიადნა გაიტაცა და მიატოვა, შემდეგ კი უმცროსი ასული ფედრა მიიყვანა ცოლად.

მოსტაცა მამას და შემდეგ გზაში, მძინარი დათმო  
 და გაეპარა,  
 მინოსის ცოლი დარღმა იმსხვერპლა,  
 ცოდვამ ცოდვები ამოიყარა,  
 ახლა თეზეი არიადნას დას, გადაეკიდა,  
 დედოფლად უნდა,  
 ერთს მიემატა, ახლა მეორე,  
 ქვეყნად დაგროვდა ცოდვების გუნდა.  
 იაზონმა კი, იოლკოსელმა, თეზეის ცოდვას, ცოდვა აწია,  
 ყველაზე მეტი შეძლო ამ გზაზე,  
 ყველაზე მძიმეც მანვე ასწია,  
 მის ცოდვას მიჰყვა კრეუსა მსხვერპლად,  
 კრეონტი მოკლა შვილის ცოდვამა,  
 მეფედ ვის ითხოვთ,  
 ვისი ხელობაც მხოლოდ ექიდნას ქვეყნად ეამა.  
 მოვა დრო, როცა მაღლა ღმერთები,  
 დაბლა დაგროვილ ცოდვებს განსჯიან,  
 რას გადაწყვეტინ წინასწარ ვიცი,  
 ამით მომავალს თქვენსას დასჯიან,  
 ატყდება ომი უკიდეგანო, არა ყოფილა ქვეყნად ისეთი,<sup>1</sup>  
 გაიჭიმება ათ წლის მანძილზე,  
 სისხლისგან დაგცლით წვეთი და წვეთი.  
 თუ გონს მოეგეთ, მაღლა ღმერთებმა,  
 ეგებ ათი წლის ომი იკმარონ,  
 უცოდველები ცოცხლად დატოვონ,  
 ცოდვილიანი არ გაახარონ.  
 (იაზონი და არხოტნი ბრუნდებიან)

---

1. გადმოცემის თანახმად სიბილა ჰეროფილე ერითრეელმა იწინასწარმეტყველა მომავალში ტროას ომის დაწყება, გადმოცემა ომის მიზეზად ათენის უფლისწულის თეზეის მიერ არიადნას მოტაცებასა და იაზონის მიერ მედეას გატაცებას ასახელებს. ამას ტროას უფლისწულმა პარისმა იმით უასეუხა, რომ ულამაზესი ქალი, მენელაეს მეუღლე ელენე გაიტაცა. რასაც მოპყვა ომი ტროელებთან.

მოინანიეთ, თქვენი შეცდომა,

ცოდვაში აღარ გადაიზრდება,  
გადავადდება პასუხისმგება, სანამ ახალი არ გაიზრდება.

## 019ონი

უცნაურია, კრეუსას ტანზე, რატომ აცვია კოლხური კაბა,  
ის ხომ მედეას საცმელი იყო, ერთი მეორეს ვით გადავაბა?  
ეგებ ჯადოა რამ ჩადებული, მედეას მუდამ ეხერხებოდა,  
მაგრამ ეს კაბა მას ტანს ემოსა,  
კრეუსას ტანზე ვით გაჩნდებოდა?

## ჰეროვილე

ხედავთ? მან იცნო კოლხური კაბა,

რაც გამოარჩევს სათვისტომოსა,

მაგრამ არ ამბობს ვისი ცოლია,

ვისაც ეს კაბა ტანზე ემოსა,

მაშინ მე გეტყვით,

კორინთოს ახლოს შემხვდნენ მწუხარე დედა და შვილი,  
ამბავი ვკითხე, გამოვიკითხე,

თმები რადა აქვს მხრებზე გაშლილი.

ვინ არის ანდა სადაურია,

რამ მოიყვანა კორინთოს კართან,  
ქალნი კერიას უნდა ათბობდნენ, ბალდებს უვლიდნენ  
და მატყლი ართან,

ცრემლმორეულმა კვნესით მომიგო,

მომიყვა რაც თავს გადაიჭანა,  
ყველა განირა ქმრის გულისათვის,

ქმრის ლალატი კი ვერ აიჭანა,  
როცა გაიგო, მისი მეუღლე, შვილებს აობლებს,

სხვის შერთვას ცდილობს,  
იქით ლალატობს, აქეთა ცრუობს,

დამსგავსებია ფერებით ჭილობს,  
კერა დატოვა, აქეთ ვიდოდა, აქრა ხდებოდა კარგად იცოდა,  
სხვას რას შემატებს ისეთი კაცი,

ვინც საკუთარი არ შეიცოდა,

მაშინ ვურჩიე, გაეძრო კაბა,  
გამოეგზავნა როგორც ნიშანი,  
ქმარი ნახავდა და უნდა ეგრძნო:  
„შენი ლალატის მიზანი ვცანი“.

## პრემიუმი

შენ ხარ სიბილა სახელიანი,  
გვახსოვს ნათქვამი შენგან ფხიანი,  
ვართ არხონტები და ახლობლები,  
ერთ-ურთის აზრის გამგებიანი,  
მაინც ვერ ვხდებით ბოლომდე ნათქვამს,  
რას მიგვანიშნებ, კეთილსა თუ ავს,  
პირდაპირ გვითხარ ვისა გულისხმობ,  
ქარაგმებით ნუ გაუჭირვებ თავს.

## იაზონი

მე უკვე მივხვდი საით უმიზნებს, სათქმელს დაღეჭავს  
და დაამძიმებს,  
სხვის დანაშაულს გადმომაბრალებს,  
დაძაბავს როგორც კითარას სიმებს,  
ჰეროფილეა მტრებთან შეკრული,  
უნდათ მომიკლან წამებით გული,  
ჩემზე აღმდგარან ცოლი და შვილი.  
ვისიც ვიყავი მიწყივ ერთგული.  
მედეას კაბამ მოკლა კრეუსა,  
შიგ საწამლავი ალბათ, ერია,  
იმ საქორწილო საჩუქრებს შორის,  
ვით უცხო ხილი შემოერია,  
არც დამიმალავს, კრეონტს ვუამბე,  
რომ იოლკოსში ცოლი-შვილები,  
კრეუსას გამო ჩამოვიცილე,  
დღეის-დღეობით ვართ გაყრილები.  
კრეუსა მუდამ მიყვარდა გულით  
და ცოლად შერთვას ვეპირებოდი,

კოლხეთშიც მიტომ წაველ სალაშქროდ,  
რომ გმირი მეტად ვეყვარებოდი,  
მედეა მხოლოდ შემთხვევით ვნახე,  
მისი მოყვანა საქმეს დასჭირდა,  
ოქროს საწმისი მიტომ დაბრუნდა,  
დაბრუნება კი ამ საქმედ ლირდა.

### პერიფერიული

არც მე მითქვია და არც მედეას, შენ თვითონ ამბობ  
და ადასტურებ,  
კორინთელების გულის მოგებას ტყუილად ცდილობ  
და ახმაურებ,  
შე დალოცვილო, აბა, დაფიქრდი,  
ბრძენ-ნათესავთა მთელი კრებული,  
ფარა ბრიყვების ნუ გეგონება  
და ნუ ეცდები მოულბო გული.  
მოღალატეთა შორის იზარდე, ღალატით შეძელ,  
რაც მოიპოვე,  
ვინც მხარში გედგა, ძალას გმატებდა, ისიც აცთუნე  
და ჩაექსოვე,  
მაგრამ როგორც კი მიიღე შენი, კი არა ლოცე  
მისი გამჩენი,  
ვითომ იმისი მიზნის გულისთვის,  
მისი ღალატის გახდი ჩამდენი.  
ვითომ კრეუსა სულ არ გიყვარდა,<sup>1</sup>  
მაგრამ მედეას მიზნების გამო,  
კრეონტს ესიძე, მეფობა იგდე და დაიყენე უამი საამო,  
მედეას სურდა ენიშნებინა, რომ ყველა იცის  
და ყველას ხვდება,  
რომ ახლოს არის, შენ პასუხს ელის, იოლად ღალატის  
არ დანებდება.  
ჩემ წინ გაიძრო თავის სამოსი, მე მოვიტანე ვით საჩუქარი,

1. გადმოცემით – იაზონი მედეას წინაშე თავს იმით იმართლებდა, თითქოს კრეუსა მხოლოდ ძალაუფლების მოპოვების მიზნით შეირთო.

არ შემემჩნია თუ იჯადოქრა,

არა ყოფილა ქვეყნად ამგვარი,  
როცა იხილა, ხომ მოეწონა, როცა ჩაიცვა, კრეუსამ ნახა,  
შიგ ჩადებული შენთან კირიბი<sup>1</sup>

და საცოდავმა წამოიძახა:

„ვისთვის ღალატი არის იოლი, არც მე დამზოგავს

და მიმატოვებს,

ქალები, მისგან მოტყუებულნი,

დავემგვანებით ჩამომჭკნარ შტოებს,  
ჩემი ქორწილი არის ღალატი,

ამ ნიადაგზე რა უნდა დავრგო,

დამცირებულმა მამას რა უუთხრა,

დამცირებულებს მივცე და ვარგო“.

ქალთა კრებული გარე ეხვია და ვერვინ მიხვდა,

ეს როგორ მოხდა,

რაღაც იყნოსა და გადაყლაპა, მოიცელა

და გმინვა აღმოხდა.

ამ დროს კრეონტი წაადგა თავზე, მამამ ისმინა

და თან იხილა,

სიხარულს მოჰყვა უბედურება

და შვილის ბედი ვერ აიცილა,

შენ ახლა გინდა, რომ ყოველივე,

მიტოვებულ ცოლს გადააპრალო,

თუ არ დაინდობ გინც გიბატრონა, მოყვარის მტერი,

რჩები საპრალო.

## იაზონი

მე არ მინდოდა ცოლის სიკვდილი

და არც მედეას მქონდა ღალატი,

ვერ მოვერიე გულის ცთუნებას, რამდენიც ვნახე,

გამიხდა ხატი,

კაცი კაცია, ლამაზს რომ ნახავს, მოეწონება, გადაეგება,

ერთს მეორე ცვლის, თვალი ვერ ძლება,

წერტილი დასვას უამშა ეგება.

1. კირიბი – ტყავზე ნაწერი.

კაცთა ჭიდილი ქალისთვის ხდება, ერთი რომ კვდება,  
 მეორე ჩნდება,  
 ასე ყოფილა, ასე იქნება, მარადის ასე განმეორდება,  
 რატომ გიკვირდეთ, უმანკო ქალი, ისეა,  
 როგორც ახალი ხილი,  
 ზღვარი არა აქვს ახლისკენ ლტოლვას,  
 ძველი მიგვყვება როგორც სამხილი.  
 მე სიყვარულმა აქ მომიყვანა,  
 მაგრამ სიკვდილი სულ არ მინდოდა,  
 ღმერთების ნებას ვინ გადაუვა  
 და არც ვიცოდი რა მოხდებოდა.

## პრემიუმი

ჩვენ ერთმანეთში აზრი გავცვალეთ,  
 სიმართლე სურვილს არ ვანაცვალეთ,  
 კენჭი ვუყარეთ, გადავითვალეთ, ვინერვიულეთ  
 და გავეწვალეთ,  
 ბოლოს დადგინდა: კრეონტი არ გვყავს,  
 თან გაიყოლა მეფემ მემკვიდრე,  
 იაზონს ვცნობდით მომავალ მეფედ,  
 დაგვატყდებოდა ღვთის რისხვა ვიდრე.  
 ახლა გამოდის ძველი აღარ გვყავს,  
 ახალს აღარ ვცნობთ და ვემოყვრებით,  
 ქალაქს კი უნდა ისეთი ვინმე,  
 საერთო საქმე აზიდოს მხრებით,  
 ვინ შეიძლება ასეთი იყოს, ვისზე შევჩერდეთ,  
 გვქონდეს იმედი,  
 ორ ცეცხლს შუა ვართ,  
 ჩვენი პასუხი არის ღმერთების გამოსაჭედი.

## პეროვილი

ძალზე მძიმეა ეს ამოცანა, ძალზე მძიმე და თანაც იოლი,  
 რადგან თქვენ შორის არავინაა მეფის მემკვიდრე  
 ან მისი ტოლი,

ამიტომ გირჩევთ. მე კი არ გირჩევთ,  
 ჩემი ძმა არის ამის მთხოვბელი,  
 ყველა დაფიქრდეს და გაიხსენოს,  
 რას გიყვებოდათ თქვენი მშობელი.  
 შემდეგ წარსული დღევანდელ ამბავს შეუდარეთ  
 და ისე განსაჯეთ,  
 სწორი პასუხი აქ იმალება,  
 სისწორეს თქვენსავ ღმერთებს ეაჯეთ,  
 ადრე რა იყო, მე გაგახსენებთ,  
 რამდენსაც სწვდება თქვენი გონება,  
 რამდენიც ვიცი მისნებისაგან და ჩემი ძმისგან გამეგონება.  
 პრომეტეს წულის, დევკალიონის,  
 უფროსი ვაჟი იყო დარდანი,  
 ფთიადან<sup>1</sup> აქეთ გადმოხვენილი.  
 აქ მეფედ მყოფი საკმაო ხანი,  
 როცა წავიდა თევკრების<sup>2</sup> მხარეს,  
 ახალ სამეფოს მისცა სათავე-  
 მის შთამომავლებს ბევრი გადახდათ  
 და გადახდებათ კვლავაც სიავე,  
 ილიმ, დარდანის ბადიშის წულმა,  
 კოლხების მხარეს სიძედ წასულმა,  
 შეძლო კორინთოს მეფედ დაჯდომა,  
 და როგორც პაპის ტახტზე ასულმა,  
 კორინთო კოლხეთს შემოუერთა, მძლავრი იყო  
 და სწორედ განსაჯა.  
 სიბრძნითა მართა ორივ სამეფო,  
 როცა ორგულნი მკაცრად დასაჯა,

- 
- 1 დევკალიონი – ნოეს მსგავსად წარლვნას გადარჩენილი, ადამიანთა მამაბთავარი, ქ. ფთიის მეფედ ითვლებოდა, დარდანი იყო ვაჟი პირველი ცოლისგან ასევე ქ. კორინთოს პირველი მეფე. იგი დევკალიონის მეორე ცოლს მოყოლილმა გერებმა გააძევეს. გაქცეულის სახელი ეწოდა დარდანელის სრუტეს, დარდანი კოლხ-იბერთა შორის გავრცელებული სახელი ყოფილა.  
 2. თევკრების მხარე – მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთი. აქ დარდანი თევკრების მეფეს ჩაესიძა, დაფუძნდა და დარდანიდების დინასტიას დაუდო სათავე. მისი ჩამომავლების ერთ შტოს განეკუთვნებოდნენ ქ. ტრიას მეფეები, მეორე შტოს წარმომადგენელი იყო კოლხეთის მეფე აიეტი.

მისი მემკვიდრე იყო მერმერო, ვერვინ ეტყოდა,  
ვინ ხარ ოხერი,  
ორი სამეფო ფეხქვეშ ეფინა,  
ორგანვე ჰქონდა სასახლის ჩერო,  
მერმეროს პყავდა ძე აიეტი, ბრძენი და მყარი,  
როგორც კერკეტი.  
თქვენი ქვეყანა მას ეკუთვნოდა,  
სხვა რაღა გითხრათ ამაზე მეტი,  
მაგრამ როდესაც კრეონტმა შეძლო  
კორინთოს მტერთა ერთად შეკრება,  
ერთიან ძალით სძლიეს აიეტს, დევნეს თავნება  
და უკარება.  
დღეს, როცა აღარ არის კრეონტი  
და არც მემკვიდრე ჩანს ღირსეული,  
თქვენ იაზონი მეფედა სცანით, სხვაგან დევნილი,  
აქაც ეული.  
ის მეფედ გილირთ და თან არ გილირთ,  
ჰო თუ არაა სასწორს ნადები,  
იცით რა იყო მისი მიზანი და იოლკოსში დანაქადები  
სანამ გადაწყვეტი, ესეც იანდეთ, საით გაგიჭრათ,  
იქით მიანდეთ,  
მაგრამ არ მინდა კორინთელები,  
იოლკოსელთა საცინლად ჩანდეთ.  
მეორე მხრივ კი ესძნელი საქმე, არის იოლი გადასაწყვეტი,  
სასწორის პინას ერთადა ჩანან მკვდარი კრეონტი  
და აიეტი,  
ღმერთების ნებით კარს მოგდგომიათ,  
მედეა არის მისი სახელი,  
დარდანების შთამომავალი, ვისიც ბევრნი ხართ მცოდნე,  
მნახველი,  
მოუყვანია მას თავისი ძე, დარდანიდების ძუძუნაწოვი,

## იაზონისგან ჰყავს გაჩენილი

და პელიოსის<sup>1</sup> სხივით ნაქსოვი.  
ძმა ასე ფიქრობს, ასე მკარნახობს, თქვენ რომ გადარჩეთ  
და რომ არ ევნოთ,  
რომ აიცილოთ სისხლის მორევი, არც დაზარალდეთ  
და არც სხვა სდევნოთ,  
იაზონის ძე და მედეას ძე, მეფეთა ჯიშის  
მათი ნაზარდი,  
მამლაყინწობის ასაკში მყოფი,  
ჯერაც ბავშვური იცის ნავარდი.  
მეფედ დაისვით, თან უკარნახეთ,  
თქვენ დაასრულეთ მისი კაცობა,  
შეიყვარეთ და წინ გაგიძლვებათ,  
არა სჩვევია ცეტის ანცობა  
ამით იაზონს სცნობთ და არა სცნობთ,  
შვილს გზას დაუთმობს და გაგცილდებათ,  
სხვაფრივ თქვენგანვე მეფედ დასმულის  
გადაყენება გაგიძნელდებათ.  
მეორე მხარეს თქვენში ნაწილი,  
ვინც აიეტის იყო ერთგული,  
მის ჩამომავალს მიეფერება,  
გაუქავრდება წარსულის წყლული,  
მით უფრო, მასაც პქვია მერმერო  
და პელიოსი დაპყვება მცველად,  
დასდევს ათენას ლოცვას-კურთხევა  
და აღიარებს ჩემ ძმას მფარველად,  
ახლა იფიქრეთ და გადაწყვიტეთ, სხვა რა გზა გიჩანთ,  
რა გაქვთ ძალები,  
დღეის სიბრძნეა მომავლის შუქი,  
არ დაითხაროთ ფუჭად თვალები.

1. პელიოსი – მზის ღმერთი აიეტის ღვთიურ მამად ითვლებოდა, შესაბამისად აიეტის შთამომავლები პელიოსის შთამომავლებიც იყვნენ.

\* \* \*

გადმოცემის თანხმად იმ პერიოდში კორინთოს მეფე შერშერო იყო, მის შემდეგ კი ილი.

იაზონმა მიატოვა კორინთო, იხეტიალა, ბოლოს მივიღა იმ ადგილას, სადაც გემი „არგო“ მიატოვეს. გემის ჩრდილში ჩამოისვენა. ამ დროს დაძველებული გემის კიჩო ჩამოიშალა, იაზონი მოიყოლა და მოკლა.

მედეა კორინთოდან ათენში წავიდა თეზებსთან. მისი შემდგომი ბედის რამდენიმე ვარიანტია შემონახული.

וְאֶלְעָזָר  
(764 בָּצָר)

## იორანე საბანისძე

აისი ნაზად ჰაერს შეარხებს, მზის სხივებს შეჰკრავს,  
შემოახვევს ხელს,  
გამოაღვიძებს, გამოაფხიზლებს,  
იმედს ჩაუნთებს მსმენელს და მნახველს,  
მხოლოდ მე ერთი ვრჩები უცვლელი,  
გულს არა ტოვებს იარა ძველი,  
შენგან მოძღვნილი დამყვება სევდა,  
სადარდებელის გავმხდარვარ მცველი,  
განა რა ვცოდე სოფლად ისეთი,  
სისხლის ცრემლი მდის წვეთი და წვეთი,  
გრძნობის ყამირი ვერ გადავხანი,  
უაზროდ ცვდება სახნის-საკვეთი.

## შუშანი

შენ ისევ გინდა მომიკლა გული, გარეთ ფარული,  
შიგნით დაგული,  
არ მიყვარს ფიცი წრეგადასული,  
დავბადებულვარ შენი ერთგული,  
რაც თავი მახსოვს გვერდით მედექი,  
თანაშეზრდაა ამის შედეგი,  
ნასწავლს და ნაფიქრს მიზიარებდი, გარჯის ფასია  
— ცოდნა შემდეგი,  
როგორ იქნება ეს დავივიწყო, ძველი დავკარგო,  
ახალი ვიწყო,  
რწმენა და ცოდნა განა მძივია, დავფანტო, ვძებნო,  
ახლად ავიწყო.

## იორანე საბანისძე

მე სწავლის ფასი როდი მადარდებს,  
ცოდნის გაღება ჩემი ვალია,  
იცი, რა ფიქრი გონებას ტანჯავს,  
სხვა სიამისთვის არ მიწვალია,  
როცა ვიყავით მცირე ასაკის,  
არ იყო ჩვენში რამე სხვაობა,

რას ვიანდებდი, დავიზრდებოდით, დაიწყებოდა რატომ,  
რაობა.

შენ მეფის ნული, მე მეფის მონა,  
ნერსე ერისთავს შეკედლებული,  
გამოიკვეთა რაობა დიდი,  
მაგრამ ცოდნაზე დახარებებული,  
სხვა სიღარიბეს არ ვუჩიოდი  
და არც მქონია სხვა მისწრაფება,  
ის მოიპოვებს ნამდვილ სიმდიდრეს,  
ვინც სწავლა-ცოდნას დაეწაფება.

## შუშანი

გარეშეს საქმე ჩვენში იოლობს, ჩვენი,  
— საზარი დასანახია,  
ზოგჯერ შეგცდებით, მტყუანს ვამართლებთ,  
მართალზე ვიტყვით მასზე ახია,  
ჩემი ცხოვრება შორიდან მოჩანს, უზრუნველი  
და მიწყივ მზიანი,  
ახლა მე მკითხე, რასა გრძნობს გული,  
რამდენჯერ ენით შემხვდა ზიანი.  
მაგრამ მეგონა იყავი სულ სხვა,  
რაზე ვდარდობდი, ყველა იცოდი,  
მეგონა იყავ თანაზიარი, ჩემზე ფიქრობდი,  
ჩემთვის იწოდი.  
ვხედავ ყოფილხარ გულჩახვეული,  
სხვა ოცნებები გამოძრავებდა,  
ვატყობ ვცდებოდი, არას ვეჭვობდი,  
შენგან ძლვილ სიტყბოს სიმწარე სდევდა.

## იოანე საბანისძე

მაშინ მოგიკვდეს შენ ჩემი თავი,  
ფიქრად გავივლო ზმანება ავი,  
მაგრამ რა ვუყო, გულს ვერ ვერევი,  
ჩაქინდრული ვარ როგორც თავთავი.

განა რა ვცოდე, უფლებაც არ მაქვს,  
გრძნობის საგანძურს გავუხსნა კარი,  
სიფრთხილე მტანჯავს და შენზე შიში,  
მუდმივი ეჭვის მესხმის თავზარი,  
ჩემ გულის ნადებს ვერავის ვანდობ, არავინაა ტოლი  
და სანდო,  
შორიდან ხილვაც კი მეკრძალება, სად და რა ვარგა,  
რაღა ვიანდო,  
უიმედობა როდემდე მქონდეს, დარდს ვიცილებდე  
და თან დამქონდეს,  
რა იქნებოდა ბედი მიხმობდეს,  
გვერდს არ მივლიდეს, ჩემთან დაყოვნდეს.

## შუბანი

შენ შენსას ჩივი, თუმც კარგაც იცი,  
უიმედობით ვერ მიტოლდები,  
რა ბედენაა მეფის წულობა, ხიზანის ოდენს  
თუ ვერ შევწვდები,  
მდაბიო ამ მხრივ ბედნიერია, ტოლსაც მონახავს,  
სიტყვასაც ეტყვის.

მე უნდა ყველას ვერიდებოდე,  
არ ვიქცე მიზნად ჭორების სეტყვის,  
ვინ მეკითხება გული რასა გრძნობს,  
მზერას რომელი მოეწონება,  
თვითონ უბედომ, სამეფოს ბედზე,

უნდა დავძაბო მიწყივ გონება,  
დღეს რომ აქ შემხვდი, ფიქრობ,  
შემთხვევით წერსე ბატონი ლხინობს და სტუმრობს?

დედა ბატონთან რას თათბირობენ,  
ძმებს რას მოუთხრობს კი არა სუმრობს,  
ვიცი, რომ ჩემზე არის კამათი და არ მკითხავენ,  
როგორ და რაზე.  
აქეთკენ მიტომ გამოვიპარე, საძინებელის კარი ჩავრაზე,  
უნდა იცოდე, არაბი ელჩი, სომხის ამირას შუამავალი

ჩემ თავს მოითხოვს ენა თაფლული  
და საჩუქრები თან აქვს მრავალი,  
უნდა ამირას ცოლად მითხოვოს,  
ჰარამხანაში დამიდონ კერა,  
დაირის ჰანგზე ცეკვა ვისწავლო,  
არაბულად ვთქვა ლოცვა-სიმღერა,  
მეორე მხარეს ხაზართა ხაკანს,  
მოსურვებია ჩემი ცოლობა.  
დაპირებაა, მის პირველ ცოლთან დამიმკვიდრდება  
სრული ტოლობა,  
სასიხარულო მქონია ბედი? შენ იქით ჩივი, ჩემი არ იცი,  
ვისი რჯულისა, ვის უნდა გავყვე, ვის ვულალატო,  
ვის მივცე ფიცი.  
დღემდე მეგონა უმანკო სული ზეცაში უფალს ებარებოდა,  
ქვეყნად შენ იყავ ბედის მონილე,  
სხვას არაფერი ეკითხებოდა,  
ახლა იცვალა ირგვლივ ყოველი,  
დარდმა გამხადა ცრემლის მთოველი,  
სად სიყვარულის ბროლის კოშკს ვდგავდი,  
უიმედობის გავხდი მქსოველი.

## იოანე საბანისძე

ენა კაცისა სატევარია და ფარი არის სიტყვიერ ომში,  
ნათქვამი არის აზრის საზომი,  
არ გაიცვლება სხვაგვარ საზომში,  
შენ რომ არ გეთქვა, ისეც ვიცოდი,  
სიტყვით ვმაგრობდი, შიგნით ვიწოდი,  
ვფიქრობდი დედა გიდარაჯებდა,  
ჩემ სანახავად ვერ მოხვიდოდი.  
არაბთა ელჩებს არ დაუმალავთ, სომხების მეფე,  
არაბთ ამირა,  
იბნ უსაიდი მომართულია, აქედან გზები გაიყამირა,  
უნდა მზის სხივით გაითბოს სული,  
ცოლად დაისვას მეფის ასული,

თუ არა, რბევით დაგვემუქრება,  
 სისასტიკე სდევს წრეგადასული.  
 ხაზართ ამბავი მე არ ვიცოდი,  
                         თავად ხაზართა მქონდა იმედი,  
 ვფიქრობდი ასე, თუ მეღირსება შენი თანხმობა.  
                         მქონია ბედი.  
 ხაზართა მხარეს ვნახავდით შვებას,  
                         ლტოლვილთ მფარველი ის გახდებოდა,  
 არაბებისგან თავს დავიცავდით,  
                         თუ კი ძალიან გაჭირდებოდა,  
 ახლა რა მესმის, ხაზართ ხაკანი ზღვაში მარგალიტ  
                         თუ თავად ეძებს,  
 რად გამოიწვდის მეგობრულად ხელს,  
                         რაც თავად უნდა, რად დაუთმობს სხვებს.

## შუშანი

ვხედავ, იმედი გადამეწურა, სამოთხის კარი გამომეხურა,  
 სჯობდა დედაჩემს არ გავჩენოდი,  
                         თავზე ლეჩაქი არ დამეხურა.  
 გარშემო მხოლოდ მტრების ჯარია,  
                         რა სურთ, რას მდევენ, რამ გადარია,  
 ბოროტის გულში მუდამ დარია, რას დამაკლებენ,  
                         ის უხარია  
 ერთიღა მრჩება კიდევ იმედი,  
                         ცხუმ-აფხაზეთში დიდი და ჩემი  
 დედოფალია, ყველას განაგებს, სიკეთით სავსე,  
                         თვალში საცემი,  
 თუ მივაწვდინე გურანდუხტს სიტყვა, ჩემიანია,  
                         დამითარავდა,  
 თუ არა, ჩაქრა სულში სინათლე, იმედი ჩაკვდა,  
                         დაპატარავდა.  
 მაშინ გზა მრჩება მონასტრისაკენ  
                         და მონაზვნობა დამებედება,  
 განგების ნებას ვინ გადაუვა, რაც მიწერია, იგივ ახდება,

ისევ შენ უნდა მიშუამდგომლო, უნდა შეიძლო,  
ნახო დიდი და  
მოუყვე ყველა, მომგვაროს შვება,  
იქნებ სიცოცხლე ვიწყო თავიდან.

## იოანე საბანისძე

ჯერ უნდა შენ ქმებს უფლება ვთხოვო,  
ქუთათისს წასვლის რომ დამრთონ ნება,  
ნერსე ბატონსაც თუ არ ვაუწყე,  
გაპარვა ღალატს დაემგვანება,  
მიზეზს მოვძებნი, შენ კი მანმადე,  
უსტარი მცირე ეგებ დაწერო,  
დანარჩენს თვითონ მივხედავ საქმეს,  
დილა დაგიდგეს გულს სასიმღერო.  
თუ უარს მეტყვის, ბერძნებს ვენ ვევი  
და თანადგომას შევეხვეწები,  
შენ თუ გზას მომცემ და გამინათებ, იალბუზს ავალ,  
ვარსკვლავს შევწვდები.

## შუგანი

გრძელი მსჯელობა არაა საქმე,  
გრძელი წაფიქრი მოკლედაც ითქმის,  
მე ჩემი აზრი გაგიზიარე, დარდი გაგიყავ,  
დავმშვიდდი თითქმის,  
საქმის კეთება მოქმედებაა, წავიდეთ,  
რაც ვთქვით იმას მივხედოთ,  
მიზანს მივაღწევთ, ლხენას მოვიმკით,  
თუ მისვლა გვინდა, უნდა შევპედოთ.

/სამეფო დარბაზი. თათბირობენ იოანე და ჯუანშერ არჩ-  
ილის ქენი, ადარნასე ერისთავი (კურაპალატი), ნერსე ერი-  
სთავი, შემოუერთდება იოანე საბანის ქე/).

## იოანე არჩილის ქე

სამეფო დარბაზს ბევრი უნახავს  
და მონათხობი მოუსმენია,

მაგრამ ის რასაც აქ განვიხილავთ,  
                                თავად ჩვენთვისაც დასადგენია,  
ამიტომ ძმებმა მოვითათბირეთ  
                                და გადავწყვიტეთ დედოფლის რჩევით,  
თუმცა არაა დარბაზის წევრი, დღეს დაგვსწრებოდა  
                                ჩემი მოწვევით.  
საბანისძე მყავს მხედველობაში, კაცი ყმანვილი,  
                                ფრიად სწავლული ,  
უნდა მოგვითხრაოს ყველა, რაც იცის,  
                                რომ წარმოდგენა შეგვექმნას სრული,  
განსასჯელია დიდი საკითხი, ერთი შეხედვით ცხადი,  
                                უდაო,  
ისეთი, იტყვის გარეშე მსმენი, კვერი დავუკრათ,  
                                სხვა რა უნდაო.  
მაგრმა კარგად თუ დავუკვირდებით, რთული არის  
                                და ძალზე სადაო,  
ისიც ვიფიქრეთ, ასეც ვიმსჯელეთ, ვერ გავარკვიეთ ვინ  
                                და სადაო,  
მოდი დღეს ერთად მოვითათბიროთ,  
                                ყველა რას ფიქრობს და რა ვულონოთ  
ხვალის შედეგი დღეს ამოვიცნოთ,  
                                არ გადავწყვიტოთ საქმე უგონოდ  
განსჯის საგანი ეხება ჩემ დის, შუშანის ბედს  
                                და გათხოვებასა,  
სულ არ მეგონა ქალის სიტურფე, შარს გადაგვყროდა  
                                და ვაებასა.

### პუანშერი პრჩილის ე

ძმას ჩავერთვები, მოკლედ მოგითხრობთ,  
                                რა საფიქრალი გაგვიჩნდა ყველას,  
რის არ ეგება, გადავადება, დღესვე მოითხოვს პასუხს  
                                თუ შველას,  
სამეფოს ირგვლივ მტერი დარაჯობს,  
                                ორია მათში სხვებზე ძლიერი,  
ხან ხმალს გვიქნევენ, ისრებს გვიშენენ,  
                                ხან მეგობრების დააქვთ იერი,

ახლა არაბთა მოგვადგა ელჩი  
 და უცნაური დათქვა პირობა,  
 სასომხეთს მჯდომი დიდი ამირა,  
 ვისიც გვსმენია ომში გმირობა.  
 იბნ უსაიდი, თუ დას გავატანთ,  
 გადასახებს შეგვიმსუბუქებს,  
 ჩვენთვის ეს რაა, კარგადა ხვდებით,  
 ამგვარ სიკეთეს ვინ გაამუქებს,  
 მაგრამ ურჯულოს და როგორ მივცეთ,  
 ვურჩიოთ ქრისტე აგინოს-დაგმოს  
 და არც ძალა ჩანს, არაბთ მუქარა, გააქარწყლოს  
 და წყნარად ალაგმოს,  
 ნერსე ბატონი მიტომ ვაწვიეთ  
 და მასთან ერთად ეს ახალგაზრდა,  
 იციან წვრილად არაბთა წესი, მტრობა-მოყვრობა,  
 შვილების გაზრდა.  
 გვაინტერესებს თუ არის მათში,  
 ცოლმა დაიცვას მშობლების რჯული,  
 ქრისტეს რწმენა არ შეაცვლევინონ, რადგან შუშანი,  
 თავგადაკლული  
 მორწმუნეა და არ დათმობს რწმენას,  
 არაბულად არ მოიჩილექს ენას,  
 არც გვინდა ძალა რომ დავატანოთ  
 და ვერც დავუწყებთ გვემას და რქენას.

## ნერსე ერისთავი

არაბთა ტომებს ომი სწყურიათ  
 და ბევრი ერიც მოინადირეს,  
 საბაბს ეძებენ, მიტომ სხვის თვალში ჩავარდნილ წამნამს  
 არქმევენ დირეს,  
 ქალი გამხდარა ხშირად საბაბი, მას მოჰყოლია  
 სასტიკი ომი,  
 ძლიერი მიწყივ საბაბს დაეძებს, შარიანია  
 და სისხლის მდომი,

თბილისში მყოფი სხვას რას ვაკეთებ, ვითომ ვმეგობრობ  
და ვეხმარები, გსტუმრობ, მსტუმრობენ, საქმე მოითხოვს,  
გაღებული გვაქვს სახლის კარები,  
მაგრამ მათ ცოლებს თვალით ვერ ვნახავ,  
ცალკე აქვთ კერა, ცალკე საძილე,  
მოფარებულნი სხედან ცოლები,  
ვერ გახდებიან სხვათა საწილე.

### ადარნასი ერისთავი (პურაპალატი)

ეს არა ნიშნავს ქალი მონაა, სანთიბიოში გამოკეტილი,  
იმათშიც ხდება ცოლ-ქმრის ღალატი  
თუ ქალი არის თავაწყვეტილი,  
არ შევეხები ალაპის რჩეულს,  
ქალებთან იმის ურთიერთობას.  
იმასთან ერთად და იმათ მერე,  
ვინ ღალატობდა ცოლობას, ქმრობას.  
სომხეთს ამირა იაზიდია,  
ვინც მოინდომა ჩვენთან მოყვრობა,  
იმდენი ცოლი დაისვა კარზე,  
რომ ვეღარ გასწვდა მისი ოხრობა,  
ჰოდა, ის მოხდა, რასაც ელოდნენ, ვინც ახლო იყვნენ  
და საქმეს ცნობდნენ,  
მხოლოდ ხათუნი და მისი კურო, ლხენით მაშვრალნი,  
ვერაფერს გრძნობდნენ  
დრო გამოვიდა, ქალის მუცელმა,  
ღალატის კვალი ვეღარ დაფარა,  
მძიმე სასჯელი შეხვდათ მიჯნურებს,  
უმანკოს სისხლიც იქ დაიღვარა.

### იოანე არჩილის ძე

არ გამიგია ეგ ისტორია, გვიამბე  
შიგ რაც სიმართლე ყრია,  
ქალია მიწყივ კაცის საწყაო, იმას მიელტვის და უხარია.

## პდარნასე მრისთავი (პურაპალატი)

რა, როგორ იყო ეს მე არ ვიცი, ვთქვი,

რაც თბილისში გამიგონია ,

ვის და რა შეხვდა ჯილდო-სასჯელად, ვინმემ იცოდეს,

არა მგონია.

## იოანე საბანისძე

თუ ნებას მომცემთ, ჩავერეოდი

ერისთავების ნათქვამის არსში,

დავამატებდი, რად არ გავცვლიდი ერთი ცოლის წესს,

იმათის ასში,

თან ადარნასე ერისთავს ვეტყვი

და ჩემი აზრი ნუ ეწყინება,

არავინ იცის ვინ-ვის ღალატობს,

როგორი არის იმათი ნება.

არც ვიდარდებდი მე იმათ ყოფას,

მაგრამ როდესაც არაბი ელჩი,

კარზე მოგვადგა, მეფის ასულს გვთხოვს,

რომ არ ვიკითხო ხომ არ ვარ ლენჩი.

ჯერ ერთ, ჩვენში თუმც აირია,

როცა დედა კაცს ქალი ვუწოდეთ,

ნული ასულად გადავაკეთეთ,

საშველად ხელი არ გავუწოდეთ,

ცოლი უღელში შევიბით კისრით, მეუღლე ვარქვით

და ასე ვაქეთ,

ავრივ-დავრიეთ ძველი, ახალი

და ასე დავალთ გორგასლის აქეთ.

და მაინც შეგვრჩა კაცური გრძნობა,

რაც ამალებს სულს, არ ამდაბლებს ტანს

მამაკაც ზრუნავს დედა კაც გამო, ნულს არ დაჩაგრავს,

მტერს არ გაატანს

ახლა მეორე საკითხი ვჩინოთ

და მერე ისე პასუხი დავთქვათ,

ეგება ცეცხლი მტერს გავუნელოთ, ჩვენი კი გვენთოს,

ვმალოთ, არ გავთქვათ.

სომეხთ ამირა იბნ უსაიდმა,  
რომელსაც შვენის ცოლი მრავალი,  
ხუთი წლის წინათ, არა ტკბობისთვის,  
საქმისთვის ნახა გამოსავალი.  
ხაზართა ხაკანს ბალათურს,  
ვისაც მრავლადა ჰყავდა ცოლი და შვილი,  
ქალწული სთხოვა მორიგ საცოლედ,  
ჰარამხანაში დაუდო წვლილი.  
ბალათურის წულს, უმანკო ხათუნს,  
სიმწარით თურმე ცრემლი სდიოდა,  
იჯდა კერასთან ტრფობის ლოდინში,  
ქმარი კი სდუმდა, არ მიდიოდა,  
ორი წლის თავზე ქალმა იანდა, მიხვდა,  
რა როგორ უნდა ეღონა,  
საიდუმლოს რომ ვერ დაფარავდა, სულ არ ფიქრობდა  
და არ ეგონა.  
შარშან წინ მოხდა უცნაური რამ,  
ხათუნი უცებ გარდაიცვალა,  
შემდეგ გამუღავნდა, რა როგორ იყო, ვინ რა მოიგო,  
რას ანაცვალა,  
შვილ მოკლულ მამას ხაკან ბალათურს,  
ჰქონდა საბაბი არაბთა დასჯის,  
არც დაუწყია ბევრი ტირილი,  
ჭალათს არც უნდა დიდი დრო განსჯის,  
შარშან დაეცნენ დარუბანდის გზით  
და სასომხეთი აატიალეს  
ვისთვის უნდოდათ, ვის მიწვდა ხმალი, სად,  
ვისი დროშა ააფრიალეს.  
ხაზართ რა უჭირთ, რა უჭირთ არაბთ,  
ალბანებს-სომხებს ორნივ თელავენ,  
ნადავლს ითვლიან, ომებს იგებენ, ვის რატომ კლავენ,  
როდი ღელავენ,  
შარშან ხაზარებს თუ დაუზავდა,  
ჩვენთვის მოიცლის ახლა ამირა.

ხოს შევუთვლით თუ არას შევბედავთ, ორივ ერთია,  
გვიჯდება ძვირად.

### ჯუანშერ არჩილის ძე

მეც ვეთანხმები გამოთქმულ აზრებს, რაა შედეგი,  
რომ გავცეთ ქალი,  
ცისკრის ვარსკვლავი, სინათლის მფენი,  
სიკეთის მთესი, გულით საწყალი,  
ის რომ მოგვშორდეს, ასე მგონია,  
სასახლის კარზე ჩამობნელდება,  
სად დაიბადა ასე ლამაზი,  
ვის მივაკუთვნოთ მასზე ხელდება.  
ამას რომ ვამბობ განა დას ვიცავ,  
მხოლოდ სიმართლე მალაპარაკებს,  
შენსას თუ ჰყიდი, სხვისას დაინდობ?  
ცრუ მოიგონებს ასეთ არაკებს.

### ადარნასი ერისთავი (კურაპალატი)

სანამ არჩილი მეფობდა მყარად,  
მსგავსი საქმენი მიგვაჩნდა არად,  
ალანთა კარი<sup>1</sup> მტკიცედ გვეჭირა, ქართველთ იმედად  
და გასახარად,  
იცვალნენ დრონი, იქით ხაზარი,  
აქეთ არაბთან მის გამო ომობს,  
თბილისშიც დასვეს თავის ამირა, ისიც ხელს იწვდენს  
და მეტსა ნდომობს  
რა შეგვიძლია მათ წინააღმდეგ  
პირდაპირ ომში ვერას გავხდებით  
სანამ ჯარს შევკრებთ, ძალას მოვირთავთ, დაგვეცემიან,  
ყველა წავხდებით.  
ამიტომ, ვიდრე მივცემდეთ პასუხს, სჯობს დავფიქრდეთ  
და დავკვალიანდეთ,  
ამირასთან ვარ კარს მიღებული,  
საქმის დაჭერა მასთან მე მანდეთ.

1. ალანთა კარი – დარიალი (კარი ალანთა)

თუ უარს ვეტყვით, უნდა ვიცოდეთ,  
გახდება ჩვენი დასჯის მდომელი,  
შურტა<sup>1</sup>-ს ძალებით გადაგვივლიან, ნინ აღუდგება,  
არის რომელი,  
თუ ჰოს შევუთვლით, ჩვენ თავს ჩვენ დავსჯით,  
არ უნდა რესი<sup>2</sup> ან მუპთაბისი,<sup>3</sup>  
რად გინდა თავი, თუკი საუნჯე, შენი რომ იყო,  
გახდება სხვისი.  
ერთიც ავია, მეორეც ავი, რომელს მიენდო, დაუდო ზავი,  
კარგად ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ,  
ნინასწარ რატომ მოვიკლათ თავი.

## იოანე საბანისძე

მეფეთ, მთავართა და ერისთავთა  
ქვეყნის საწუხარს რომ ვიზიარებ,  
თქვენი ერთგული გარ სისხლით, ხორცით,  
ამას განვიცდი და ვალიარებ,  
ჩვენ არაბთაგან ბევრი რამ გვევნონ,  
კიდევ ბევრი გვაქვს გადასატანი,  
ურჯულოებთან ხანგრძლივ ბრძოლაში  
სჯული დავიცვათ, გავტანჯოთ ტანი.  
ას ოცი წელი არის გასული,  
რაც არაბები ქართლს ბატონობენ  
ვეპრძვით მომხდურებს, თან ვუზავდებით,  
დიდ ხიფათს ჩვენგან მიტომ ვერ გრძნობენ,  
არაბთა ძალა ძალზე დიდია,  
ზღვიდან ზღვებამდე გადაჭიმული,  
ვერავინ შეძლო მაგათი ძლევა,  
ვერვინ დაიცვა მათგან მამული.  
ქართლი რა არის, თვით ხაზარეთი,  
აუზომავი სივრცის ქვეყანა,

- 
1. შურტა – საამიროში წესრიგის დამცველი, დღევანდელი გაგებით პოლი-ციის უფროსი.
  2. მაპმადიანური საკითხების დამცველი და მეჩეტების მშენებელი–რესი.
  3. მუპთაბისი – რელიგიურ ყოფაცხოვრებითი წესრიგის მომრიგებელი.

ვერვინ მოთვალოს რამდენი მთები, ტბები, მდინარე,  
  ბალი თუ ყანა  
და მაინც არის არაბებისგან ცეცხლით დამწვარი,  
  ცხენით ნათელი,  
ჩვენ უფრო მეტი გვამართებს სიფრთხილე  
  ვისთან გვაქვს საქმე, იყოს ნათელი.  
მადლობა უფალს, ჩვენთა წინაპართ შეძლეს  
  არაბთა ზავით ოტება,  
არ შეეჯახნენ უგონო ძალით, არ იყო მოთქმა,  
  ვიში, გოდება.  
ჰაბიბი ჰყავდათ სარდლად არაბებს, გონიერი  
  და გამგებიანი,  
იკმარა ჩვენგან ხარკის აღება,  
  არ დავრჩით დიდად ზარალიანი,  
ჩვენ მხოლოდ ერთხელ შეგვხდა ზიანი,  
  როცა მურვან ყრუ მამულს არბევდა,  
კიდით-კიდემდე გადაიარა, არვის არჩევდა,  
  არაფერს სდევდა,  
ოცდაჩვიდმეტი წელი გავიდა, ზოგს არ ეგონოს,  
  რომ იყო ძეელად,  
მირმა, არჩილმა, ლეონთან<sup>1</sup> ერთად გმირობა შეძლეს,  
  რაც ითქმის ძნელად,  
სტეფანოზის ძე მირი და არჩილ, ძმები,  
  მეფენი აფხაზ-ქართველთა,  
ანაკოფიის<sup>2</sup> ციხე-ქალაქთან  
  მედგრად შეებნენ არაბ მტარველთა.  
მთავარი ლეონ, მათთან თანხმობით,  
  სობლისის ციხეს ეფარებოდა,  
ჭარებს იკრებდა, საერთო ძალით,  
  მომხდურთა რბევას ეპირებოდა,

1. ლეონი – ლაზიკის (ეგრისის) მეფეთა შთამომავალი. მდ. კელასურის (კელისურა, კორახი) ჩრდილოეთ აფხაზეთის მთავარი. მეფე მირის სიძე, მოკავშირე და მემკვიდრე.

2. ანაკოფია –(დღევანდელი ახალი ათონი), მთავარ ლეონის წილი აფხაზეთის მთავარი ციხე.

უყელეს კიდეც შეთანხმებულად,  
ლიტ-ამერეთში მტერი ილტვოდა.  
დამარცხებულის, შეშინებულის,  
გაქცეულის ქვეშ მიწა ინვოდა  
იმ ბრძოლის შემდეგ თავი გვანებეს,  
ბრძოლების გეზი სხვა მხრივ წარმართეს.  
ალანებს მისწვდნენ, გადაუარეს  
და ხაზარებთან ომი გამართეს,  
მას შემდეგ არი ჩვენში მშვიდობა  
თუ ასე ყოფნას მშვიდობას ვარქმევთ,  
ხარკს გადავიხდით, თავს გვანებებენ, არც არას ვაძლევთ,  
არც არას ვართმევთ,  
თბილისს ამირა ჰყავთ დადგენილი,  
ქალაქს ბატონობს ხალიფას ძალით,  
იაზიდია მისი უფროსი  
და არც უყურებს მოწყალე თვალით,  
თუ უარს ვეტყვით, სომებთ ამირა,  
დიდი ჯარებით ჩვენზე წამოვა,  
ჩვენი ამირა ვერ დაგვიფარავს, მხარსაც არ მოგვცემს,  
ეს არ გამოვა.  
რა შეგვიძლია, რითი დავუხვდეთ,  
მტერი რა ძალით დავაზიანოთ,  
მეფე-მთავართა დასადგენია  
და არც მზადება დავაგვიანოთ.

## იოანე არჩილის ძე

ენა იოლობს, როცა სათქმელი სხვას ეხება და არაა ძნელი,  
უფრო რთულია იმის განხილვა,  
რისიც არა ხარ შემწე და მქნელი,  
მაგრამ თუ საფრთხე შენ შეგეხება,  
საქმეც შენია საკეთებელი,  
ენა მუნჯდება, სათქმელი ქრება, ბოლმა ყელს უჭერს,  
როგორც საბელი,  
ყველა მესმის და არ ვიცი რა ვთქვა, შუშანი,  
ჩვენი გულის შროშანი,

ძმებს, როგორც შვილი გვყავს გამოზრდილი,  
                                არც ვის უნახავს მაგისი მგვანი.  
ნეტავ ლამაზი არ გაგვჩენოდა,  
                                მახინჯად მაინც მოსჩვენებოდა,  
მამული საფრთხეს აირიდებდა,  
                                სათუო საქმე არ გვექნებოდა,  
ახლა რაღა ვქნათ, მოყვრობის თხოვნით,  
                                კარს მოგვდგომია არაბთ ამირა,  
მეორე მხრიდან ხაზართა ელჩმა  
                                დარუბანდის გზა გაიყამირა.  
ისიც იგივეს გვთხოვს და გვთავაზობს,  
                                არის შუშანის ხელის მსურველი,  
მდაბლად თავს გვიკრავს და გვეაჯება,  
                                თან სატევარზე უდია ხელი,  
აქეთ ამირა, იქით ხაკანი, არჩევანია საკეთებელი  
ერთი-მეორეს რითი სჯობია, ორივ ჭირია ახალი-ძველი.

### პუანშერ არჩილის ძე

ვახტანგ გორგასალს, მე ასე ვიცი,  
                                ოს-ხაზარებთან ომი ჰქონია,  
გამორჩეული მათი გმირები,  
                                თავად მოუკლავს – გამიგონია,  
ძველი დრო იყო და უფრო ადრე,  
                                მათზე მირიანს ჰქონდა ზეობა,  
ჩვენი გმირები მათსას სჭარბობდნენ,  
                                ასეთი იყო ქართველთ მეობა.  
იცვალნენ დრონი, ახლა პირიქით,  
                                ხაზარნი ქართველთ მამულს იკლებენ  
დოვლათს, საქონელს გაირეკავენ, ქალებს იგდებენ,  
                                არ დაიკლებენ  
და მაინც მათი არა ვიცით რა, როგორი არის ადათი-  
ნესი,  
ჩვენგან არავინ არის ნამყოფი,  
                                არ დაუნახავს ნახნავ-ნათესი.

## ნერსე მრისთავი

ბატონიშვილი, ეგ მართალია,  
თავად ქვეყანა ჩვენ არ გვინახავს,  
მაგრამ სხვები ხომ ნამყოფებია,  
ჩვენ მათი ცოდნა შემოგვინახავს,  
თავად პაპაშენს, დიად სტეფანოზს,  
ხაკანთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი.  
არაბებს ერთად ეომებოდნენ, მიმოსვლა ჰქონდათ,  
სტუმრობა ხშირი.  
შემდეგ, როდესაც მურვან ყრუ მოსდგა,  
სტეფანოზ იმერთ მხარეს წავიდა,  
პატრიკიოსი გახდა იმათი,  
რათა დაეწყო ბრძოლა თავიდან,  
ვეღარ მოესწრო, სიკვდილმა უსწრო,  
მაგრამ დატოვა არჩილ და მირი,  
მათ დაამარცხეს მურვან ყრუ მაშინ,  
არჩილი გახდა გმირებშიც გმირი.

## ჯუანშერ პრილის ქე

პატარა ვიყავ და მაინც მახსოვს, მამა არაბებს ეომებოდა,  
მხოლოდ თბილისი ვერ გამოიხსნა,  
ქალაქის ერი ეცოდებოდა.  
ჩვენ ვერ ვივარგეთ, არაბმა გვძლია,  
დავკარგეთ მამის მონაპოვარი,  
ვერც ხაზარებთან ავანყეთ საქმე,  
წარსული მოგვდევს ვით სახსოვარი,  
ამიტომ მსურდა კარგად გაგვეგო, ხაზართა ჩვევა,  
მათი ბუნება,  
რომ მართებული გადავდგათ ბიჭი  
და არ დაგვჭირდეს შემობრუნება.

## იოანე საბანისძე

მეფენო, ვხედავ როგორ მძიმეა  
ხვალინდელი დლის გადასახედი,

დღეს რა მოგველის არავინ იცის,  
ბუნდოვანია მომავლის ბედი,  
გაინტერესებთ, მე მოგიყვებით,  
რას წარმოადგენს ქვეყნად ხაზარი,  
„კაცნი ველურნი“, „მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელი“,  
ომში საზარი  
„საშინელ პირით“, მოდგმით და ძირით, ურმებზე სხედან,  
ქოხებში ყრიან,  
სად საქონელი გასწევს ძოვებით, უკან მისდევენ,  
გზას გადახრიან,  
ვერვინ გაზომოს მათი სავალი  
და სათვალავი ვერავინ თვალოს,  
ზღვა მდინარიდან<sup>1</sup> მეორე ზღვამდე<sup>2</sup>  
ატრიალებენ ცხოვრების კალოს.  
ერთი ჰყავთ მეფე, სამ დიდ ქალაქში,  
სამ სასახლეში დაფუძნებული,  
ტარკი, ალ-ბაიდ და სემენდერი,  
მდინარის პირას გაშეშებული.  
ჩვენ ხაკანს ვეტყვით ხაზართა მეფეს,  
სხვები ეტყვიან ხაკანს, კაგანი,  
ორივ ერთია, სახელწოდებით,  
როდი იცვლება თავად საგანი,  
ხუთასი წლის წინ მოჰყვნენ ალანებს,  
ახლაც მეზობლად, ტკბილად სახლობენ  
ეხმარებიან ერთი-მეორეს,  
ნადავლის გამო კიდევაც მტრობენ.  
ჩვენ ალანები, გვყავს მეზობლები, კარი ალანთა  
იმათგან გვიცავს  
ციხე ჩემია<sup>3</sup>, ალთა და ბალთა ჩვენ გვეკუთვნის  
და ჩვენ მეფეს ფიცავს,

---

1. ზღვა მდინარე – ვოლგა.

2. მეორე ზღვა – აზოვის ზღვა.

3. ჩემია – ამჟამად ოსეთის სოფ. ჩმი. ასევე ოსეთის შემადგენლობა-შია ბალთა. ალთა კი ინგუშეთს ეკითვნის.

წანარებია<sup>1</sup> წარმომავლობით,  
                                       წინა მავალნი ცხარე ბრძოლისას,  
მყინვარწვერს ზურგით მიყუდებულნი,  
                                       დაწაფებულნი წყაროს ბროლისას,  
წანარებს იქით ალანებია,  
                                       ჩვენ ოსებს ვეტყვით ერთ ტომის გამო,  
ალანებს იქით თვალუწვდენელი,  
                                       ხაზარისაა მთელი მიდამო.  
ხაზარს კი ვიტყვით, მაგრამ იმათშიც  
                                       შესამჩნევია ტომთა სხვაობა,  
ჩვენ რას გავუგებთ, თავადაც უჭირთ,  
                                       რომ დაადგინონ ვისი, რაობა,  
ასე ამბობენ, მთავარიძალა,, „ქარის ქვეშაა დაბადებულნი,“  
საითაც ქარი შემოუბერავს, იქით გასწევენ გალალებულნი,  
სხვებს, დანარჩენებს,  
                                       თვითონ ხაზარნი უჯიშო-ჯიშად მოიხსენებენ,  
რწმენის მიხედვით ეტყვიან ბერძნებს, არაბს, მუსულმანს  
                                       და აგინებენ,  
ებრაელებიც გამოჩდნენ მათში, რწმენით  
                                       და ლოცვით ებრაელობენ,  
ვინ რას ლოცულობს, არავინ იცის,  
                                       რადგან სხვაობას სხვაფრივ ვერ გრძნობენ,  
თავად ხაკანი და გარემოცვა,  
                                       მარილის კერპებს თაყვანსა სცემენ,  
„ადამ რუხანი“ ჰქვია ანგელოზს, გარე უვლიან  
                                       და მაღლა სწევენ.  
სალოცავები თითქმის არა აქვთ,  
                                       თუ აქვთ მარილის საბადოებში  
ისე არაა, ჩვენ ქრისტიანებს,  
                                       ეკლესიები რომა გვაქვს მთებში,  
მარილის ღმერთმა, იმათი აზრით, ვისაც შეხედა,  
                                       ის არ ბერდება,

---

1. წანარები – კახეთის თიანეთიდან გადასული ქართულ-კავკავკანური ტომი.  
კავკავკანური – მთის იბერები.

ლოცვის მაგიერ ცრემლებსა ღვრიან,  
                  სანამ თავი აქვს არ შეჩერდება,  
სიზმრების სჯერათ, უდარაჯებენ,  
                  სიზმარი სხვასთან არ გაეპაროთ  
გაქცეულ სიზმარს კვალში მისდევენ, შეგხვდებათ?  
                  სჯობს რომ არ გაეკაროთ.  
დაჭერილ სიზმარს ფოთოლში ხვევენ,  
                  ფოთოლს ამდაგვარს კუ-ს ეძახიან,  
ფოთლის მომპარავს მტრად მიიჩნევენ,  
                  წერას უგებენ ადრე თუ გვიან,  
სიზმრის ამხსნელი დიდ პატივში ჰყავთ,  
                  როგორც ჩვენთან მღვდელს, პატივსა სცემენ,  
მაგრამ თუ „ახსნა“ არ გამართლდება, ამხსნელს დასჯიან,  
                  ტანჯავენ, ცემენ.  
სიზმრის დაკარგვა ბედის შეცვლაა,  
                  ცრემლის დაკარგვა უარესია,  
ვერ დაიძინებს ცოდვის ჩამდენი,  
                  ეს რწმენა მტკიცედ დანათესია,  
ხაზარებს უყვართ ბრძოლის ყიუინა,  
                  ნადავლს მისდევენ კიდიდან კიდე,  
რასაც ჰპოვებენ, ცხენს აპკიდებენ,  
                  ერთ ადგილს ფეხი ვერ მოიკიდეს.  
ხაზართა ტომებს ჰყავთ ბელადები,  
                  ბელად-სარდლები მათი პეხია,  
პეხ-ი მიუძლვის მტერზე მაგალ ჯარს, ფალავანია  
                  და უტეხია,  
თავად ხაკანი არის რას-პეხი,  
                  ყველა მეომრის მთავარსარდალი,  
თუმცალა, ხდება, ჯარს სხვას უსარდლებს,  
                  თავად შორიდან უჭირავს თვალი.  
ბელადთა გარდა მათ ჰყავთ მთავრები,  
                  ერისთავს მათში ჰქვია „ტუდუნი“,  
უფროს-უმცროსთა ურთიერთობა დახვეწილია,  
                  არა აქვს ნუნი.

ხაკანი ყველას ბატონი არის,  
                                ყველას სჭირდება მისი ხელდება,  
ოთხ თვეში ერთხელ ერს ეჩვენება,  
                                ყველა საკითხი მას ეკითხება,  
ხაკანს ცალკე ჰყავს მრავლად ცოლები,  
                                ცოლებს მოჰყვება შვილთა სიმრავლე,  
ერთ ცოლთან იმდენს ვერ იყოლიებ,  
                                წელთა სიმრავლით სოფელიც განვლე,  
ჩვენგან სხვაობით, ცოლთა  
                                და შვილთა სიბევრით ხარობს, ირგვლივ ყოველი,  
სიმრავლე ძალად გარდაიქმნება,  
                                ერის დიდების ხდება მქსოველი.  
ორი წელია მოკვდა ბალათურ,  
                                მთლად ხაზარების დიდი ხაკანი,  
ბოლგარებს, ბერძნებს, აქეთ არაბებს,  
                                არა ჸყოლიათ მეტოქე მგვანი,  
რაც თარხანია ახლა ხაკანი, ბალათურის ქე,  
                                მძღავრი რას-პეხი,  
სომეხთ ამირა მიუჩინევია, როგორც დის მკვლელი,  
                                პირის გამტეხი,  
აპირებს კიდეც ამირას დასჯას, ჯარებს აგროვებს,  
                                მარჯვე დროს უცდის.  
„ადამ რუხანი“ თუ შემწედ ექმნა,  
                                მის მტერს საშველად ხელს ვინ გაუწვდის,  
მისი მეორე დაა ატეხი, აფხაზთა მთავრის, ლეონის დედა,  
ჩვენთანაც მიტომ უნდა მოყვრობა,  
                                მძიმე ბრძოლებში გავუხდეთ მწედა,  
ცალ კერძ ხაკანი, მეორე მხარეს,  
                                მოყვრობას ითხოვს არაბთ ამირა,  
ჩვენგან ხო არის, თუ ვიტყვთ არა,  
                                მამულს გვიქცევენ მაინც ყამირად.

ადარნასი ერისთავი (პურაპალატი)

თუ ყოველივე მართლად დახატე,  
                                არ უნდა გვქონდეს დიდი იმედი,

ორი ვეშაპი ჩამოგვეხსნება,  
                            შემობრუნდება სიკეთით ბედი,  
მათი მხრივ რბევა რომ ავიცილოთ, რა უნდა ვთქვათ  
                            და როგორ მოვიქცეთ,  
მტრები ერთმანეთს დაერევიან, მათ ქვეშ არ მოვყვეთ  
                            და არ წავიქცეთ.

არაბი კარზე არის მომდგარი,  
                            თუ დასჭირდება ძალსაც მოირთავს,  
ჩვენი ამირა, სომეხთ ამირას, ეახლება,  
                            ვერ აარიდებს თავს,  
ეს იმას ნიშნავს, ქართლი მათია  
                            და რბევა აღარ გაუძნელდებათ,  
მოგვადგებიან, გადაგვთელავენ,  
                            რომელი არის წინ დაუდგებათ,  
მათთან ხაზარნი ახლოს ვერ მოვლენ,  
                            მყარად გვიცავენ მაღალი მთები.  
კარი ალანთა ჩაკეტილია,  
                            დარაჯად დგანან წანარი ძმები.  
მეორე მხარეს დარუბანდია,  
                            ციხე უპყრიათ მტკიცედ არაბებს,  
ალბანთა მიწა არის დაცული,  
                            არაბთა გამო ვერავინ არბევს,  
ამიტომ ვფიქრობ, თუ ვერ შევძელით,  
                            ორივ მხრივ საფრთხე ვერ ავირიდეთ,  
ისევ სჯობია არაბს მივემსროთ,  
                            მათი ძალები დავიწყოთ რიდეთ.  
ადრეც გითხარით თუ საჭიროა,  
                            მივალ, ამირას ვეთათბირები,  
მტერია, მაგრამ კაცია სანდო,  
                            სამეგობროდ აქვს ლია კარები.

## ნერსე ერისთავი

ჩვენ აქ ვთათბირობთ და გეგმებს ვსახავთ,  
                            ძველს გავიხსენებთ და ვიტყვით ახალს,

თავად შუშანის თუ ვინმებ ჰკითხა,  
ქალი რას ფიქრობს და თავს რას ახალს,  
ჩვენ რომ ამირას პო შევუთვალოთ,  
საქმე ავაწყოთ, მზითევი ვთვალოთ,  
იქნებ გავიგოთ ქალის გულის ხმა,  
თან არ გავხადოთ საქმე საქალოდ,  
რა ურჩევნია ისე ვიცოდეთ, რომ ვთქვათ,  
შევძელით, ნაკლებად ვცოდეთ,  
სადაც შეგვეძლო სიკეთით ხედვა,  
ბოროტად ხელი არ გავიწოდეთ.

## იოანე საბანისძე

ჩემი პატრონი, ნერსე ბატონი, კეთილი გულით,  
ნათელი გონით,  
საქმეს იძიებს, სიმართლეს ბრძანებს,  
ვინ არის ქალის აზრის გამგონი,  
ეგებ ამირა გულს ეხატება, ეგებ არ უნდა მისი გაგება,  
ეგებ ხაკანი უფრო მოსწონდეს,  
რას უკარნახებს ვიცით განგება?  
მედლეს ვიხილედა ვესაუბრე, იყო სიკეთის მავედრებელი,  
მითხვა, შენს ბატონს შევეხვეწები  
და თუ იქნები მისი მხლებელი,  
იცოდე მაინც, მინდა დედოფალ გურანდუხტს  
ფიქრი გავუზიარო,  
ბრძენი ქალია, გზას მიმითითებს,  
ჭკვიანის რჩევა რად ვიუარო,  
კიდეც შევპირდი, თუ ნებას დამრთავთ,  
აფხაზეთის გზას დავადგებოდი,  
მეფის ასულის გავხდე შიკრიკი,  
უკეთესს რაში გამოვდგებოდი,  
აფხაზთ დედოფალს ვეახლებოდი,  
ქალი, რომელიც სიბრძნით განაგებს,  
უცეპ მიხვდება, კეთილად განსჯის,  
მეფის ასულის დარდით ანაგებს.

## იორანე პრიულის ქე

გურანდუხტი ხომ ბიძის შვილია, ცოტა უფროსი  
და ბევრად ბრძენი,  
აფხაზთა მთავრის ლეონის ქვრივი,  
უნდა დავლოცოთ მისი გამჩენი,  
შუშანი რაა, მე და ჯუანშერს დაგვტრიალებდა,  
როგორც მამიდა,  
ასე მოგვდევდა, ასე ვეძახდით,  
ჩემ დას შემორჩა ასე თავიდან.  
ახლა თუ სტანჭავს რაიმე აზრი,  
უნდა გურანდუხტს გაუზიაროს,  
არას რად ვეტყვით, აქ ვართ უფროსნი,  
რომელი არის რომ იუაროს,  
შენ აზრი გვითხარ და უნებლიერ,  
ყველას გვიჩვენე გამოსავალი,  
ხელის მთხოვნელებს უნდა ვაუწყოთ, რომ უფროსი და  
და დედოფალი,  
თავის თანხმობას თუ შემოგვითვლის  
და დაგვთანხმდება რა ვიცით რაზე,  
ხოს ვერ შევუთვლით ხაზართა ხაკანს,  
ვერ შევჩერდებით ვერც ამირაზე,  
მაგრამ ერთი კი ხელგვწიფება  
და რომ დარწმუნდნენ შუამავლები,  
აფხაზთ დედოფალს შიკრიკს ვაახლებთ,  
ხომ დაინახავს მათი თვალები.  
შიკრიკი წავა ჩვენი უსტარით, ჩვენ დას მიართმევს,  
შეევეღრება,  
არ დაიზაროს მალე პასუხი  
და არ მოაკლოს შუშანს ხელდება.  
აქ ამათ ვეტყვით, უნდა გვადროვოთ,  
გურანდუხტია ჩვენი უფროსი,  
უნდა ვიცოდეთ რისი მომხრეა ეგებ არასი ან ეგებ პოსი,  
ან უფრო სულაც სხვა რამ აქვს გულში, დაა  
და უნდა გაგვიზიაროს,

არაა წესი ერთობის მომხრემ, ცალკე იაზროს,  
მარტომ იაროს.

### პუანშერ პრილის ძე

მე კარგად ვიცი შუშანის აზრი  
და თუ მის ფიქრებს ჩვენსას შევადრი,  
დარბაზს ვესწრებით სულ ახლობლები,  
მათ გასაგონად ასე შევკადრი,  
ღრმად მორწმუნეა მეფის ასული,  
უფლის მონაა წრეგადასული,  
უნდა ლოცვაში გატანჯოს ტანი,  
ღმერთს შეავედროს უმანკო სული.  
ვიცი ურჯულოს ის არ გაჰყვება, თუმცა არაა ურცხვი,  
თავნება,  
უცხოს ცოლობას მონასტერს არჩევს,  
ჩვენ თუ მივეცით ამისი ნება,  
ამიტომ ვფიქრობ, დას შევუთვალოთ,  
ფრთხილადა ვთხოვოთ, არ დავავალოთ,  
ლეონს გაენდოს, აზრი გაცვალოს,  
ეგებ მოყვრობის თასი დავცალოთ.  
ლეონი მისი მაზლის ძე არის,  
მისგანვე მთავრად აღზევებული,  
თუ დავმოყვრდებით,  
სამეფო ტახტი იქნება მისთვის გამზადებული.

### იოანე პრილის ძე

ასეთ დიდ საქმეს შიკრიკს ვერ ვანდობთ,  
დარბაზის წევრთა თუა თანხმობა,  
ერისთავ ნერსეს დავავალებდით, ნათესავია  
და მოსდევს ძმობა,  
ჩავიდეს ცხუმს და ანაკოფიას,<sup>1</sup> ნახოს გურანდუხტ,  
ნახოს ლეონი,  
ჩვენი ნაფიქრი გაუზიაროს,  
დარჩენ ერთობის მომხრე-გამგონი.

1. ცხუმი – სოხუმი, ანაკოფია – ახალი ათონი.

ჩვენმა მამებმა თუკი შეიძლეს,  
საერთო ძალით მტრის დამარცხება,  
დაწყებულ საქმეს უნდა გაძლოლა,  
გინც მთავრები ვართ ყველას გვეხება,  
სხვას სხვა აზრი რამ თუ ამოძრავებს, ახლავე თქვას  
და გავიზიაროთ,  
თუ არა, მოვრჩეთ ზედმეტ მსჯელობას, საქმეს მივხედოთ,  
მტკიცედ ვიაროთ.

/ანაკოფია. აფხაზთა მთავარი ლეონ II, სასახლის დარბა-  
ზი. თათბირობენ გურანდუხტ დედოფალი, ლეონ II მთავარი,  
აბაზგების ერისთავი ივანე შავლიანი, ნერსე ერისთავი, იო-  
ანე საბანისძე/

### გურანდუხტი<sup>1</sup>

ახლა ვინ მოთვლის, ურიცხვ მტერთაგან,  
რამდენი ტანჯვა გადავიტანეთ  
წელში არ გავწყდით, ჩვენი დიდება სხვას არ დავუთმეთ  
და გავატანეთ.  
დიდება უფალს, შეგვაძლებინა,  
გვეშენებინა ქვეყნის ერთობა,  
ზევით ჯიქები, ქვევით მურვან ყრუ,  
ომი არ იყო მათთან გართობა,  
ჩემი მეუღლე, ლეონი დიდი, ძმობის აშენა,  
რომელმაც ხიდი,  
მამას და პაპას მხარს უსწორებდა, ერთი გზა პქონდათ  
და შესახიდი,  
ახლა რად მოვშლით ამ მტკიცე კავშირს,  
მონაპოვარი გავანიავოთ.  
თუ სალხინოა, ერთად ვილხინოთ  
და გაჭირვებაც გავიზიაროთ.

1. გურანდუხტი – სტეფანოზ ქართლის ერისმთავრისა და ლაზიკის (ეგრი-  
სის) პატრიკიოსის ძის მირის ასული, ლაზიკის მეფეთა შთამომავალ, აფხ-  
აზთა მთავარ ლეონ I-ის ქვრივი. მირის სამეფო გვირგვინი გურანდუხტს  
ეკუთვნოდა.

ნერსე, ბატონი, ვართ მოხარული,  
შენი სტუმრობის მიზანი ვცანი,  
მოვითათბირებთ, პასუხს გაცნობებთ,  
თან შეგაყოვენთბთ პატარა ხანით.

## ლეონ II, აზხაზეთის მთავარი

ბიძის ქვრივია თუმცა გურანდუხტ, ჩემი გამზრდელი,  
მეორე დედა,  
მაგრამ ჩემს გულში ბიძას მაგივრობს,  
არანაკლებად მხარს მიდგას მწედა,  
რაკი უფალმა ასე ინება, დედა-შვილობა ჩვენი ვალია  
ვინც სიყვარულით აშენა კერა,  
ცხოვრება ტკბილად იმან გალია.  
მე ვინ მასწავლოს ჩემი წარსული,  
განა რა დროა შემდეგ გასული,  
რაც გუბაზ მეფეს უმტრეს ბერძნებმა,  
სიბოროტე ქმნეს წრეგადასული,  
წათეს<sup>1</sup> შემდეგ კი მოსპეს მეფობა,  
პატრიკიოსად<sup>2</sup> მეფე აქციეს,  
ამით სპარსელებს, შემდეგ არაბებს, ვერა დააკლეს  
და გააქციეს.  
ორმოც წლამდეა თითქმის გასული, რაც ბიძაჩემმა,  
ლეონ მთავარმა,  
მომხდურისათვის მღელვარე ტალღამ,  
მოყვარისათვის სიცხეში ქარმა,  
ბრძოლაში ღელვამ დაუნდობელმა,  
ლხინში საამო ნიავის ქროლამ,  
ვინც ვერ დაღალა მოყვრისთვის ზრუნვამ  
და ვერც მოყვრისთვის შრომამ და ბრძოლამ,  
კლისურას აქეთ შემოიმტკიცა,  
იქით ჩააცხრო ჟინი ჯიქების.

1. გუბაზი, წათე – ლაზიკის (ეგრისის) მეფეები VI ს.

2. პატრიკიოსი – ლაზიკის მეფობის გაუქმების შემდეგ, მათ შთამომავლებს და ქვეყნის მმართველებს პატრიკიოსის წოდება უბოძეს ბიზანტიის კეის-რებმა, რაც ქართულ მთავარს უტოლდება.

ძმა დაამოყვრა ხაზართა ხაკანს,  
ლირსი გახადა ერთობა ქების,  
ჩვენ ახლაც იმის დანათესს ვიმკით,  
გაგრძელებაა ჩვენი მცდელობა ,  
გურანდუხტია ერთობის თავი, სულისჩამდგმელი  
და დღეგრძელობა.

## ივანე შავლიანი

კარგია, როცა წარსულს შეაქებ  
და წასულები არ გავიწყდება,  
საქებარს ახლავს საგინებელი,  
მეორის გარეთ ერთი არ ხდება,  
სხვამ თუ რამ იცის, მეც გამიგია,  
აფხაზთა<sup>1</sup> მხარეს როდის რა იყო,  
სად ვინ ცხოვრობდა, ვის ბატონობდა, როგორ ერთობდა,  
როგორ გაიყო.  
გორგასლის დათქმით, კლისურას აქეთ,  
მდინარის აქეთ ფართე მიწები,  
შავლიანების მამული იყო, მათივე იყო დასაფიცები,  
შავლიანები დიდი გვარია,  
ძალები ზღვიდან აწვდება მთამდე,  
სხვას თუ არა სწამს ჩვენი დიდება,  
იქით რად ითხოვ რომ ჩვენა გვწამდე,  
შავლიანები, ერისთავები ლაიას აქეთ აფხაზეთს ვიცავთ,  
პატრიკიოსად ლეონი ვცანით,  
პატრიკიოსის სახელსა ვფიცავთ.

## იოანე საბანისძე

ხომ არა ფიქრობთ შავლიანები,  
ვინც კახეთიდან აქეთ მოვედით,

1. აფხაზთა მხარე – ფართე გაგებით მოიცავდა ტრაპეზუნიდან – მდინარემდე მცირე ხაზარეთისა (ამჟამად რუსეთის, კრასნოდარის მხარის მდ. ნოვოცხაველი) ქველ დროში მას მდ. ლაია ენოდებოდა, ზღვასთან მდინარის შესართავთან მდებარებობდა გამაგრებული ნავსადგური ლაიაში, ძვ. წ. ა. I
2. იგი პომპეუსმა გაამაგრა და ნიკოფისია უწოდა. მხარე მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა.

უცხო თესლი ვართ, არც არა ვიცით,  
 როდის რა იყო თქვენგან მოველით.  
 ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი წარსული,  
 ეგროსის<sup>1</sup> მიერ აღზევებული,  
 შორს გატანილი აიეტისგან,<sup>2</sup>  
 მედეას<sup>3</sup> გამო დამნუხრებული.  
 საკმარისია, რომ მოვიგონოთ,  
 მდინარე, რომელს არქვით კლისურა,  
 ადრე კორახად იწოდებოდა,  
 ტომმა კორხების ასე ისურვა,  
 სწორედ ეს წყალი ძველ კოლხებისა  
 კეისრისისათვის იყო საზღვარი,  
 გრძელი კედელი ზღუდედ გასდევდა,  
 და არც გქონიათ სხვა ამდაგვარი.  
 იქით ვინც დარჩით, ტომი მრავალი,  
 აფხაზთა მხარე მანვე უწოდა,  
 თავის ჯარები ჩამოაყენა, საშველად ხელი გამოუწოდა,  
 შავლიანები, ვინც ფარნავაზმა,  
 ერისთავ ქუჯის დაუმორჩილა,  
 აფხაზეთს დასხდნენ ერისთავებად,  
 ერმა დაყოფა ვერ აიცილა.  
 ლაზთა<sup>4</sup> სამეფოს მოწყდა ნაწილი,  
 კორახ, პენის<sup>5</sup> წყალს იქითა მხარე,

- 
1. ეგროსი – ლეონტი მროველის თანახმად თარგამოსის საშუალო ვაჟი, ეგრძების ტომების გამაერთიანებელი და პირველი სამეფოს დამაარსებელი. თავად თარგამოსი, ნოეს უფროსი ვაჟის იაფეტის შთამომავალი (უფრო ფართედ, იხილე „გაყრა“).
  2. აიეტი – საპელაზგოში (დღევანდელი საბერძნეთი) ქალაქ-სახელმწიფო კორინთოსა და კოლხეთის მეფე. იძულებული იყო კორინთო მიეტოვებინა და კოლხეთში დაფუძვნებულიყო საბოლოოდ.
  3. მედეა – აიეტის ასული. კორინთოში მეფობის დაბრუნების მიზნით, დაესმარა არგონავტებს ოქროს საწმისის გატაცებაში და თავადაც თან გაპყვა (უფრო დაწვრილებით იხილე „ილი“ და „აიეტი“. ამავე ავტორის).
  4. ლაზთა – ლაზიერის (ეგრისის) სამეფოს მოსახლეობის წამყვანი ნაწილი ლაზები-მეგრელები-აფხაზებია.
  5. პენის წყალი – დღევანდელი მდ. კოდორი (პენიოხების ტომთა გაერ-

ჰენიოხების ტომიც გაიყო,  
ერთობით დიდხანს ვერ გაიხარეს,  
იქითკენ დარჩა მდინარეები ლაია, მზიმთა, გუმის მთა,  
ბზები.<sup>1</sup>

მხოლოდ სპერის<sup>2</sup> ზღვამ აერთიანა  
კავკონთა<sup>3</sup> მთიდან მდინარი წყლები.  
წყლები რატომ ვთქვი, ოდითგან წესით,  
ასეთი მოგვდევს ჩვენ დანათესი,  
ტომი წყლის პირას ესახლებოდა  
და იქვე ჰქონდა სახნავ – სათესი,  
ჰენის წყალს აჰყვნენ მისიმინები<sup>4</sup>,  
ჰენიოხების ტომი ძლიერი,  
კლისურა დარჩათ კორხებს თუ კოლხებს,  
ვინც ცხუმის ციხეს მისცეს იერი.  
გუმის მთის მხარე ერგოთ აბსილებს,  
კორხთა განაყარს და იმათ შვილებს,  
იქით ბზები და მალალი მთები გულს გასაყოლად  
მისცეს აბშილებს,  
მზიმთის წყლისა და მზიმთის მთის არე,  
სანიგთა ტომის გახდა მიწები,  
სანიგთა იქით აბაზგებია შავლიანების დასაფიცები.  
აბაზგთა შემდეგ ჯიქებ-ძიგები,  
ხაზარები და ალანებია,  
უფალს წყალობა ამ მზის ქვეშეთში

---

(თიანების მიხედვით). თავად ჰენიოხები ძველი ჰელიოხებიდან (ჰელაზგური მზის ღმერთის ჰელიოსის „შთამომავლები“. აიეტი თავად ჰელიოსის შვილად იწოდებოდა, თუმცა ჰყავდა მიწიერი წინაპრები მამა – მერმერო, პაპა – ილი,

1. მდ. ბზები მდ. ბზიბი ან ბზიფი. სხვანაირად მას კაპოეტის წყალსაც უწოდებდნენ (კაპოეტი-ორაგულის ჯიშის თევზი).
2. სპერის ზღვა – შავი ან პონტოს ზღვა.
3. კავკონთა მთა – კავკასიონი. კავკონები, მთის იბერების ტომთა გაერთიანება, აქ დასახლებულები საპელაზგოდან წამოსვლის შემდეგ.
4. მისიმანები – მისიმანელების სახელწოდებით არსებული სვანური წარმოშობის ტომი, რომელიც ჰენის (კოდორის) ან დალის ხეობაში სახლობდა.

არავისთვის არ დანანებია,  
 ყველა, ვინცა ვთქვი აბაზგთა ჩათვლით,  
     ღმერთ პელიოსის იყვნენ შვილები,  
 მისგან ენოდათ ჰენიოხები,  
     ზღვიდან მთებამდე მხარგაშლილები.  
 ალანთა იქით, ლომეკის<sup>1</sup> მხარეს,  
     ალანთა აქეთ ჯიქებ-ძიგები,  
 კავკონთა მოდგმის ნაწილებია,  
     არ ვამბობ ამას ნიშნის მიგებით,  
 ხედავ? შენ იცი და რაც შენ იცი, იმაზე მეტი გაგვეგონება,  
 ალარ მოვთვალე უფრო წვრილ-წვრილად,  
     ალარ დავძაბე თქვენი გონება.

## ივანე ჭავლიანი

მე კარგად ვიცი ალანთა მოდგმა, ისიც,  
     რომელი ტომი სად სახლობს.  
 ის ვერ გავიგე ძიგებ-ჯიქები თერგის გადაღმა  
     ვის როგორ მძახლობს,  
 მე ისიც ვიცი, რომ გორგასალმა  
     ალანებს როცა შემოუტია,  
 აფხაზებს მისწვდა ჩრდილოეთიდან,  
     სხვას გასავალი არ დაუტია.  
 შენ აქ ამბობდი კავკონთა მოდგმას,  
     მაღალ მთებს ვინაც ჩაჟკონებია,  
 განა ურთერთის ნათესავია, ნუთუ ყველანი კავკონებია?  
 მაშ, ჩვენ ვინა ვართ ეს გამარკვიე,  
     ვისაც აფხაზი ერთად გვიწოდეს,  
 მე თუ არ ვიცი, ანდერძად რა ვთქვა,  
     ასი წლის მერე ვინ რა იცოდეს?

## იოანეს საბანისძი

აფხაზთა მოდგმის ვრცელი წარსული,  
     უხსოვარ დროში ჩაკარგულია,

---

1. ლომეკი – თერგის (დერგის) ძველი სახელწოდება.

„უწმინდურ წიგნებს“<sup>1</sup>-ის მიაკითხავს,  
გარდასულ დროთა ვინც ერთგულია,  
თუ მიაკითხავ, ამოიკითხავ,  
ვინ იყო თქვენი დიდი დარდანი.“  
როგორ დატოვა დელფოს, კორინთო,<sup>2</sup>  
საით ვიდოდა საკმაო ხანი.  
რა იყო მისთვის ილი, მერმერო, აიეტი და თავად მედეა,  
რომელი ღმერთის იყვნენ შვილები,  
ქვეწად ვინ ვისი მოიმედეა,  
გავიმეორებ ტომი მრავალი,  
ვისაც ბერძენმა არქვა აფხაზი,  
მზის ღმერთ ჰელიოსს თაყვანსა სცემდა,  
ასეთი ჰქონდა ბედის ნახაზი.  
ჰელიოსები ბევრია რიცხვით,  
ნელის ხეობებში მიმოფანტული,  
ყოველი თავის კილოზე მღერის,  
თავისი საქმით არის გართული,  
დრონი გავიდნენ, მოწყდნენ ერთმანეთს,  
ერთს მეორესი აღარც კი ესმის,  
ნათესაობას გაიხსენებენ,  
გარეშე მტერი თუ თავს დაესხმის.  
დრომ გაიყოლა ძველი ღმერთები,  
ჰელიოს ცვალეს ჰენიოსებმა,  
ენა იცვალეს, რწმენა იცვალეს,  
არ მოსდომნიათ წარსულთან შებმა,  
გამოიკვეთა ბოლოს საერთო,  
საერთო არის მშობელი მიწა.  
სადაც რომელი ტომი მოსახლობს,  
სადაც რომელის აკვანი ირწა,  
ამ მიწას ჰქვია დღეს აფხაზეთი,  
ყველა ტომისთვის მიწაა ერთი,

1. უწმინდური წიგნები – ქრისტიანობამდელი წიგნები, ისტორიული ცნობის თანაბეჭდ.

2. დარდანი – კორინთოს მეფე, დელფოსის მფლობელი, გამოქვებული სამშობლოდან, მითოლოგიური გენეალოგიის მიხედვით აიეტის წინაპარი.

ჰენიოხები ყველასა ჰქია,  
ყველას საერთო გაუჩინდა ღმერთი.  
ხვალ რა იქნება არავინ იცის, ვინ გახდება ცის,  
დარჩება მიწის,  
კაცი მარადუამს ცეცხლში ტრიალებს, ცას ავარდება,  
ქვესკნელში იწვის.

## ლეონ II, აზხაზოთის მთავარი

წარსულის ცოდნა, წარსულზე ფიქრი,  
მოგონებებზე ანაგებია,  
დღეს ხვალის საქმე უნდა ვაკეთოთ,  
გავყოთ წასაგებ-მონაგებია,  
შავლიანებს, რომ გულსა აქვთ ხინჯად,  
ხელთ ვერ მოიგდეს ერის მთავრობა,  
ვერ შეჰქორეს ერი მიმოფანტული,  
და ვერ აჩვენეს ჯიქებს მძლავრობა.  
ეს განა მარტო მათია ბრალი,  
მტერმა დაგვივსო ჩვენ ყველას თვალი,  
მთლად აფხაზეთი გაატიალეს,  
გაგხდით მონები და შესაბრალი,  
მხოლოდ აბაზგეთს, უნდა იცოდეთ  
და მათი ცოდვით კიდეც იწოდეთ,  
ორჯერ გაწყვიტეს მოსახლეობა,  
ერისთავებმა ორჯერ შესცოდეთ.  
მადლობა უფალს, ახლა ერთად ვართ  
და ერთად ვებრძებით საერთო საქმეს,  
თუ გაგვიმართლდა დიდი მცდელობა, რა ბედენაა,  
ვინ რას დაარქმევს.

## ვერსე ერისთავი

მთავარო ლეონ, დიდებულებო, შორი გზა განა  
მიტომ ვიარე,  
სად ვჩერდებოდი, მოძმეს ვხვდებოდი,  
მათი გულისთქმა გავიზიარე,

მეფე არჩილის ძეთა სახელით, მოველ  
და შენგან პასუხს მოველი,  
ჩვენში ერთობა ისედაც სუფევს,  
უფრო მეტის ვართ მდომელ-მქსოველი.  
შენმა ძიამ და მეფის ასულმა,  
როცა ცოლ-ქმრული კავშირი შეკრეს,  
კლისურას აქეთ, ხაზარეთამდე,  
მიზანი მისცეს ტომების შემკრებს,  
შენ ხარ მთავარი ამ აფხაზეთში,  
აფხაზეთი კი უფრო დიდია,  
შორავანამდე<sup>1</sup> ყველა შენ გელის,  
იმათი ბედი შენზე ჰკიდია,  
შენ ისედაც ხარ მეფის მემკვიდრე,  
მირის სხვა ვაჟი არ დარჩენია,  
არჩილის ასულს თუ შეუღლდები,  
ორივე ხაზით ტახტი შენია.

## გურანდუხტი

მოხარული ვარ, რომ ჩემი ძმები, არჩილის ძენი,  
ასე ფიქრობენ,  
ნათესაობა თუ განმტკიცდება,  
ერთობა შეგვკრავს აშკარად გრძნობენ,  
ცუდი როდია შეკავშირება, მაგრამ ამ სურვილს  
სხვა რამეც ახლავს,  
თქვენ ორ დევს შორის მოქცეულები,  
გადმოგვილოცავთ ჩვენ თავში სახლავს,  
ჩვენ ისედაც გვაქვს მეფის გვირგვინი,  
მამამ ნიშანი მე დამიტოვა,  
მე ის ლეონის გავუნაწილე, როცა შემირთო და ჩამექსოვა.  
ქმარი მომიკვდა, მოგვიკვდა მეფე,  
მაგრამ ხომ დარჩა მეფის გვირგვინი,  
მე ის მაზლის შვილს გადავუღლოცე,  
აღარ ვიჭყლიტე სხვა აზრით ტვინი.

1. შორავანი – შორაპანი. ვანი (თურქეთში), სევანი (სასომხეთში), თაფარავანი (ფარავანი) შორა ვანი, ვანი ეგროსის განვლილი გზაა.

ჩემი სახელით, ჩემი გვირგვინი,  
ჩემი მეფობა დღეს ლეონს ერგო,  
ვინც ჭკვიანურად მიიღო ძლვენი,  
სამემკვიდრეო იმას შეერგო,  
ლეონის ბედი მე გადავწყვიტე, მეფეა,  
თუმცა ჰქვია მთავარი,  
მოვა დრო სათქმელს გამოამჟღავნებს  
და არ ექნება იმ საქმეს ბზარი.

### ივანე შავლიანი

თუ ასე არის, რაღას აყოვნებთ,  
ჩვენ საკეთებელს მივყვეთ ბოლომდე,  
კატაც რომ იყო, თუ დრო იხელთე, თუ შეგიძლია,  
უნდა გალობდე,  
შენ წინ რა გიდგას, დედოფლის მჯერა  
და გადაწყდება აფხაზთა ბედი,  
მთლად აფხაზეთი შემოვიერთოთ, ვლოცოთ უფალი  
და შემოქმედი.

### ლეონ II , აზხაზეთის მთავარი

შენ რომ აქ გასჭერ, ასე არ არის, გვირგვინის გარდა,  
არის კაცობა,  
არჩილის ძეთა წინ გადავუდგე, არც ხუმრობაა  
და არც ანცობა,  
ლეონ ბიძიას არჩილ მეფესთან  
ასეთი ჰქონდა მტკიცე პირობა,  
კლისურას აქეთ, ხაზარეთამდე,  
გამოჩნდებოდა მისი გმირობა.  
კლისურას იქით არჩილი იყო,  
ახლა მთავრობენ მისი შვილები,  
ჯუანშერი და იოანეა,  
არაბთა გამო ვერ მოცლილები,  
არაბთა გამო მხოლოდ მთავრობენ,  
მეფობას კი ვერ აღიარებენ,

მე მათ ვუყელო, ძმობა მოვშალო,  
ვიცი ხმასაც არ ამოიღებენ,  
მაგრამ კაცობის გრძნობას რა ვუთხრა,  
იმ ქვეყნად ბიძას როგორ შევხვდები,  
მე მირჩევნია, დავრჩე მთავარი,  
დრონი მეფობენ თუკი მიხვდები.

## ნერსე ერისთავი

შენი კაცობა უნდა დავლოცო  
და საფიცარი შენი მშობელი,  
პირნათელობა კაცის ფასია,  
გულმართალი ვარ ამის მთხრობელი,  
ჩემ მეუფეებს გადავცემ ნათქვამს,  
ერთგულის სიტყვით კიდეც იხარონ,  
მათი სურვილი – და მოგათხოვონ,  
შუშანის ჯავრი გადაიყარონ.  
ერთობას უფრო განამტკიცებდა, შეაერთებდა,  
ძალას შესძენდა,  
ერთი გვაქვს ჯიში, ერთი გვაქვს რწმენა,  
ჩვენი წარსული ერთად აშენდა,  
დღეს უნდა ხვალეს მივცეთ სათავე,  
მომავლის ბედი დღეს უნდა ვჭედოთ,  
მომავალმა თქვას: ჩვენთა წინაპართ,  
ჩვენთვის ანთებულ სანთლად შევხედოთ.  
შუშანი აქეთ თუ დავინახეთ,  
ჩვენი ერთობა ხომ განმტკიცდება,  
ველარც ხაზარი და ვერც არაბი,  
ქალისთვის წინ ვერ გადაგვიდგება,  
ვიცი თქვენ ცალკე მოითათბირებთ,  
პასუხი უნდა დაწონ-აწონოთ,  
ისე რომ მტერი არ გავახაროთ,  
მაგრამ მოყვარეც არ დავალონოთ.

## გურანდუსტი

თქვენ თქვენი აზრი არ დაგიმალავთ,  
ჩვენც არ ვაპირებთ კუკუ-მალობას,

ულამაზესი არის ძმის წული,  
ვერ დაუნუნებ კეთილ ქალობას,  
ჩამომავლობაც მეფისა შვენის, უძველესი აქვს გვარი  
და ჯიში,  
ყოველ სამეფოს დაამშვენებდა,  
რა საჭიროა ენით ვარჯიში.  
მაგრამ ერთია ძალზე საეჭვო  
და დაფიქრება დიდი გვჭირდება,  
თუ არ მივიღეთ მხედველობაში,  
ბოლოს სულ ყველას გაგვიჭირდება,  
თქვენ კარგად იცით ლეონის დედა,  
ხაკან თარხანის ღვიძლი და არის,  
მოყვრობის ძალით მტკიცე გვაქვს ზურგი,  
არც გასჩენია ერთობას ბზარი.  
ახლა, თუ თარხანს უყვარს შუშანი,  
მოსურვებია მისი ცოლობა,  
ჩვენ ჩავერიოთ, ქალი წავართვათ,  
განა გამოვა ძმობა-ტოლობა?  
სანამ ბალათურ იყო ხაკანი,  
ჩვენში არ იყო სიტყვის გამტეხი,  
მიტომ ვითხოვეთ მისი ასული,  
მაზლს მოვუყვანეთ ცოლად ატეხი,  
ქალმა იცვალა რწმენა და ნირი, ჩვენი მიიღო,  
ხაზარულს სცოდა,  
ქმარს დაუფასა კაცური ზრუნვა,  
მაზლის სახელი პირმშოს უნოდა,  
ის დრო წავიდა, წავიდნენ ბევრნი,  
ლეონს დაუდგა მთავრობის ხანი,  
ხაზარეთშიაც ბალათურის წილ,  
თარხანი გახდა მათი ხაკანი.  
მე მას არ ვიცნობ, იცნობს ლეონი,  
დალაგებული არაა მგონი,  
დის წულს არა მტრობს და არცა მოყვრობს,  
არა ვარ მისი ქების გამგონი,

ჩვენ რომ ვითხოვოთ ახლა შუშანი,  
   ადრე ხაკანს თუ მოსწონებია,  
 თუ არ დაგვარბევს, არც გვაპატიებს,  
   ეცდება ჩვენთვის რაც სავნებია.  
 ამიტომ ვფიქრობ, მთავარ ლეონთან,  
   დედის მაგიერ რჩევა მექნება,  
 უნდა ვიცადოთ, სანამ არ ვიცით,  
   როგორი არის თარხანის ნება,  
 ქალის გულისთვის, თუმც ძმის წულია,  
   აფხაზეთს ვერვის დავარბევინებ,  
 ქმრის ნაამაგარს ქარს ვერ გავატან,  
   მომავალს აუგს ვერ ვათქმევინებ.  
 ჩემი აზრია, ჯერ შევიცადოთ,  
   თარხანის აზრი კარგად გავიგოთ,  
 პოს რომ ვერ ვამბობთ, არაც არა ვთქვათ,  
   მოთმენის სიბრძნის კოშკი ავიგოთ.

## ლონ II, აჭხაზეთის მთავარი

მეფეთა აზრი, დიახაც მომწონს,  
   არ იქნებოდა ჩვენთვის ურიგო,  
 შენი თუ არ გაქვს საკმაო განძი, სხვას რაღა მისცე  
   და დაურიგო,  
 ერთი მხრივ მართლაც კარგი აზრია, ქალი ლამაზი,  
   გვარი სამეფო,  
 როგორი უნდა იყო უგონო მთვარეს აგინო,  
   კიდეც დაჲყეფო.  
 ეს დამოყვრება სასურველია  
   და გადავწყვეტდი მალევე ამბავს,  
 მაგრამ თუ ვინმე დაუკვირდება,  
   მეორე მხარეს პირველს მიაბავს,  
 აღმოჩნდება, რომ რაც იყო კარგი, სასურველი  
   და გულის საამო,  
 გადაიქცევა მიუღებელად, რაც მას მოჲყვება  
   იმ ამბის გამო.

ჯერ ერთი, ჩემი დედის ძმა არის,  
მისი ლალატი კი არ ეგება,  
კაცი, რომელიც მოძმეს უგანებს, თავს წააგებს  
და გადაეგება,

ვინაც გაიგებს, როგორ რა არის,  
მის თვალში მუდამ ვიქნები მცდარი,  
თვითონ თარხანი გახდება მტერი, გინდა ცოცხალი  
და თუნდა მკვდარი.

ვთქვათ და ეს მტრობა თავს ავირიდე,  
შემოვირიგე მძლავრი ხაზარი,  
მოძმეს თვალებში როგორ ჩავხედო,  
რომ არ დაეცეს მართალს თავზარი,  
როგორც გავიგე, მეორე მხარეს,  
არა ნაკლები საფრთხე მომელის,  
სომეხთ ამირა ალიჭურვება,  
არაბთან ომში მე ვინ მიშველის.

კეისარი რომ დამიდგეს გვერდით,  
მშველელად მაინც არ გამოდგება,  
მე დავაშავებ, მარტოს მომინევს,  
მტერ-მოყვარესთან პასუხისმგება.

ამიტომ ასე გადავწყვეტ საქმეს,  
მომწონს მოყვრობის წინადადება,  
მაგრამ პასუხზე თავს შევიკავებ,  
მომინევს მისი გადავადება,  
ნერსე ერისთავს, მის თანმხლებ პირებს,

ჩემთან დაგტოვებ, იყვნენ სტუმრები,  
ერთად ვიზრუნოთ და გავისარჯოთ, ვინადიროთ  
და გავშალოთ მხრები.

ამასობაში დიად ივანეს, შავლიანების გოროზ ერისთავს,  
დავავალებდი მძიმე სამსახურს,  
ვიცი ისედაც გადადებდა თავს,  
მაგრამ აჯობებს ასეთი საქმე

სიტკბოთი იყოს გაჯერებული,  
ამიტომ ვთხოვდი, არ ვუბრძანებდი,  
როგორც სჩვევია გარჯა ქებული.

ჩვენ სასიკეთოდ წარმოიმართოს, ხაკანს ეწვიოს,  
საქმე გამართოს,  
რას გადაწყვეტავს დედის ძმა მამცნოს,  
კარგი ამბების ცნობით გამართოს.

## ივანე შავლიანი

ხაზარეთს წასვლას რად დაგზარდები,  
გზად ცოლ-შვილს ვნახავ, იქ გავჩერდები,  
ჯალაბობასთან გულს გავაყოლებ,  
იქიდან ჯიქეთს გავემართები,  
შემდეგი გზები ვაკეზე გადის,  
ალანთა მთავრებს უყვართ სტუმარი,  
მოვიკითხავ და მომიკითხავენ,  
არა მჩვევია დავრჩე მდუმარი.  
ალანთა ზევით ხაზარეთია, გზას ვერ გაიგებ,  
საზღვარს ვერ ნახავ,  
ბევრიც ეცადო ნაპირს გახვიდე,  
იმ ტრიალ მინდვრებს ვერ გადალახავ-  
უგ-რუ-ს<sup>1</sup> ნაპირზე სემენდერია<sup>2</sup>,  
ხაკანის ვრცელი ციხე-დარბაზი,  
მივეახლები, ფეხქვეშ გავუგო ჩვენი მოკითხვა  
ვით ფიანდაზი,  
დაველოდები, ამბებს გავიგებ,  
ვეცდები მყისვე შეგატყობინო,  
შენი მიზანი, ჩემიც ხომ არის, რად დავიზარო  
და გაწყენინო.

/ქალაქი სემენდერი, ხაკანის (კაგანის) სასახლე მდ. თერ-  
გის მახლობლად, თათბირობენ რას-პეხი, ხაკანი თარხანი,  
ივანე შავლიანი, პეხი ბლუ ჩანი და პეხი ჯებუ/

1. უგ-რუ – მდ. თერგი. თერგის სახელწოდებაც, დროთა ვითარებაში, იცვ-  
ლებოდა. ლომევი, დერგი, თერთი. ხაზარები მას უგ-რუს უწოდებდნენ.
2. სემენდერი – ქალაქი თერგის პირას (ისტორიული ადგილი უცნობია). ხა-  
ზარებს სამი დედაქალაქი ჰქონდათ. მთავარი იყო ატილი (ტარკი), ვოლგის  
დელტაში, ალ ბეიდა და სემენდერი (სამწუხაროდ არც ერთი მათგანი მი-  
გნებული და გამოკვლეული არ არის).

## საკანი თარხანი

აბაზებისგან, მცირე მდინარე, გაგვყოფს  
და გაგვდევს მთელ საზღვრისპირას,  
აქეთ გადმოხვალთ თუ ჩვენ გადმოვალთ,  
არც მტრობას ვთესავთ, არც ვიხდით ქირას,  
ამ მეგობრობას სხვა რა სჯობია, ვიყოთ მეზობლად,  
გვქონდეს პატივი,  
იქით ნავი გაქვთ გადმოსასვლელად,  
ჩვენც შეგვიძლია რომ შევკრათ ტივი.  
ვიდრე ბალათურ, მძლავრობდა ქვეყნად,  
ყოველი მხარით იყო რას პეხი,<sup>1</sup>  
ირგვლივ ელავდა მისი მახვილი,  
მტერს ეცემოდა, როგორც ხეს მეხი,  
ჩვენ გვმორჩილობენ ვიატიჩები, მორდველები  
და ყველა სლავები,  
აღმოსავლეთის ზღვას<sup>2</sup> გარე უვლით,  
შემოწვდილი გვაქვს მძლავრი მკლავები,  
ჩერნიგოვიის, კიევის მთავრებს ხარკი  
პატივად მიუჩნევიათ.  
არ აწყობთ? ვერსა გაგვიბედავენ,  
ვერც ამჟღავნებენ რა ურჩევიათ,  
ჩვენ ბულგარები ისტრამდე<sup>3</sup> ვდიეთ,  
აქეთ წარმოსავლას ვეღარ ბედავენ,  
აქეთ თვალები აქვთ დაგსებული,  
მხოლოდ სხვა მხარეს გზა-კვალს ხედავენ,  
ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირი, მეგობრობა  
და ვაჭრობა ხშირი,  
ორივე მხარეს სიკეთეს მატებს, რად დავიჩივლო  
ანდა ვთქვა ძვირი.  
იმათი მღვდლებიც მოდიან ხშირად,  
რაღაცა აზრებს პყიდიან ძვირად,

1. პეხი – სარდალი, რას პეხი მთავარსარდალი.

2. აღმოსავლეთის ზღვა – კასპიის ზღვა.

3. მდ. ისტრა – მდ. დუნაი.

მუდმივ „ქარის ქვეშ დაბადებულებს“,  
მათი წათევამი არ გვიჩანს ჩირად,  
ვინც მათ წესს მისდევს, ბერძენს ვეძახით, თუმცა ჩვენია,  
ხაზართა ძენი,  
ჯვარზე გაკრულის თაყვანისცემა,  
არ არის ჩვენთან გამოსაჩენი.  
ეს იმ ხაზარებს უნდა მოსწონდეთ, ვინც მათთან ვაჭრობს,  
მათი სწორია  
ვინაც გაიყო მათი კარიბჭე, ბოსფორია თუ ფარნაგორია,  
ჩვენ მხოლოდ „ადამ რუხანს“ ვცემთ პატივს,  
ის არის ჩვენი მამა და რწმენა,  
სხვას ვერ ვიგუებ და ვერც ვილოცებ,  
ვერც მობრუნდება საქებრად ენა,  
ამას რად ვამბობ, ვიტყვი ახლავე,  
თუნდაც სატუმრისათვის ეს იყოს მწვავე,  
მსურდა, სამხრეთით ძმები მყოლოდა,  
დის ხელი ვთხოვე და დავეზავე.  
ხედავ, გაბედეს, შემომითვალეს, ვერ დავუჯერე სმენას  
და თვალებს,  
პირობად უნდათ მე რწმენა დავთმო,  
ეტყობათ ბედი ცუდად ანვალებს,  
მაგათ ჰელინიათ თუ წანარებმა,  
კარი ალანთა მტკიცედ ჩაკეტეს,  
ხეზე გაკრული მცველად დადგება,  
ვინც ჩემი რისხვით ვერ გაიმეტეს.  
კარგ დროს მესტუმრე აბაზგიელო, მეგობრად სანდოვ,  
ომში ძლიერო,  
ერთგულო, ლეონ ჩემი დის წულის,  
მისი წყალობით სვებედნიერო,  
რამდენ ფარსახით<sup>1</sup> შორსა ხარ ჩვენგან,  
რჩევა იმდენად მეტადა ფასობს,  
კეთილი სიტყვა მისაღებია,  
მწარე შიშველ მკერდს ისარს დაასობს.

1. ფარსახი – მანძილის საზომი. ფიქრობენ ერთი ფარსახი 5,5 კმ. უტოლდებოდა (შეიძლება ფეხით მოსიარულის დღიური გასავლელი მანძილი იყოს).

შენ უფრო მეტი იცი იმათი, ჩვენიც გაიგე, გაიზიარე;  
აფხაზეთიდან სემენდერამდე,  
მანძილი მცდარად ხომ არ იარე.

## ივანე შავლიანი

როგორც თქვენა ხართ დაყოფილები  
და მაინც ბედით კმაყოფილები,  
ისე ვართ ჩვენაც სხვადასხვა ტომად, მთებს მიყუჟული,  
ხელგაშლილები,  
შენ თქვი მდინარე ჩვენში საზღვარი, ჩვენ ვიტყვით,  
მცირე ხაზარეთისა,  
აბაზგთა ტომი მოსახლობს იქით,  
ნაწილი დიდი აფხაზეთისა.  
ჩემ გვარს ეკუთვნის ერისთაობა,  
შავლიანები მძლავრი გვარია,  
ცხუმამდე ჩემი იყო კუთვნილი,  
მამულშიც ვეღარ გამიხარია,  
ზუსტად ორასი გავიდა წელი,  
ლაზიკის მეფეთ დაგვრიეს ხელი,  
პატრიკიოსად დაცემულებმა,  
ჩვენ მოგვიქნიეს სიკვდილის ცელი.  
სამოცდაშვიდი წლის წინადელი,  
ერს ახლაც ახსოვს ის საწადელი,  
პატრიკიოსმა გიორგიმ შეძლო  
და გაგვიჩინა სადარდებელი,  
მთლად აფხაზეთში არაბნი დასხა,  
ტომთა ციხეებს კლიტენი ახსნა,  
მტარვალს ჩაუგდო ჩვენი ცოლ-შვილი  
და მოუნდომა ასეთი ახსნა.  
ვითომ კეიისარს ემდურებოდა,  
კეიისრის სამტროდ იხმო არაბი,  
გუბაზის სისხლის სურდა აღება, მას რას აუშვებ,  
რაც კი არ აბი?  
ხო და დაგვჭირდა, ხანგრძლივი ომი,  
სისხლის ზღვა იყო მისი საზომი,

ლეონ მთავარი, პატრიკიოსი,  
იყო არაბთა გაულეტის მდომი,  
ჯერ სტეფანოზი, ქართლის მთავარი,  
მერე ძები არჩილ და მირი,  
ლეონთან ერთად მტერს მიჰყიოდნენ,  
აფხაზთა ტყვევნა დაუჯდათ ძვირი.  
დღეს აფხაზეთი ლიხის მთებამდე,  
არაბებისგან გაწმენდილია,  
ამ ძნელ საქმეში აფხაზ-ქართველთა გვერდით მებრძოლი  
ხაზართ წვლილია,  
ამას რად ვყვები, არა იმიტომ, როდის რა იყო  
შენ არ იცოდი,  
ბალათურ ხაკანს ერთგულად ვყავდი,  
მასთან ვიბრძოდი, მასთან ვიწოდი.  
შედეგი რაა? არაბი ვდევნე, ნაცვლად  
ლეონი მეფედ დამიჯდა,  
თავისუფლება ვერ მოვიპოვე,  
ნაგების ფასად ომი დამიჯდა,  
შენი დისწული დღეს მყავს ბატონი,  
მომართული აქვს ჭკუა და გონი,  
სულ იმას ცდილობს ხელში მომიგდოს,  
ჩემში იხილოს მონა გამგონი.  
ახლა ასე აქვს მოფიქრებული,  
ყველას ერთბაშად მოგვიკლას გული,  
მზეთუნახავი, მეფის ასული,  
რომელზეც შენ ხარ შეყვარებული,  
ცოლად დაისვას, ცოლ-ქმრობის ძალით,  
ქართლი აფხაზეთს აერთიანოს,  
მეფედ დაჯდეს და ძალი მოირთას, მტრებს  
და მეგობრებს ერთგვარად გვავნოს.  
მაშინ არაბებს გაუმკლავდება,  
არ დასჭირდება ხაზართა ჯარი,  
მე კი მონა ვარ, მონად დავრჩები,  
შენთვის ხაკანო როგორი არის?

## საკანი თარხანი

ძალაუფლება მძიმე ტვირთია, მამა შვილს ებრძევის,  
ძმა ძმას არ ინდობს,  
დაეკარგება მეფის გვირგვინი, ბრმას, მოღალატეს,  
სუსტსა და მიმდობს,  
ეს კარგად ვიცი, მიტომ ვარ ფრთხილი,  
ფიცილი რწმენად არ მიმიღია,  
მაგრამ თუ ვატყობ კაცს ერთგულებას,  
კარვის კარები მისთვის მაქვს ღია.  
დიახ, მსმენია შუშანის ქება, ულამაზესი არის ასული.  
ნახატი ვნახე, გულს ჩამივარდა,  
გრძნობა მერევა წრეგადასული,  
დავჯექ, ვიფიქრე, ქართში ვინ მეფობს, იოანეა  
და ჯუანშერი,  
ერთიც, მეორეც ჯერაც უშვილო, ბედოვლათი  
და საკმაოდ შტერი.  
თბილისში უზით სუსტი ამირა, მეფე რომ ითმენს  
და არ აძევებს,  
ის რა მეფეა და რა სარდალი,  
მტერს არ უჩვენებს ვაჟკაცის ჩვევებს,  
თუ დას შევირთავ, ქალს ულამაზესს,  
მეც ხომ მექნება მაშინ უფლება,  
სამში იქნება გამარჯვებული,  
ვინც სამეფო ტახტს დაეუფლება.  
პეხი ბარჯილი, ბუზანის<sup>1</sup> მხარეს,  
ქვეყნის საქმეებს რომ განაგებდა,  
გამოვიწვიე, კახეთს ვაწვიე, ერთგული ჩემთვის  
თავსაც დადებდა,  
ჩავიდა, უთხრა ჩემი სურვილი,  
იცნა ამ საქმეს არაბიც სდევდა,  
იბნ უსაიდი, ყოფილი სიძე, ვინც გაუჩინა ხაკანეთს სევდა.  
იქით არაბი, აქეთ ხაზარი,  
ქალის ვიყავით ორივ მთხოვნელი,

1. ბუზანი – მდ. დონი ხაზარულად.

მე რა ვიცოდი შენი მთავარი,  
იგივეს იყო თურმე მდომნელი,  
ეგებ ამიტომ ჩემი სურვილი,  
ქალწულის ძმებმა ყურად არ იღეს,  
აქეთ ბრალდებით, თხოვნით, პირობით,  
მაცთური რჩევით სმენა წაიღეს.  
ასე ამბობენ, ქრისტეს რჯულს ფიცავს  
და არ გადავა რწმენას შუშანი,  
სასიძო თვითონ გაქრისტიანდეს,  
ასეთ ნათქვამში დაცინვა ვცანი,  
ამიტომ იყო, მწარედ დავსაჯე,  
თავის მოკვეთით მოვკალ ბარჯილი,  
ცუდი პასუხი ვინც გამიბედა,  
ვინაც ტყუილად იყო გარჯილი.

## ივანე ჭავლიანი

იგივ პასუხი და დარიგება, არაბთ ამირას გაუნაწილეს,  
თითქოს უნდოდათ მეგობრად ყოფნა,  
მაგრამ დაცინვა ვერ აიცილეს,  
იაზიდ მწარედ გაანაწყენეს და ის საომრად მომართულია,  
თუ გადაწყვიტა ქართლზე წამოსვლა,  
თავის დალწევა ძალზე რთულია.  
ქართლს მოაოხრებს, კახეთს მისდგება,  
სისხლიან რბევას როცა მორჩება,  
ქალსაც ხელთ იგდებს თვალით უნახავს,  
როგორც ისურვებს ისე მოხდება,  
ლეონ მთავარს კი რა შეუძლია,  
ვერ აღუდგება არაბთა ძალებს,  
თუნდაც ვაჟკაცი მიწაზე მდგომი,  
ზეცაში არწივს რას დააძალებს.  
ამიტომ ლეონს ერთი გზა დარჩა,  
ძიას გეხვენოს დახმარებასა,  
ლუკმა, რომელიც გაქვს დასაღეჭი,  
საკუთარ ნებით დაუთმო სხვასა,

ეჭვი არ არის, როგორ გადაწყვეტ,  
                  საკუთარს დათმობ დის ნულის წილად?  
ძლიერს თავისთვის უნდა ყოველი,  
                  სუსტი იქცევა ვითომ გულჩვილად.

## ხაპანი თარხანი

ლეონს პატივს ვცემ, დისწული არის,  
                  არ არის ჩვენთან პირის გამტეხი,  
ასეთი იყო მისი მამის ძმაც,  
                  მიტომ მივეცით სარძლოდ ატეხი,  
ატეხი ჩემი უფროსი დაა, თავის ქალობით გამორჩეული,  
ქმრის ერთგულება და სიყვარული,  
                  ქალის წესია ჩვენთან ჩვეული.  
მიტომ არავის გაკვირვებია,  
                  როცა ბერძნულად რწმენა იცვალა,  
აფხაზთა ადათ-წესი მოირგო, არ გაჯიუტდა  
                  და არ იწვალა,  
იგივე მოხდა ხათუნის წილად, იბნ უსაიდმა, რომ მიიყვანა,  
ჰარამხანაში უჩინა ბინა,  
                  რწმენის გამოცვლაც არ დაახანა,  
სხვაფრივ არ იყო არაბი მარჯვე,  
                  აფხაზთა მთავარს ტოლს ვერ უდებდა,  
ქალს რწმენის გარდა კაცი რომ უნდა  
                  ან არ ესმოდა ან ვერ უგებდა.  
ახლა მე მაწევს ხათუნის ვალი,  
                  უნდა დამევსოს საბრალოს თვალი,  
თუ არაბს სისხლი არ ვაზღვევინე,  
                  რას-პეხი უნდა დავრჩე საწყალი,  
ჰოდა, თუ დებმა, ვისაც მისთხოვდნენ,  
                  თავისად იცნეს იმათი წესი,  
შუშანმა რატომ არ მიატოვოს ქართველთა რჯული  
                  და დანათესი.  
მიყვარს სიმართლე, სიმართლითა ვსჯი,  
                  სიცრუე მუდამ შემზარავია,

სხვას ატყუებ თუ შენ გატყუებენ, თუ კაცი გქვია,  
ორივ ავია,  
აქ ორი პეხ-ი მყავს მოწვეული, ორივე იცი და გაიცანი,  
ჯებუ ჯერ კიდევ გამოუცდელი  
და გამოცდილი ომში ბლუჩანი.  
მეომრები ჰყავთ გამზადებული,  
მხოლოდ ბრძანებას ჩემსას ელიან,  
გადაუვლიან ადარბადაგანს, მტკვრის  
და არაქსის ნაპირს ლელიანს,  
მოყვრობა მსურდა და არა ომი,  
ქართველთა ტყვევნის არ ვიყავ მდომი,  
მშვიდობას ზოგჯერ სიკეთით ვაღწევთ,  
ზოგჯერ ძალაა მისი საზომი.

## ივანე შავლიანი

არაბებს უკვე მზადა ყავთ ჯარი, ალბათ  
მალე ქართლს შემოუტევენ,  
ალანთა კარსაც გაამაგრებენ,  
ქართლელებს საშველს არ დაუტევენ,  
თუ მართლა გინდა სისხლის აღება,  
ამას რად უნდა ბევრის გაგება,  
ვინაც დაასწრებს, ის გაიმარჯვებს  
და სარეცელთან ქალის დადგება.  
მე ერთსა ვფიქრობ, ჩემი ბატონი, ახალგაზრდაა,  
აჩქარებული,  
შუშანის ფლობას არ დაეხარბოს  
და არ გატკინოს დედის ძმას გული,  
შენი ნებართვით, თარხან უფალო, შენი პასუხით,  
გამიშვი მალე,  
ლეონს ვაცნობო შენი ბრძანება, ის, რაც ურჩიე  
და დააძალე.  
თუ არ ვიჩქარეთ, არაბთა ჯარი, ქართლს  
და აფხაზეთს დაეუფლება,

ეგებ აქეთაც შემოგიტიოს, თუ შენ მიეცი ამის უფლება.  
ხომ იყო ადრეც, ჯერ იბნ მასლამა<sup>1</sup>

ხაზართა მიწებს აქეთ არბევდა,  
შემდეგ ჯარაპი,<sup>2</sup> დარიალის გზით,  
ზღვა მდინარემდე ხაზარებს სდევდა,  
ქალქ ალ ბაიდს მუსრი გაავლო,  
სამეფო განძი დაისაკუთრა,  
გამარჯვებული არის მართალი და საყვედური  
რომელმა უთხრა.

## ხაკანი თარხანი

შენ გავიწყდება, როდის ყოფილა,  
ხაზარი ვალში დარჩენილიყოს,  
ვართ მეომრებად დაბადებულნი,  
ჩვენში მშიშარი გაჩენილიყოს,  
არაბთა სარდლებს როცა ახსენებ,  
იქვე ხაზარნი რად გავიწყდება,  
ვიდრე არაბებს შევარჩენთ ძლევას,  
ხაზართა ჯარი უმალ გაწყდება.  
შენ თქვი მასლამა, რას მიაღწია,  
უკან გაბრუნდა ხელმოცარული,  
იგი ჯარაპით მიტომ შეცვალეს,  
სარდალი ჰყავდათ თავს ლაფ დასხმული,  
არაბმა ერთი ბრძოლა მოიგო, რატომ, რა მოხდა  
ვერც კი გაიგო,  
მეორე ბრძოლას თვით შეენირა,  
ნადავლის ნაცვლად ყორე აიგო.  
ჩვენ წინააღმდეგ ვის უბრძოლია,  
რომელი იყო ბედი ჰქონია,

1. მასლამა – ჰაბიბ იბნ მასლამა – არაბთა სარდალი, რომელიც დარიალის გზით შეიჭრა ხაზარეთში 728 წ.

2. ჯარაპი – იბნ აბდ ალ-ლაპი ჯარაპი – არაბი სარდალი 729 წ. მან ხაზარეთი დალაშქრა მდ. ვოლგაზე ქალაქი ალ ბაიდა დაარბია.

ასე ყოფილა, ასე იქნება, ერბო ერბოა, ქონი ქონია,  
მე იმდენს დავძრავ ხაზართა ძალებს,

ცუდად შემხედვარს დაუგსებს თვალებს,  
რომელი არის წინ დაუდგება, ან პასუხს მოსთხოვს,  
ან დააძალებს.

გაუცუდდება ყველას იმედი, წყევლონ გამჩენი  
და შემოქმედი,

მე რა ვუშველო, ჩვენთან მორქენალს,  
თუკი ასეთი ჰქონია ბედი,

სომეხთ ამირას როცა სისხლს ვადენ,  
კისერს მოვუღრეც ღალატის ჩამდენს,

ჩემი დის წული თავად მიხვდება,  
არ შეეჭიდოს სიმძიმეს ამდენს.

მე აქ დავრჩები, სემენდერიდან ქართლის საზღვრები  
უფროა ახლო,

კარი ალანთა ფართედ გავალო, იქვე ჩავიდგა  
მე სამოსახლო,

პეხი ჯარების იქნება ჯებუ,  
ხოლო რას-პეხი მარჯვე ბლუჩანი,  
მათ ალასრულონ ჩემი მიზანი,  
აქვე მომგვარონ ტურფა შუშანი.

/თერგის ხეობა, ჩემი<sup>1</sup>-ს ციხე-სიმაგრე/

## ჯუანშერ ბრჩილის ძე

უფალო, თუ ხარ და გესმის ჩემი,  
როგორ არ გვადრო სასაყვედურო,

ჩემ თავს არ ვჩივი, არა ვწუნუნებ, ვერავინ მითხრას,  
შე უმადურო,

მე ჩემი კალო გამილენია, ავად თუ კარგად,  
ფხიზლად ვიყავი,

ვიცოდი გარჯა, ვიცოდი ლოცვა, სულად  
და ხორცად არ გავიყავი.

1. ჩემი – ჩემიას სასაზღვრო ციხე-სიმაგრე. ამჟამად ოსეთის (რუსეთის) შემადგენლობაშია და ეწოდება სოფელი ჩმი.

თუ რამ შემეძლო შენ გემსახურე, შენ გლოცულობდი,  
 სანთელს გინთებდი,  
 თავს დაბლა ვხრიდი, ცრემლმორეული,  
 სამშობლოს მიწას შეგავედრებდი,  
 თუ შენი მშობლის არის წილხვედრი,  
 მშობელს ყოველი მიწყივა ფიცავს,  
 მშობლის ანდერძსა და ნაამაგარს, რა შვილი არის,  
 მკერდით არ იცავს.  
 შენ უსაშველოდ გვაქციე ზურგი, რა დავაშავეთ,  
 უნდა ვიცოდეთ,  
 რას ერჩი ერს და დედა სამშობლოს, ის გაგვიყოლე,  
 რომელთაც ვცოდეთ,  
 რატომ ერთგვარად უნდა ეწამოს, უმანკო, უნდო,  
 ცოდვილიანი,  
 უცოდველს აკლდეს, იტანჯებოდეს,  
 ცოდვილს დღე პქონდეს მიწყივ მზიანი?  
 გამაგებინე, როგორ მოვიქცეთ, არ იყოს მცდარი  
 და არც გვიანი,  
 ვისაც ვლოცულობთ, უნდა ვიცოდეთ, მოწყალეა  
 და გამგებიანი.  
 კაცი რომ ცოცხლობს, შრომობს,  
 გადიდებს არ უნდა პქონდეს შენი იმედი?  
 მაშინ გვითხარი ხართ განწირული,  
 ასეთი შეგხვდათ ჩემგანვე ბედი,  
 დღეს აქ ვიტანჯეთ, ქართულ მიწაზე,  
 დღესვე სამშობლოს დაგვაშორებენ,  
 ალთას და ბალთას რად გვატარებენ,  
 ხაზარეთის გზას გაგვიყოლებენ,  
 ძნელი ყოფილა თურმე ტყვეობა  
 და უფრო მძიმე ტყვეობის განცდა,  
 დარდი, რომელიც გულს ლოდად ადევს, ფიქრი,  
 საფიქრალს თუ გზაში გასცდა.

## შუგანი

შენ ჩემო ძმაო და მეგობარო,  
 არ მსურს ჩემს გამო იტანჯებოდე,

ჩემ გამო იჯდე გამოკეტილი  
და მე შენ განცდებს ვერა ვხვდებოდე,  
განა არ ვიცი, რომ ხაზარები,  
დარუბანდის გზით შემოჭრილები.  
ალბანებს სცემდნენ, არას დასდევდნენ,  
ვისი ცოლები,  
დედა, შვილები.

სომეხთ ამირას მარცხი აწვნიეს  
და მერე ჩვენსკენ გამოემართნენ,  
ქართლი დალაშქრეს, თბილისი ძარცვეს, ქვრივს  
და ბოგანოს რალას ემართნენ,  
ჩვენი უფროსი ძმა იოანე, მამის ნაცვლობას  
ვინაც მიწევდა,  
სასტიკად დაჭრეს ცხარე ბრძოლისას,  
დაჭრილს ბლუჩანი თავად მისდევდა.  
ახლა რომ ცდილობს თავი მიჩვენოს,  
მოინანიოს ვითომ შეცდომა,  
პატიებას მთხოვს, ვით ვაპატიო, ძმის მოკვდინება  
ვინაც ინდომა,  
თუ, როგორც ამბობს, რამედ ვულირვარ,  
ტყვედ წამიყვანოს, შენ კი დაგტოვოს,  
ერთ ძმაზე ფიქრი აუტანელი,  
მეორე ძმისას არ ჩააქსოვოს.

## პუანშერი არჩილის ძე

ნუ იტანჯები, უბედურებას ერის  
და ბერის შენზე ნუ იღებ,  
ერთი რომ იყო, ყველას მიზეზი,  
ქვეყნის სამსხვერპლოდ თავსაც გაიღებ,  
ეს ისე გვითხრა მაგათ სარდალმა, როცა გატყვევა,  
ჰქონდა მიზეზად,  
თუ შენ იყავი ბრძოლის მიზანი,  
თბილისი რატომ აიღო გეზად?  
რად დაარბია ვრცელი ქვეყანა,  
რად დაამშია ქვრივი-ობოლი,

მთელ კახეთს რაზე შემოესია, დაანთო ცეცხლი,  
ადინა ბოლი,  
ამდენი ჯარი მაგათ ხაკანმა ერთი ქალისთვის შემოუსია?  
თავში მტყუანი, ბოლოში ფიცავს, ბოლოც თავია?  
რა ნამუსია.

## შუვანი

თუნდ სილამაზით იყოს ქებული, მაინც ქალია,  
წარმავალია,  
მხოლოდ საკუთარს არ განვიცდიდეთ,  
ქვეყნად მყოფელი კაცის ვალია,  
მე საკუთარი არაფერი მაქვს, ერთხელ მოვსულვარ  
და ერთხელ წავალ,  
უფალს ვავედრი ჩემს უმანვო სულს,  
მის სამსხვერპლოზე ასევე ავალ,  
მე სულს მიტანჯავს ჩემი ქვეყანა,  
რომელიც ძალით უნდათ დავტოვო,  
ვისი მამული უნდა მხიბლავდეს,  
ვის ბაღში უნდა ცრემლები ვთოვო.  
დაჭრილ ძმას ვეღარ უნდა შევხედო,  
აღარ ვიცოდე სად დარჩა დედა,  
გულის საფიცარს გზა ავურიე,  
ვერ გავუხდები ცხოვრების მწედა,  
შენ ლა რჩებოდი ქვეყნის იმედი  
და შენც ჩემ გამო გზირად გაქციეს,  
სასიყვარულო თუ ვინმე მყავდით, ყველა გაქელეს  
და წააქციეს.

რაღა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს,  
თუნდ დედოფლობა მელოდეს წინა,  
ვერ შევიფერებ იმის ცოლობას, ვინც დამაქცია  
და მაწყენინა,  
ისეც ვფიქრობდი, გრძნობას რომ ავყვე,  
ნებას ვინ მომცემს, გზას დამილოცავს,  
ვერ მოვერიე მტანჯველ საფიქრალს,  
ვერც სადარდებელს გრძნობის წინ მცოცავს.

მიტომ მინდოდა მონაზვნად წასვლა,  
  საკუთარ გრძნობებს ვემალებოდი,  
თავს თუ დავისჯი, ასე მეგონა,  
  ამით სხვის ტანჯვას ვეფარებოდი.  
ცუდად გასრულდა ჩემი მცდელობა, არ მეყო ძალა  
  და გამძლეობა,  
საპყარის ზრუნვა სხვის სატკივარზე,  
  ყოფილა ენის მოცალეობა.

### პუანშერ პრიზების ქვე

ცოცხალი კაცი, ხელჩაქნეული, მიცვალებულზე უარესია,  
კაცის ვალია ბოლომდე მომკას, რაც დაუხნავს  
  და დაუთესია,  
ჩვენ ჩვენი ვალი ქვეყნის წინაშე, უნდა შევიძლოთ  
  და შევასრულოთ,  
რაც უკვე მოხდა, იმას ვერ შევცვლით  
  და ვერც შევხედავთ ხვალეს უგულოთ.  
ამიტომ უნდა კარგად განვსაზღვროთ, რა არის აწყობა,  
  რა მომავალი,  
მიზნის მიღწევის რა არის გზები,  
  არც შეცდომებზე დავხუჭოთ თვალი,  
ძმებს რა გვინდოდა, წამოიზარდე,  
  შენთვის გვეპოვა მყარი პატრონი,  
ჩვენი სურვილი სურვილად დარჩა,  
  არავინაა მისი გამგონი.  
ჩვენ არც არაბი გვსურდა სასიძოდ  
  და არც ხაზარი გვეხატებოდა,  
ასე ვფიქრობდით, მხოლოდ ლეონი,  
  აფხაზთ მთავარი გიტოლდებოდა,  
მან არა არ თქვა, პოც ვერ გაბედა დედიძმის,  
  ხაკან თარხანის გამო,  
შემოგვითვალა, პასუხს მივიღებ, ეგებ,  
  პასუხი მოგცეთ საამო.  
პასუხს ველოდით, ხაზართა მხრიდან ავის ლოდინი  
  არა გვქონია,

მაგრამ რაც მოხდა ჩვენი ბრალია,  
უთავბოლობით ანაწონია,  
მე მხოლოდ გვიან ჩავხვდი სიმართლეს, მივხვდი  
და იყო უკვე გვიანი,  
საბანისა ძე ჩვენი ყმა არის, კაცი სწავლული, გამგებიანი.  
მაგრამ საჩვენოდ არ ეგებოდა,  
არც იყო საქმის გამოსავალი,  
სამეფო კარზე მთხოვნელს რა დალევს,  
შენი მთხოვნელი იყო მრავალი,  
არ ვიცი როგორ გადაწყდებოდა,  
ბევრი ამაზე არ მიფიქრია,  
თუ მთვარეს შევცერ, ვეტრფი და ვკვდები,  
ასეთ გრძნობაში ძალა რა ყრია,  
ეს განსასჯელი ძალამ, გადაჭრა,  
სურვილს აიხდენს მუდამ ძლიერი,  
ასეთ ახდენას არ შეუძლია გაგხადოს ლალი და ბედნიერი.  
ძლიერის ნებამ ტყვედ აგვიყვანა, ღმერთს მინდობილებს  
ბედმა გვიგანა,  
ჩვენ თუ დავმარცხდით, აქ ვიმყოფებით,  
ბედნიერია ბლუჩანი განა?  
ჯერ რამდენი დღე დარბაზში ვყავდით,  
გზაში რამდენი დრო გავატარეთ,  
ჩვენ ჩვენი სევდა, იქით ბლუჩანმა,  
გულჩახვეულმა მძიმედ ვატარეთ,  
რა დამავიწყებს, ხმალ მომართული,  
დარბაზს მოგვეჭრა გალომებული,  
გნახა, გახევდა, ხმალი ჩააგო,  
მუხლზე დაეცა პირდალებული.  
შენ ვერა გკადრა თაყვანის მეტი,  
ნაცლად ლანდივით გადამეკიდა,  
მალევე გათქვა, რად შეიცვალა, მეგობრობა თქვა,  
ძმად მომეკიდა,  
მას შემდეგ დამდევს გახელებული, არც მე მასვენებს  
და არც ისვენებს,

ცდილობს ქართულად აზრი გამოთქვას, ხახაგამშრალი  
ენას ისველებს.  
გამოსავალს მთხოვს, რჩევა რა ვუთხრა,  
ჩემგან პასუხი სხვა რა ეგება,  
უნდა შეეშვას უმწეო იმედს, თუ არა, ცუდად გადაეგება,  
ფიცავს, რომ დათმობს ხაზართა რწმენას,  
ქრისტინების გახდება მცველი,  
გრძნობაა მისთვის გონების სარკე,  
შენზე ოცნება გრძნობათა მწველი,  
აქ ორი დღეა ვითომ ვისვენებთ,  
მაღალ კლდეებში გამოვლილები,  
სინამდვილეში შენ პასუხს ელის,  
ცხენები მზად ჰყავს შეკაზმულები.

## შუშანი

ვინც ერთხელ შეცდა, შეცდა მეორედ,  
არ ნიშნავს მუდამ გაიმეორებს,  
მაგრამ თუ გიმტრო, გიმტრო მეორედ,  
სულს მესამედაც არ აიმძორებს?  
ბლუჩანმა ჩემ ძმას ადინა სისხლი, მეორედ გიმტრო,  
ტყვედ აგიყვანა,  
მეც არ დამინდო, ხაზარეთის გზას შემომაყენა,  
არ დაახანა.

ტყვეს თან სიყვარულს მეფიცებოდა,  
ხაზარეთისკენ მეზიდებოდა,  
მე რა მცოდნოდა, საზღვარს მისული,  
უკან თიანეთს დაბრუნებოდა?  
ადრეც ვუთხარი, თუმც მისი ტყვე ვარ, სულიერი ვარ  
და მიჭრის გონი,  
უცხოს ეს გული არ გაიკარებს,  
არც სმენა არის სიტყვის გამგონი,  
რწმენაც იცვალოს, გაქრისტიანდეს,  
ჩემთვის ის მაინც უცხოდ დარჩება,  
გადაწყვეტილი აქვს ჩემ გონებას,  
ნუთუ რთულია ამის გაგება?

და ამას გარდა, კიდეც დავთანხმდე,  
                          მაინც არა აქვს არსით საშველი,  
კაცი არა ჰყავს ხელის გამწვდენი,  
                          მტებით სავსეა გარემო მთელი.

## პუანშერ პრილის ძე

მე შენი მესმის, არა იმიტომ, და ხარ  
                          და შენი უნდა მესმოდეს,  
შენი სიკეთით უნდა ვხარობდე,  
                          სადარდებელი ლახვრად მესმოდეს,  
ვერც ვერას გირჩევ, გულს ვერ უბრძანებ,  
                          რაც შენ არ გინდა, ის არ იქნება,  
როგორ გადაწყვეტ, დაგეთანხმები,  
                          დაე, ალსრულდეს უფალის ნება.  
რაკი ასეა, ცოტა ხნით გტოვებ, პასუხი მივცე,  
                          ბლუჩანი მელის,  
უნდა გადაწყვდეს საით გაუტევს, რა გზას აირჩევს,  
                          მგელის თუ ქველის.

## შუშანი

მამის სულს ვფიცავ, არცა მყოლია სხვა საფიცარი  
                          და სხვა ხატება,  
როცა მიხილავს, ლხენა შემიპყრობს,  
                          სულს სიამაყე შეემატება,  
რაც ქვეყნად ვიყავ, როგორც სტუმარი,  
                          სულ წასასვლელად ვემზადებოდი,  
ფიქრი მტანჯავდა, თუ შევცდებოდი,  
                          მამას ვეღარსად შევეყრებოდი.  
მე ახლა ვიცი, უმანკო ტანი, ქვეყნად უმანკოდ შემინახია,  
უფლის შვილი ვარ, ფიცი მივეცი,  
                          ფიცი არასდროს შემილახია,  
მივალ, წარვსდგები მამის წინაშე,  
                          უფალთან მანვე გზა მიმასწავლოს,  
ტანი დარჩება, სულმა იმ ქვეყნად, უნდა იწვალოს,  
                          სიკეთით გავლოს,

მამამ მაჩუქა მე ეს ბეჭედი,  
ძვირფას თვალს ქვევით აქვს სამალავი,  
თან დამარიგა, როგორ მოვიქცე, გული უგრძნობდა,  
ბედი მაქვს ავი.

მონაზვნად ყოფნა მიტომ მინდოდა,  
სულში ყოველთვის გრიგალი ქროდა,  
ძე ხორციელი თვალს არ მტაცებდა,  
ერთის ხილვაზე ოცნება კრთოდა,  
მაგრამ ვიცოდი, არ იყო ბედი,  
სხვაგვარი მქონდა გადასახედი,  
რაც მიწერია, ის არ ამცდება, მომელის მამა  
და შემოქმედი.

/თითიდან იძრობს ბეჭედს, ამოაცლის თვალს, იღებს და-  
მალულ საწამლავს, ჯუანშერი დას დასტირის, შემოდიან  
ბლუჩანი და ჯებუ/.

## პე-ი პეპუ

დაცვამ გვაცნობა ამბავი ავი, სმენის  
და ხილვის შესაზარავი,  
მოულოდნელად გარდაცვლილაო,  
საკანის სატრფო მზეთუნახავი,  
თვალი უყურებს, არ მეჯერება,  
მართლა წასულა ქვეყნის მშვენება,  
რომელმა ღმერთმა გაგვწირა გზაში,  
რომელ ჭკვათ მყოფელს ასე ენება.  
ახლა რაღა ვქნათ, საკან თარხანი, განრისხდება  
და გაბოროტდება  
თუ პეს ბარჯილი თქმისთვის დასაჯა,  
სიკვდილს რომ ვეტყვით რაღა მოხდება?

## ჯუანშერ არჩილის ძე

შენ შენსას ჩივი, შენი ტკივილი,  
ჩემ გულის თქმასთან მონაგონია,

ხავანს რა უჭირს, რა შემთხვევია,  
დაჰკარგა ის რაც არა პქონია,  
ჩემი იკითხე, ჩემი გაზრდილი, სისხლი და ხორცი,  
ლამაზი, ზრდილი,  
რომლის აღზრდაში მქონია წვლილი, თუმცა და იყო,  
და იყო შვილი.  
მამამ ანდერძად ძმებს დაგვიტოვა, რამდენიც იყო,  
ძმებს ჩაგვექსოვა,  
ახლა ერთი ძმა არის დაჭრილი,  
ეულად მიწევს სიცოცხლის გლოვა.

### რას პეს ბლუჩანი

ღმერთები არ მწამს, რამდენ ტომს ვიცნობ,  
ყველას უხვად ჰყავს თავის ღმერთები,  
ევედრებიან, საკმელს უკმევენ, აზრით  
და სულით შენაერთები,  
„ადამ რუხანი“ მიმაჩნდა ღმერთად,  
გზაში სიკეთეს ვევედრებოდი,  
ფეხზე ეკიდა ჩემი წადილი, რას დამცინოდა,  
განა ვხვდებოდი.  
არც თქვენი ღმერთი ყოფილა ღმერთი,  
იმედს რომ მოჰკლავს განა ღმერთია?  
თუ ქვეყნად ჰყავდა ანგელოზები,  
შუშანი მათთან შენაერთია,  
ასეთს თუ მოჰკლავს, ვიღას დაინდობს,  
ვისთვის იქნება თვითონ სანდომი,  
თუ სიკეთეს და სიცოცხლეს სწირავ, სიბოროტის  
და სისხლის ხარ მდომი,  
რაზე გირნმუნო, რატომ მოგენდო,  
როგორ გინოდო სიკეთის მთესი,  
ცრუ მღვდელი იტყვის, ღმერთს კარგი უნდა,  
მიტომ ირჩია სხვათ უკეთესი.  
ღმერთზე მოწყალე გული მქონია, უფრო გამგები  
და მოყვარული,

ქალის დაღუპვამ გამომაფხიზლა  
და დამიტოვა ანდერძი რთული,  
ახლა რაღა ვქნა? ჯებუ შენ გეტყვი, ჩემგან მიიღე,  
როგორც ბრძანება,  
ქალი ვერ მიმყავს, ხაკანი მომკლავს,  
ვიცი ასეთი ექნება ნება.  
ამიტომ მიჯობს, ქალთან დავრჩები  
და მასთან ახლოს დავიმარხები,  
ძმამ მოუაროს, წესი აუგოს, ხელს არ შევუშლი  
და შევეხები.  
თხოვნა მაქვს, იქვე ახლოს ჩამფალით,  
რომ ვემსახურო და ვუდარაჯო,  
ვერ მოვიქეცი წინდახედულად  
და ამით მინდა თავი დავსაჯო.  
ჯუანშერს უკან გავაბრუნებდი,  
აზრი არა აქვს ასეთი ტყვეობას,  
მაგრამ უმისოდ სემერდერს მისულს  
დაგიმოკლებენ ქვეყნად ზეობას,  
ამიტომ უნდა ტყვე თან იახლო,  
საკანს მოუყვე ჩვენი ამბავი,  
უთხრა ბლუჩანმა სხვა გზა ვერ ნახა, დარჩა  
და იქვე მოიკლა თავი.

\*\*\*

ჯუანშერ არჩილის ძე ერთხანს ტყვედ იყო ხაზართა  
ხაკანის კარზე.  
ბოლოს იგი გაათავისუფლეს და დასაჩუქრებული სამშობ-  
ლოში გამოისტუმრეს. ამ დრონის მანძილზე ქართლში დიდი  
ცვლილებები მოხდა – იოანე არჩილის ძე მიიცვალა, ქართ-  
ლის ერისმთავრობა ჯერ ადარნასე, შემდეგ კი ნერსე ერი-  
სთავს ერგო. ბოლოს ერისმთავრობა იმით დასრულდა, რომ  
786 წ. აშოტი თბილისს გაერიდა და ტაო-კლარჯეთში ახალი  
სამთავრო დააარსა.

აშოტ კურაპალატის მიერ ახალი სამთავროს შექმნა, ქა-

რთლში (თბილისში) ერისმთავრობის დასრულებაა. ამავე პერიოდში გარდაიცვალა მეფობის პრეტენდენტი ჯუანშერი. მეფების, მირის და არჩილის, მემკვიდრე რჩებოდა ლეონ II აფხაზთა მთავარი (გურანდუხტ მირის ასული, მისი მეუღლე ლეონ I და ლეონის ძმისნული ლეონ II).

ლეონ II აფხაზეთის მთავარმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით (უფრო ზუსტად, ვითარება აიძულებდა ასე მოქცეულიყო), დაიკავა დასავლეთ საქართველო (მთელი აფხაზეთი, როგორც მას ბიზანტია უწოდებდა), ტახტი ქუთაისში გადაიტანა და სავარაუდოდ 788 წ. თავი მეფედ გამოაცხადა.

## სარჩევი

მედეა . . . . .	5
შუშანი . . . . .	122